პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი მერვე

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგის 18—20.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 24, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

სამშაბათი, 16 ოქტომბერი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 240 (2283)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

— გერმანიაში გაფიცულია 50.000 ფეიქარი.
— საბჭოთა მეცნიერების ჩასვლა გერმანიაში.
— შეიარაღებული შეტაკება მაკედონელ ავტონომისტებს შორის
— დასრულდა ბერლინის მეტრო. პოლიტენის მუშათა გაფიცვა
— სოფიაში დააპატიმრეს მუშათა პარტიის დეპუტატი სტოიანოვი.
— გაიხსნა სამხრეთ-სლავიის პარლამენტის სესია.
— დანიაში მოკვდა ნიკოლოზ II-ის დედა მარია ფეოდოროვნა

დღეს, 16 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე,
პროფსაბჭოს დიდ დარბაზში მოწვეულია
საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის
მე-8 გაფართოებული პლენუმი
რაიკომების პლენუმებთან და მსხვილ საწარმოო უჯრედების მდივნებთან ერთად.

დღის წესრიგი: 1) საქართველოს კომპარტიის მუშაობის გამოკვლევის შედეგები (მომხსენებელი საკ. კომპ. (ბ) ცეკას პასუხისმგებელი ინსტრუქტორი ამხ. პუშნიცინი); 2) უჯრედების ბიუროების გადარჩევის და პარტკონფერენციების შესახებ.

თბ. კომ. პრეზიდიუმი.

კოლექტიური მეურნეობანი

როგორც „სოფლის კავშირი"-ს ინსტრუქტორთა ეხლა დამთავრებულ თათბირზე გამოქვეყნებულ და სხვა მასალებიდან სჩანს, კოლმეურნეობრივი მოძრაობა ჩვენში თვალსაჩინოდ გაიზარდა. 1927 წლის პირველ იანვრისათვის იყო: 7 კომუნა 102 წევრით (მეურნეობით), 19 სასოფლო -სამეურნეო არტელი 157 წევრით, 59 მიწის საზიაროდ დამმუშავებელი ამხანაგობა 1195 წევრით; ციფრები 1928 წლის პირველ იანვრისათვის შემდეგს გვიჩვენებენ: 7 კომუნა 127 წევრით. 74 სას.- სამ. არტელი 1466 წევრი, 131 მიწის საზიაროდ დამმუშავებელი ამხანაგობა 1944 წევრით; ამა წლის აპრილიდან დაარსებულ იქნა კიდევ 3 ახალი კომუნა, (რომლებშიაც 25 მეურნეობა შედის) და 114 არტელი (3250 წევრით). ამას უნდა მიუმატოთ სამანქანო ამხანაგობები, რომელნიც კოლმეურნეობათა უფრო დაბალ ფორმას წარმოადგენენ: მათი რიცხვი ა. წ. პირველ სექტემბრისათვის უდრიდა 100-ს (2804 მეურნეობით).

ზრდა უდავო ფაქტია. მხოლოდ აღსანიშნავია, რომ კომუნები გაცილებით უფრო ნელი ტემპით იზრდებიან, ვიდრე კოლმეურნეობათა დანარჩენი ფორმები. და ეს გასაგებიცაა: კომუნა მთლიანად განსაზოგადოებული მეურნეობაა და მასზე სწრაფად და მასიურად გადასვლა ძნელია გლეხობისათვის. ნაწილობრივ ესევე ითქმის სასოფლო სამეურნეო არტელების შესახებ. აქედან— ჩვენი მთავარი ყურადღება იქითკენ უნდა იყოს მიქცეული, რომ „მიღწეულ იქნას არსებული და ახლად მოსაწყობ მარტივ გაერთიანებათა გადასვლა კოლმეურნეობათა უმაღლეს ფორმაში (სასოფლო- სამეურნეო არტელები, კომუნები)— ამ ფორმების უპირატესობაში დარწმუნებისა და ეკონომიურ წაქეზების საშუალები" (საქ. კ. პ. ცეკას პრეზიდიუმის დადგენილება კოლმეურნეობათა მშენებლობის შესახებ. იხ. „კომუნისტი" № 208—225). ამავე დროს, რა თქმა უნდა, ჩვენ უნდა გავაგრძელოთ მუშაობა მარტივ გაერთიანებათა ქსელის შემდგომი გაფართოებისათვის, რითაც ხელი შეეწყობა სასოფლო მეურნეობის განვითარებას და ნიადაგი მომზადდება მისი კოლექტივიზაციისათვის.

კოლმეურნეობრივი მოძრაობის ზრდისათვის, გარდა სათანადო ეკონომიურ ღონისძიებებისა, საგიტაციო და ორგანიზაციულ მუშაობისა, მცირე მნიშვნელობა არა აქვს კომუნისტ გლეხების და სოფლის უპარტიო მოწინავე ელემენტების პირად მაგალითსაც. ამ მხრივ საგულისხმოა თელავიდან გამოგზავნილი კორესპონდენცია, რომელსაც დღეს ვათავსებთ. სოფლის მშრომელ ინტელიგენციას, როცა ის გლეხობას ურჩევს კოლექტივების მოწყობას, გლეხი ეუბნება: „შენ რომ მირჩევ, კოლექტივის შექმნას, რატომ შენ ჩემთან ერთად არ შემოდიხარ კოლექტივის წევრად შენი საწარმოო საშუალებებით? თუ კოლექტივიზაცია დიდ წარმატებას მოგვცემს მეურნეობის წარმოებაში, ეს ხომ შენთვისაც ხელსაყრელია!" მეორე კორესპონდენტი კახეთიდან ჩივის, რომ „კომუნისტების რიცხვი კოლექტივებში კიდევ არ არის საკმაო. წევრთა საერთო რიცხვიდან კომუნისტებია— 167, ხოლო კომკავშირელები—228". მეურნე კომუნისტების და კომკავშირელების რიცხვი კახეთის მაზრაში ამაზე შეუდარებლად მეტია და ისინი კოლმეურნეობათა გარეშე არიან დარჩენილი. ამ შეუწყნარებელ მოვლენას გადაჭრით უნდა მოეღოს ბოლო. პარტიის წევრებმა არა სიტყვით, არამედ საქმით უნდა უჩვენონ გლეხობას მაგალითი; ისინი პირველად უნდა შედიოდნენ კოლექტივებში. რამდენიმედ ესევე უნდა ვსთქვათ იმ მშრომელ ინტელიგენტებზე (აგრონომი, მასწავლებელი და სხ.), რომელნიც კოლმეურნეობათა იდეის პოპულიარიზაციას ეწევიან, ხოლო თვითონ ინდივიდუალ მეურნეობას მისდევენ. წინააღმდეგობა სიტყვასა და საქმეს შორის აუცილებლად უნდა მოისპოს.

შემდეგი საკითხი, რომელსაც აქ გვინდა შევეხოთ, ესაა კოლმეურნეობათა სოციალური შემადგენლობა. ცნობილია, რომ ზოგან კოლექტივებს აარსებდნენ ისეთი ელემენტები, რომელთაც არ შეიძლება საერთო რამ ჰქონდეთ კოლმეურნეობრივ მოძრაობასთან. კულაკები ახერხებდნენ შეძვრომას ისეთ კოლექტივებშიაც, რომელთა წევრების უმრავლესობა ღარიბ და საშუალო გლეხობისაგან შესდგებოდა. ცხადია, ამას ისინი სჩადიოდნენ სხვადასხვა შეღავათების და სარგებლობის მიღების მიზნით. უკანასკნელ წლებში ხდება კოლმეურნეობათა სოციალურ შემადგენლობის შემოწმება, იქიდან უცხო ელემენტების გაძევება და ცრუ კოლექტივების დაშლა. ამის წყალობით კოლმეურნეობათა სოციალურ შემადგენლობა დიდათ გაუმჯობესდა. მაგრამ ეს მუშაობა ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული. სულ მოკლე ხანში ყველა კოლექტივები უნდა იქნენ შესწავლილი და იქიდან კულაკური ელემენტები რკინის ცოცხით გამოგვილნი. კოლექტივებში თავი უნდა მოიყაროს მხოლოდ ღარიბ და მასთან თავისი მდგომარეობით ახლო მდგომ საშუალო გლეხობამ. ამასთან, კოლექტივების ხელმძღვანელ ორგანოებში უნდა გადიდებულ იქნეს ღარიბთა როლი.

კოლმეურნეობათა განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მიწად მოწყობას. უკანასკნელ გამოკვლევათა მიხედვით, მიწადმოწყობა ჩატარებულია მხოლოდ 54 კოლმეურნეობაში, რაც შეადგენს კოლმეურნეობათა საერთო რიცხვის 16,6 პროც. ეს, ცხადია, ოდნავადაც არ არის საკმაო. აუცილებლად უნდა განხორციელებულ იქნეს საქ. კ. პ. ცეკას დირექტივა, რომელიც მოითხოვს კოლმეურნეობათა მიწადმოწყობის დამთავრებას 1929 წლის პირველ იანვრამდე.

შემდეგ სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს კოლმეურნეობათა სამეურნეო ხელმძღვანელობის, აგრო- დახმარების, შრომის განაწილების, შრომის ხელფასის და სხვა საკითხებს. მათ გადასაჭრელად საჭიროა სათანადო კადრების მომზადება. სხვათა შორის, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კოლმეურნეობათა გამსხვილებას, რაც შესაძლებელს გახდის ამ კადრების მოწვევას და ამასთან გააძლიერებს კოლმეურნეობათა საშუალებებს წარმოების გასაფართოვებლად.

კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ მოისუსტებს მათი წევრების აქტიური ჩაბმა კოლმეურნეობის მშენებლობაში. ეს ნაკლი უნდა გამოსწორდეს. კერძოდ საჭიროა სამეურნეო საკითხების და ხარჯთაღრიცხვების განხილვა ხდებოდეს წევრთა კრებებზე, რასაც ბევრგან ადგილი არა აქვს.

კოლექტივების წევრთა აქტივობის ზრდის ერთ-ერთ ძირითად პირობას წარმოადგენს მათი კულტურული დონის აწევა. პირველ ყოვლისა, აუცილებელია წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობა კოლმეურნეობის წევრთა შორის. ჯერ-ჯერობით წერა- კითხვის უცოდინარნი იქ საკმაოდ დიდ პროცენტს შეადგენენ.

ასეთია კოლმეურნეობათა მშენებლობის ზოგიერთი ამოცანა, რომელთა გადაჭრა აუცილებელი პირობაა მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კლასობრივი ბრძოლის გამწვავება გერმანიაში

გერმანიის პროლეტარიატის ბრძოლა ეკონომიურ ფრონტზე თანდათან უფრო ფართო ხასიათს ღებულობს. 55.000 გემთმშენებელი, 27.000 მემაღაროე, 50.000 ფეიქარი უკვე ორი კვირა ჩაბმულია გამწვავებულ კლასობრივ ბრძოლაში. ეხლა მათ უერთდება მუშათა კლასის ახალი რაზმი: რეინ-ვესტფალიის მძიმე მრეწველობის მეპატრონეთა კავშირმა გამოაცხადა, რომ 1 ნოემბრიდან დაითხოვს 230.000 მუშას. ლოკაუტის საფრთხე ემუქრება რეინ-ვესტფალიის ოლქის 190.000 ფეიქარსაც.

როგორია მძიმე მრეწველობაში წარმოშობილი კონფლიქტის მიზეზები?

გერმანიის ინდუსტრიის შარშანდელი მაღალი კონიუნქტურა გრძელდებოდა მიმდინარე წელსაც, უკანასკნელ დრომდე. ამ კონიუნქტურამ უდიდესი მოგება მისცა გერმანიის კაპიტალისტებს. მუშებს კი მან არაფერი არ მისცა, გარდა გაძლიერებული ექსპლოატაციისა რაციონალიზაციასთან დაკავშირებით და გარდა სამუშაო დროის გაგრძელებისა.

თუ ჩვენ მძიმე მრეწველობის მდგომარეობას განვიხილავთ, ასეთ სურათს დავინახავთ: წარმოება შარშანდელ დონეზე რჩება. ამავე დროს მიმდინარე წელს შინაურ ბაზარზე ორჯერ იქნა აწეული რკინისა და ფოლადის ფასები. საგარეო ბაზარზე ფასები მთელი წლის განმავლობაში ძლიერ მაღალია და სექტემბრის მეორე ნახევარში მათ ისევ საგრძნობლად აიწიეს.

ერთის მხრივ მექარხნეთა უდიდესმა მოგებამ, მეორეს მხრივ — სიძვირის ზრდამ, რამაც შეამცირა რეალური ხელფასი, გამოიწვია მძიმე ინდუსტრიის მუშების უდიდესი უკმაყოფილება. რეინ-ვესტფალიის ოლქში, სადაც ხელფასი შედარებით უფრო დაბალია, ვიდრე სხვა ოლქებში — აქ ის უდრის დაახლოვებით 80 მანეთს თვეში — პროფკავშირები მასების ზეგავლენით იძულებული გახდნენ უარი ეთქვათ კოლექტიურ ხელშეკრულების განახლებაზე და წარედგინათ მოთხოვნილება ხელფასის გადიდების შესახებ 18 პფენიგით (დაახლოებით 7 კაპეიკი) საათში.

ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე მწარმოებლებმა კატეგორიული უარი განაცხადეს. მოლაპარაკების დასაწყისშივე მრეწველთ წარმომადგენელმა რაიზემ მკვახედ განაცხადა, რომ ხელფასის რაიმე მომატებაზე ლაპარაკი ზედმეტია და რომ მექარხნეები იმის თანახმაც კი არ არიან, რომ კონფლიქტი სამედიატორო სასამართლოს გადაეცეს გასარჩევად.

მძიმე და საფეიქრო მრეწველობაში კონფლიქტების ერთსა და იმავე დროს წარმოშობა იმედს აძლევს მწარმოებლებს, რომ ორმაგი გაფიცვის შიშით პროფკავშირები შეეცდებიან მოახდინონ ბრძოლის ლიკვიდაცია და უბრძოლველად დაიხევენ უკან. შემდეგ, როგორც გერმანიის საკონიუნქტურო ინსტიტუტი ამტკიცებს, გერმანიაში დაისახა გარკვეული ნიშნები, რომ უახლოეს დროში მოსალოდნელია კონიუნქტურის გაუარესება. ასეთ პირობებში თუჯის სადნობი და ფოლადის ჩამომსხმელი ქარხნები მცირე ხნით, კიდეც რომ შეჩერდნენ, ეს არ აშინებს მექარხნეებს. მით უმეტეს, რომ ევროპის ფოლადის ტრესტს, რომელშიაც შედის გერმანიის მძიმე მრეწველობა, აქვს თავისი „საგაფიცვო-სალოკაუტო" ფონდი: თვითეულ ტონა ფოლადზე, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანაში დააკლდება დამზადების განსაზღვრულ ნორმას, ტრესტი აძლევს თავის მონაწილეთ განსაზღვრულ კომპენსაციას.

ეხლა ძნელია იმის თქმა,—საქმე ლოკაუტამდე მივა, თუ პროფკავშირთა მესვეურები შრომის სამინისტროს ბობრლა მოხელეებთან ერთად სხვადასხვა მოხერხებული კომბინაციებით შესძლებენ ბრძოლის თავიდან აცილებას და უკან დაახევინებენ მუშებს. ერთი კი უეჭველია: „სამეურნეო დემოკრატიას", რომელიც ამ ერთი თვის წინად ჰამბურგის ყრილობაზე გამოცხადდა, ცხოვრებამ თვალსაჩინოდ ჩასცა ლახვარი.

ეკონომიური ბრძოლის გამწვავების პროცესში მუშები თანდათან ეჩვევიან მტერ-მოყვარის გარჩევას. კლასობრივი ბრძოლის ულმობელი ლოღიკა, რომლის „მორბილებაც" არაფრით არ შეიძლება, უფრო და უფრო რაზმავს მუშების ფართო მასებს მათი მებრძოლი ორგანიზატორის — კომუნისტური ინტერნაციონალის გერმანულ სექციის დროშის ირგვლივ.

„პრავდა", 14 ოქტომბერი.

ლოძის რაიონში გამოცხადდა საერთო გაფიცვა

გაფიცული ფეიქრები კატეგორიულად მოითხოვენ ხელფასის 20 პროც. გადიდებას

190.000 ფეიქარის ლოკაუტი ვესტფალიის და რეინის ოლქში (გერმანიაში)

გაფიცვების ტალღა იზრდება

ლოძის ფეიქართა გაფიცვა

ვარშავა, 15 ოქტომბერი. დღეს დილით ლოძში დაიწყო საყოველთაო გაფიცვა. მუშაობა შესწყვიტა ყველა კომუნალურმა საწარმომ, ელექტრონის სადგურის გარდა. ტელეფონის სადგური გუშინ საღამოთივე დაიჭირეს მესანგრეებმა და ჯერ-ჯერობით მუშაობს ჯარებით დაცულ სახელმწიფო და კომუნალურ დაწესებულებებისათვის. შეჩერებულია ტრამვაიც. გარდა ამისა დახურულია ქალაქის გამგეობის კანცელარია, საავადმყოფო სალაროები და სასაკლაოები. ნაწილობრივ გაფიცნენ შინამოსამსახურე ქალები. ტაქსის შოფერები არ მუშაობენ. სასტუმროები და რესტორანები დაკეტილია. დღეს საღამოთი გასართობები თეატრები და სხ. არ იქნება. გაფიცვა გამოცხადებულია აგრეთვე ზოგიერთ ახლომდებარე სამრეწველო ქალაქებში. ლოძის პროფკავშირებმა პროფკავშირების ცენტრალურ კომისიას ვარშავაში მოსთხოვეს, რომ თუ ფაბრიკების პატრონები დაუყოვნებლივ არ დააკმაყოფილებენ ფეიქართა მოთხოვნილებებს, მთელ პოლონეთში გამოაცხადონ საყოველთაო გაფიცვა. ლოძის ბურჟუაზიული უბნების ქუჩები გაავსეს მუშათა მასებმა, რომლებმაც გარე უბნიდან ქალაქის ცენტრს მიაშურეს; ამ ქუჩებს იცავენ პოლიციელთა რაზმები. მთავრობის წრეები ძალიან შეშფოთებულნი არიან ლოძის გაფიცვის განვითარების გამო. პრესის ცნობით, ლოძის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი მალახოვსკი სამხედრო სამინისტრომ გაიწვია და იგი 14 ოქტომბერს ვარშავაში წავიდა. ლოძის ქალაქის თავი პოლონეთის სოციალისტი ზემენტსკი გუშინ ცდილობდა დაერწმუნებია მეფაბრიკეები, რომ მოლაპარაკება დაეწყოთ მუშებთან, მისმა მეცადინეობამ უშედეგოთ ჩაიარა, რადგან მეფაბრიკეები თანახმანი არიან მოლაპარაკება დაიწყონ მხოლოდ გაფიცვის დამთავრების შემდეგ; ამასთანავე მათ განაცხადეს, რომ მუშების ხელფასს ხუთ პროცენტზე მეტს არ მოუმატებენ. (ადს).

მუშები მოითხოვენ გაფიცვის გაგრძელებას

ვარშავა, 14 ოქტომბერი. ლოძში გაიმართა მასიური მიტინგები, რომლებშიაც მონაწილეობას იღებდა მრავალი ათასი გაფიცული ფეიქარი. **ყველა მიტინგზე ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც მუშები გადაჭრილ უარს აცხადებენ მთავრობის მიერ წამოყენებულ და დამქირავებელთა მიერ მიღებულ წინადადებაზე ხელფასის ხუთი პროცენტით გადიდების შესახებ. რეზოლიუციაში განმეორებულია პირვანდელი მოთხოვნა ხელფასის 20 პროცენტით გადიდების შესახებ.** მუშები ყველა მიტინგზე მოითხოვდნენ საერთო გაფიცვის გამოცხადებას ლოძის მთელ ოლქში.

საერთო გაფიცვის გამოცხადება

ვარშავა, 14 ოქტომბერი. პროფკავშირთა საოლქო კომისიის სხდომამ დაადგინა, გამოაცხადოს საერთო გაფიცვა 15 ოქტომბრიდან. **დადგენილება ერთხმად იქნა მიღებული. მუშათა მასების გავლენით იძულებულნი გახდნენ გაფიცვას შეერთებოდნენ ყვითელი პროფკავშირებიც,** რომელთაც ნაციონალური მუშათა პარტია და ქრისტიანული დემოკრატები ხელმძღვანელობენ.

კომპარტიის ხელმძღვანელობით

ვარშავა, 14 ოქტომბერი. ვარშავის პრესა ხაზ გასმით აღნიშნავს, რომ ლოძში ამჟამად **იმყოფებიან კომუნისტი დეპუტატები ბარსკი, როსიაკი, სიაულა და ბიტნერიო.** გაზეთები სწერენ, რომ **ამ დეპუტატებმა მოაწყვეს მასიური მიტინგები, რომლებსაც პოლიცია ჰფანტავსო.** მიტინგების გაფანტვის დროს პოლიცია ცივ იარაღს მიმართავდა.

დემონსტრაცია ლოძში

ვარშავა, 14 ოქტომბერი. ლოძში მოხდა დემონსტრაცია იმ სატუსაღოს მახლობლად, რომელშიაც პოლიტიკური პატიმრები იმყოფებიან. დემონსტრაციის მონაწილეებმა პატიმართა განთავისუფლება მოითხოვეს. (ადს).

გერმანიის პროლეტარიატის ბრძოლა

მოსალოდნელია საერთო ლოკაუტი

ბერლინი, 14 ოქტომბერი. არის ნიშნები, რომ 50.000 ფეიქრის გაფიცვას მიუნხენსა და გლადბახში შედეგად მოჰყვება ლოკაუტის გამოცხადება მთელი გერმანიის საფეიქრო მრეწველობის მუშებისათვის. როგორც მძიმე მრეწველობის ორგანო „დეიჩე ბერგვერკ ცვეიტუნგ"-ი იუწყება, საფეიქრო ფაბრიკებს შეუძლებლად მიაჩნიათ სამუშაო ხელფასის გადიდება. კაპიტალისტები აპირებენ მუშათა ორგანიზაციებთან შებმას.

დიუსელდორფში საფეიქრო ფაბრიკების პატრონთა თათბირზე დაადგინეს, შეუდგნენ მზადებას საერთო-სახელმწიფო მასშტაბით გათვალისწინებულ ლოკაუტისათვის. ყოველს შემთხვევაში, თუ მიუნხენისა და გლადბახის ფეიქრები თანხმობაზე არ წავიდნენ, ფიქრობენ ლოკაუტი გამოუცხადონ რეინის ოლქისა და ვესტფალიის 190.000 ფეიქარს.

ფეიქართა გაფიცვა

ბერლინი, 14 ოქტომბერი. უკვე მესამე კვირაა, რაც მიუნხენ-გლადბახში 50.000 ფეიქარი გაფიცვას განაგრძობს. დამქირავებელთა და გაფიცულთა შორის მოლაპარაკებას არავითარი შედეგი არ მოჰყვა. გაფიცვა ფეიქართა შორის ფართოვდება. (ადს).

ბერლინის მეტროპოლიტენის მუშების გაფიცვა

ბერლინი, 14 ოქტომბერი. დასრულდა ბერლინის მეტროპოლიტენის მშენებელ მუშების გაფიცვა. დამარცხება გაფიცვისა, რომელმაც რამდენიმე კვირას გასტანა, აიხსნება პროფკავშირთა რეფორმისტული ხელმძღვანელობის საბოტაჟით. (ადს).

გაფიცვა ჩეხო-სლოვაკიაში

გაფიცვა კლადნოში

პრაღა, 14 ოქტომბერი. მდგომარეობა კლადნოს ქვანახშირის რაიონში კვლავ გამწვავებულია. **საგაფიცვო კომიტეტმა მოხსნა მუშაობიდან დიდი ნაწილი იმ მუშებისა, რომელნიც მაღაროებს იცავდნენ.**

დამქირავებელნი შეეცადნენ დაეყენებიათ ახალი შტრეიკბრეხერები, რომლებსაც საგაფიცვო კომიტეტის ყალბი მოწმობები დაურიგეს.

პრაღის, კლადნოსი და ლიუბუშინის მუნიციპალიტეტებმა გადასწყვიტეს გადასდონ თანხები გაფიცულთა ბავშვებისათვის საზრდოს მისაწოდებლად. ისინი მოითხოვენ შეიარაღებული ძალების გაყვანას გაფიცვის რაიონიდან

სამხრეთ-სლავიის პარლამენტის გახსნა

ვენა, 14 ოქტომბერი. გაიხსნა სამხრეთ-სლავიის პარლამენტის შემოდგომის სესია. სხდომის დროს დიდი აურ-ზაური გამოიწვია **სერბიის გლეხთა პარტიის მიერ მოწყობილმა ობსტრუქციამ.** გლეხთა პარტია უსაყვედურებდა მთავრობას, რომ იგი საბოტაჟს უცხადებს **ოპოზიციის წინადადებასო. იძულებული გახდნენ სხდომა** შეეწყვიტათ. (ადს).

საბჭოთა მეცნიერები ბერლინში

ბერლინი, 14 ოქტომბერი. კენიგსბერგში აეროპლანით მოვიდნენ საბჭოთა მეცნიერები პროფ. **ვიზე, იასენკო და შმიდტი,** რომელნიც ბერლინში მიემგზავრებიან აეროარქტიკის საზოგადოების (საჰაერო აპარატების შემწეობით არქტიკის შემსწავლელი საერთაშორისო საზოგადოება) კონგრესზე. აეროდრომი საბჭოთა დროშებით იყო მორთული. საბჭოთა მეცნიერებმა პრესის წარმომადგენლებს გადასცეს, რომ უკვე დამთავრებულია ახლად აგებული ცეპელინი, რომლითაც მომავალ წელს ექსპედიცია არქტიკაში გაემგზავრება. დირიჟაბლის უფროსად დასახულია კაპიტანი **ბრუნო.** საერთო ხელმძღვანელობას ექსპედიციას **ნანსენი** გაუწევს (ადს).

მდგომარეობა ბალკანეთზე

„ბალკანეთის ლოკარნოს" — გეგმა

ათინა, 14 ოქტომბერი. მიუხედავად იმ მშვიდობიანი პოლიტიკისა, რომელსაც ვენიზელოსი დემონსტრატიულად ანხორციელებს, აქაური ოპოზიციონური პრესის აზრით, საბერძნეთი მაინც ვერ დააღწევს თავს ინგლისის კონსერვატორების პოლიტიკის გავლენას.

ოპოზიციონური გაზეთების გადმოცემით ინგლისთან შეთანხმების შემდეგ საფრანგეთს უფლება აქვს თავისუფლად იმოქმედოს ბალკანეთში, ისევე, როგორც წინად იტალია მოქმედებდა. წინად ინგლისი იტალიის მეოხებით მოქმედებდა საფრანგეთზე, ეხლა იგი საფრანგეთის მეოხებით იტალიაზე იმოქმედებს. ყველაფერი ეს კეთდება ბალკანეთის „ლოკარნო"-ს შესაქმნელად და თურქეთის ჩაბმით ევროპის პოლიტიკაში ანტისაბჭოთა ფრონტის გასაძლიერებლად, რომ თუ ვინიცობაა ომი ასტყდა, ადვილად შეიძლებოდეს სალონიკის გზით პოლონეთისა და რუმინეთისათვის სამხედრო იარაღისა და ძალის მიწოდება. (ადს).

მაკედონელ ავტონომისტთა შეტაკება

ვენა, 14 ოქტომბერი. როგორც სოფიიდან იუწყებიან, მაკედონელ ავტონომისტთა ორ ჯგუფს შორის კვლავ მოხდა სისხლის მღვრელი შეტაკება. პროტოგეროვის მომხრეები თავს დაესხნენ მოსაკლავად ვანდეევს, რომელიც მიხაილოვის ჯგუფს ეკუთვნის. ამის შემდეგ მიხაილოვის მომხრეებმა დღისით ქუჩაში მოჰკლეს პროტოგეროვის ორი მომხრე.

სროლის დროს დაიჭრა ხუთი გარეშე, მათ შორის შემთხვევით გამვლელი თურქეთის სამხედრო ატაშე. პოლიცია გარს შემოერტყა უბანს და რამდენიმე კაცი დააპატიმრა. (ადს).

კამპანია ჯავშნოსანის აგების წინააღმდეგ

ბერლინი, 14 ოქტომბერი. შაბათს ბერლინის 20 რაიონში გაიმართა საყოველთაო კენჭის ყრის მომხრეთა დემონსტრაციები. დემონსტრაციებში მონაწილეობა მიიღეს მუშებმა და წვრილმა ბურჟუაზიამ. დემონსტრანტები მოუწოდებდნენ ყველას, უკანასკნელ დღეებში გააძლიერონ ხმის მიცემა საყოველთაო კენჭის ყრის სასარგებლოდ. (ადს).

„მატენ-"ის ჭორები

პარიზი, 14 ოქტომბერი. ბურჟუაზიულ გაზეთი „მატენ"-ი თავის წერილში: „ეწევიან თუ არა კომუნისტები ჯაშუშობას საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ" ამტკიცებს, თითქოს კომპარტიას საფრანგეთში მასიური ჯაშუშობა მოეწყოს. გაზეთის სიტყვით კომპარტია და კომკავშირი თავიანთ წევრებს შორის ავრცელებენ წერილობით ინსტრუქციებს. ამ ინსტრუქციებში საჭიროდ არის ცნობილი აქტიური მუშაობა ნაწილის ჯარისკაცთა შორის და „ცენტრისათვის" გადაცემა ყოველივე იმისა, რაც ხდება არსენალებში, ნავთსადგურებში, საავიაციო ბანაკებში და იმ ქარხნებში, სადაც მუშაობენ და შესაძლებელია იმუშაონ ნაციონალური თავდაცვისათვის. (ადს).

განხეთქილება პოლონეთის „სოციალისტურ" პარტიაში

სირაქლემას პოლიტიკა

ვარშავა, 14 ოქტომბერი. პოლონეთის სოციალისტური პარტიის ორგანომ „რობოტნიკ"-მა ერთი სიტყვითაც არ მოიხსენია იავორსკის მომხრე პროფკავშირების ვარშავის საბჭოს რეზოლიუცია და მოწოდება. გაზეთმა საერთოდ თავი მიანება წერას პარტიის შინაურ კრიზისზე. მუშათა წრეებში ფიქრობენ, რომ „რობოტნიკ"-ი ასეთი ტაქტიკით **სცდილობს შესწყვიტოს პოლემიკა პილსუდსკის მომხრე სოციალისტების ამას წინედ გამოსულ გაზეთ „პშედსვიტ"-თან, რადგან ერიდება პოლონეთის სოციალისტური პარტიისათვის უსიამოვნო მხილებას ამ გაზეთის მხრივ.** (ადს.

ბერლინის რადიო-სადგურზე მომხდარი შემთხვევის გარშემო

ბერლინი, 14 ოქტომბერი. კომპარტიამ ბერლინში მოაწყო 15 მიტინგი მოხსენებებით შემდეგ თემაზე: „წითელი რადიო-გადაცემის 20 წუთი". 13 მიტინგზე გამოვიდა ლანდტაგის კომუნისტური დეპუტატი **შულცი,** რომელიც მთავარ როლს თამაშობდა „ბერლინის რადიო-სადგურის საქმეში".

შულცს ყველგან მხურვალე ოვაციები გაუმართეს. (ადს).

რუმინეთის თვალთმაქცობა

ვენა, 14 ოქტომბერი. რუმინეთის პრესა ეხება „ბერლინერ ტაგებლატ"-ის წერილს პილსუდსკის ბუხარესტში გამგზავრების შესახებ და საბჭოთა კომენტარიებს. მთავრობის გაზეთები, რომელნიც არ უარყოფენ არაფერს, როგორც მოსალოდნელი იყო, ამტკიცებენ, რომ რუმინეთის შეიარაღება მხოლოდ პასუხია „საბჭოთა კავშირის გაფართოებულ შეიარაღებაზე" და რომ პოლონეთ-რუმინეთის კავშირს თავდაცვითი ხასიათი აქვს.

სამხედრო ორგანო „უნივერსალ"-ი ტენდენციურად სთვლის „ბერლინერ ტაგებლატ"-ის ცნობას პილსუდსკის გამგზავრების მიზნის შესახებ. გაზეთი ერიდება სხვაგვარ კომენტარიებს, ხელზე იხვევს მხოლოდ „ტან"-ის მიერ გამოგონილ ამბავს, თითქოს „ბერლინერ ტაგებლატ"-ის წერილი კრესტინსკისა და გერმანიაში მყოფ ჩიჩერინის ინსპირაციას წარმოადგენდეს. ამრიგად, გაზეთს საშუალება ეძლევა ამტკიცოს, თითქოს საბჭოთა პრესის გალაშქრება გამოწვეული იყოს იმით, რომ საბჭოთა კავშირს სურს დაფაროს თავისი შეიარაღების გაძლიერება. (ადს).

სტოიანოვის და მილევის დაპატიმრება

ვენა, 14 ოქტომბერი. სოფიის გაზეთების ცნობით, დააპატიმრეს მუშათა პარტიის დეპუტატი სტოიანოვი და დამოუკიდებელი პროფკავშირების საბჭოს მდივანი მილევი. მიზეზი ის არის, რომ პოლიციას თითქოს აღმოეჩინოს „არალეგალური კომუნისტური ორგანიზაცია". მოელიან სხვების დაპატიმრებასაც. (ადს).

დაგვიანებული სიკვდილი

დანიაში მოკვდა მარია ფეოდოროვნა რომანოვა.

კოპენჰაგენი, 14 ოქტომბერი. როგორც დანიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, გარდაიცვალა რუსეთის ყოფილი მეფის ნიკოლოზის დედა მარია ფეოდოროვნა. (ადს).

სოლიდარობის მიტინგი

პრაღა, 14 ოქტომბერი. ბრატისლავში ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიამ მოაწყო მიტინგი ავსტრიის პროლეტარიატისათვის სოლიდარობის გამოსაცხადებლად. მიუხედავად იმისა, რომ მიტინგი აკრძალული იყო, მას მაინც — 5.000 კაცი დაესწრო. პოლიცია ორჯერ შეეცადა მიტინგის გაფანტვას. ბოლოს დააპატიმრა ორატორები, მათ რიცხვში კომუნისტი დეპუტატი შაფრანკო.

მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც თანაგრძნობას უცხადებს ავსტრიის პროლეტარიატს მის ბრძოლაში ფაშიზმის წინააღმდეგ, აღნიშნავს ომის საფრთხეს და მოუწოდებს მუშებს—დაიცვან საბჭოთა კავშირი და დაეხმარონ კლადნოს გაფიცულ მემაღაროეებს. (ადს)).

ტევფიკ-ბეის დანიშვნა

ანგორა, 14 ოქტომბერი. **თურქეთის ელჩი მოსკოვში ტევფიკ-ბეი დაინიშნა თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის სამმართველოს გენერალურ მდივნად.** (ადს)

დირიჟაბლის „გრაფ ცეპელინი"-ს გაფრენა ამერიკაში

ბერლინი, 14 ოქტომბერი. როგორც ვოლფის სააგენტო იუწყება, ნიუ-იორკში კვირას დილის 5 საათზე, დირიჟაბლ „გრაფ ცეპელინი"-დან მიიღეს რადიო, რომელიც იტყობინება, რომ დირიჟაბლი ბერმუდის კუნძულებიდან ასი მილის მანძილზეა. დირიჟაბლი ნიუ-იორკში მისვლას ფიქრობს კვირას, ნაშუადღევს.

ნიუ-იორკის აეროდრომზე გამზადებულია 10 სამხედრო და 12 სამოქალაქო აეროპლანი, რომელნიც დირიჟაბლს გააცილებენ გზას უკანასკნელი 25 მილის მანძილზე (ადს).

ბერლინი, 14 ოქტომბერი. დირიჟაბლის „გრაფ ცეპელინ"-ის უფროსის ეკენერისაგან მოვიდა რადიოგრამმა. ეკერენი იუწყება, რომ მას, თუ მეტეოროლოგიური პირობები ხელს შეუწყობენ, იმედი აქვს ამერიკაში კვირას მიფრინდეს (ადს).

ლონდონი, 14 ოქტომბერი. როგორც ვაშინგტონიდან იუწყებიან, შეერთებული შტატების საზღვაო სამინისტრომ დირიჟაბლ „გრაფ ცეპელინი"-საგან მიიღო რადიო-ცნობა. დირიჟაბლის უფროსი იტყობინება დირიჟაბლის დაზიანების შესახებ, მაგრამ ზიანი ისეთია, რომ დირიჟაბლს შეუძლია ფრენა განაგრძოს. გზადაგზა, რამდენადაც შესაძლებელია, დირიჟაბლის ეკიპაჟი მუშაობს დაზიანებული ადგილის შესაკეთებლად. დირიჟაბლის უფროსი სთხოვს შეერთ. შტატების საზღვაო სამინისტროს—გაგზავნოს გემი დირიჟაბლის საესკორტოდ (ადს).

ბერლინი, 14 ოქტომბერი. რალეიგიდან (ჩრდილოეთ კაროლინის შტატი) ვოლფის სააგენტოს ატყობინებენ:

„გატერასის კონცხზე სანაპირო დარაჯმა მიიღო რადიო, რომელიც იუწყება, რომ „გრაფი ცეპელინ"-ი 5 საათზე იმყოფებოდა გატერასის კონცხიდან 320 მილის მანძილზე. შეერთებული შტატების საზღვაო სამინისტროს გადაეცა რადიო, საიდანაც სჩანს, რომ დირიჟაბლი იმყოფება ბერმუდის კუნძულებიდან 80 მილის მანძილზე და მიფრინავს სამხრეთ - დასავლეთის მიმართულებით, რათა მიაღწიოს ისეთ რაიონს, სადაც ქარი უფრო ხელსაყრელია.

დირიჟაბლზე ყველაფერი რიგზეა. საწვავი მასალაც საკმარისია. დირიჟაბლზე მყოფი გაზეთის „ლოკალ ანცეიგერ"-ის კორესპონდენტი ბრანდტი იუწყება, რომ დირიჟაბლს გზის მცირე ნაწილი ღა დარჩა გასავლელი, მაგრამ თუ წინააღმდეგი ქარი არ შესწყდა, შესაძლოა მან კვირა საღამოს ვერ მიაღწიოს ამერიკის ნაპირებსო. (ადს)

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი

ამიერ-კავკასიის გლეხებს

თვეზე მეტია, რაც უდიდესი წარმატებით მიმდინარეობს ინდუსტრიალიზაციის მე-2 სესხის რეალიზაცია ქალაქების მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტივებში. რეალურად ხორციელდება ლოზუნგები: „ქალაქის ყოველმა მშრომელმა სესხის ობლიგაციები უნდა შეიძინოს", ერთი თვის ხელფასი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის".

ახლა სიტყვა ეკუთვნის ამიერ - კავკასიის სოფელს, მშრომელ გლეხობას, რომელმაც თავის კრებებზე არა ერთხელ გამოსთქვა სურვილი, რომ მუშებთან ერთად ხელი მოაწეროს ამგვარ სესხს, ცალკე გლეხური სესხის ნაცვლად. **ინდუსტრიალიზაციის დღევანდელი მე-2 სესხი სწორედ მთლიანი მუშურ - გლეხური სესხია; იგი ქალაქისა და სოფლისათვის არის გათვალისწინებული და გამოშვებულია 500.000.000 მანეთის რაოდენობით. სესხი დანიშნულია ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპის გასაძლიერებლად და სოფლის მეურნეობის ასამაღლებლად, რაც ამავე დროს ნიშნავს გლეხთა ფართო მასების კეთილდღეობის გაუმჯობესებას.**

საბჭოთა სახელმწიფო სოფლის მეურნეობის გასაძლიერებლად თვალსაჩინო თანხებს ხარჯავს თავის ბიუჯეტიდან. მაგალითად, 1928-29 სამეურნეო წელს საკავშირო ბიუჯეტით გათვალისწინებულია 293 **მილიონი მანეთის** გადადება საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობისათვის ფინანსების მისაწოდებლად. 1927-1928 წელს კი გადადებული იყო 167 **მილიონი** მანეთი.

რაც შეეხება ამიერ - კავკასიას, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის ფინანსებით მომარაგების გეგმის თანახმად, მიმდინარე 1928-29 საბიუჯეტო წლის განმავლობაში ნავარაუდევია **59.693.000** მანეთის დახარჯვა; აქედან რესპუბლიკების მიწათ-მოქმედების კომისარიატების საშუალებით — 10.667 ათასი მანეთი, სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტით — 12.091 ათასი მანეთი, სასოფლო - სამეურნეო ბანკებისა და საკრედიტო ამხანაგობათა საშუალებით— 20.425 ათასი მანეთი, ამიერ - კავკასიისა და რესპუბლიკების წყალთა მეურნეობის სამმართველოების საშუალებით — 15.809 ათასი მანეთი და კოოპერაციის საშუალებით — 800 ათასი მანეთი.

ამ დიდ თანხასთან შედარებით, რომელიც თითქმის 60 მილიონ მანეთს უდრის, მთავრობამ გლეხთა შორის გასასაღებლად დანიშნა სესხის მეტად მცირე თანხა — **სულ დაახლოვებით 2 მილიონი მანეთი.** ეს თანხა დიდი არ არის ამიერ - კავკასიის გლეხობისათვის, თუ მხედველობაში მივიღებთ წლევანდელ მოსავალს და სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის რეალიზაციის ხელსაყრელ შემოდგომის პერიოდს, როცა სოფელს დიდი თანხები შესდის. გარდა ამისა, **ინდუსტრიალიზაციის მე-2 სესხი გლეხობისათვის მეტად სასარგებლო და მარჯვე საშუალებაა თავისი შრომით მონაგარი და დაზოგვილი თანხების მოსათავსებლად; სესხი აძლევს პროცენტებს და მოგების შესაძლებლობას 100 მანეთიდან 5.000 მანეთამდე.** სესხის რეალიზაციას სრულიად ნებაყოფლობითი ხასიათი აქვს, რაც შეუძლებლად ხდის ყოველნაირ იძულებითს ზომას.

ვიღებ რა მხედველობაში სესხის მიზანს და მის სარგებლობას, მოვუწოდებ ამიერ - კავკასიის რესპუბლიკების გლეხებს, მუშების მსგავსად ფართოდ გამოეხმაურონ მუშათა და გლეხთა მთავრობის მოწოდებას, და ხელი მოაწერონ ინდუსტრიალიზაციის მე-2 სესხს. ქალაქის მშრომელთა ლოზუნგის მსგავსად, გლეხობამ უნდა წამოაყენოს თავისი ლოზუნგი — **გლეხის არც ერთი სახლკარი, სოფლის არც ერთი მეურნეობა უობლიგაციოდ არ უნდა დარჩეს,** — და ყოველგვარი ზომა უნდა მიიღოს, რომ ამ ლოზუნგმა ხორცი შეისხას.

ამიერ - კავკასის მხვნელ-მთესველო! თუ შენ გინდა მიიღო იაფი და საკმარისი საჭირო საქონელი, გქონდეს შენი მეურნეობისათვის საჭირო მანქანები, იარაღი, სასუქი და გყავდეს საქონელი; თუ გინდა არსებობდეს შენი ნედლეულობისა და პროდუქტების დასამუშავებლად საჭირო ფაბრიკები, ქარხნები, რიგიანი გზები და ტრანსპორტის საშუალებანი; თუ შენ ხედავ, რომ არ გყოფნის სკოლები, საავადმყოფოები, კლუბები, ქოხ - სამკითხველოები და გინდა მათი გამრავლება — ხელი მოაწერე იმ სესხს, რომელიც შენმა მთავრობამ გამოუშვა სწორედ ამ შენი საარსებო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ხელი მოაწერე შენ თვითონვე და იგივე ურჩიე შენს მეზობელს, ნაცნობს და მახლობელს. გახსოვდეს, რომ თვითეული მანეთი, რომელსაც მთავრობას ასესხებ, ერთი ათად დაგიბრუნდება შენი მეურნეობის გასაძლიერებლად, შენი კულტურული დონის ასამაღლებლად და შენი მატერიალური კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად.

სოციალიზმის მშენებლობისათვის და უკეთესი ცხოვრების შექმნისათვის შენ განუყრელად დაუკავშირდი მუშებს; ნუ ჩამორჩები ქალაქის მუშას სესხის განაღდების საქმეშიაც, მასთან ერთად გაიღე შენი დაზოგვილი მანეთი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის.

ამიერ - კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე: ალამალი-ოღლი

1928 წ. 14 ოქტომბერი.
თბილისი— სასახლე.

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ლოკაუტის „მიზეზები"

მოსკოვი, 15 ოქტომბერი. გაზეთ „პრავდა"-ს ბერლინელი კორესპონდენტი გამმა იტყობინება:

გერმანიის ბურჟუაზიული პრესა დიდ ადგილს უთმობს ლითონის მრეწველობაში გამოცხადებულ ლოკაუტის მიზეზების ახსნა- განმარტებას. რეინისა და ვესტფალის რკინისა და ფოლადის ჩამომსხმელი ქარხნების პატრონები თავიანთ წერილებში ასაბუთებენ მათ მიერვე გამოცხადებულ ლოკაუტის მიზანშეწონილებას. ფაბრიკანტები აღნიშნავენ, რომ საჭიროა ბოლოს და ბოლოს დასასრული მივცეთ მუშების დაუსრულებელ მოთხოვნას ხელფასის გადიდებისა და სამუშაო დღის შემოკლების შესახებ. გარდა ამისა, ვესტფალიისა და რკინის ლითონის მრეწველთა აზრით, საჭიროა მუშებთან ხანგრძლივი ვადით დადებულ იქნას ხელშეკრულება, რომელიც საზღვარს . მისცემს მუშების დაუსრულებელ პრეტენზიებს.

კომპარტიის კანდიდატი უგზო-უკვლოდ დაიკარგა

მოსკოვი, 15 ოქტომბერი. გაზეთ „პრავდა"-ს კორესპოდენტი ფლინი შემდეგს იტყობინება ჩრდილოეთ- ამერიკის შეერთებულ შტატებიდან:

ამერიკის კომუნისტური პარტიის მიერ მომავალ არჩევნებისათვის ვიცე-პრეზიდენტათ დასახელებული კანდიდატი ამხ. გიტლოუ უგზო- უკვლოდ დაიკარგა. 9 ოქტომბრიდან 15 ოქტომბრამდე არავითარი ცნობები არ მოიპოება ამხ. გიტლოუს მდგომარეობის შესახებ.

ფიქრობენ, რომ კომუნისტური პარტიის კანდიდატების დაკარგვას წმინდა პოლიტიკური ხასიათი აქვს. ამხ. გიტლოუ გატაცებული უნდა იყოს ამერიკელ ფაშისტურ ორგანიზაციის კუ-კლუკსკლანის მიერ.

ნავთის ექსპორტის სარეკორდო ციფრი

მოსკოვი, 15 ოქტომბერი. გაზეთი „ეკონომიჩესკაია ჟიზნ"-ი აღნიშნავს იმ დიდ მიღწევებს, რომელიც ჩვენ გვაქვს ნავთის ექსპორტის დარგში წარსული სამეურნეო წლის განმავლობაში.

გაზეთი აცხადებს: ახლად დასრულებული სამეურნეო წელი იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენ უცხოეთის ნავთის ბაზრის დაპყრობის მხრივ დიდი წარმატებები მივიღეთ. წარსულ წელმა მოგვცა ნავთის ექსპორტის სარეკორდო ციფრი. 1927—28 სამეურნეო წლის განმავლობაში უცხოეთის ბაზარზე გატანილია 2,7 მილიონი ინგლისური ტონა ნავთის პროდუქტები. ეს იმას ნიშნავს, რომ ომამდე არსებულ ნავთის ექსპორტთან შედარებით ჩვენ გავიტანეთ სამჯერ უფრო მეტი.

ცენტრალური საბჭოთა გაზეთები საბჭოთა ქაღალდზე

მოსკოვი, 16 ოქტომბერი. 1928 წლის 15 ოქტომბერი განსაკუთრებულ თარიღათ აღინიშნება საბჭოთა ქაღალდის მრეწველობაში. ამ დღეს ყველა ცენტრალური გაზეთი დაიბეჭდა საბჭოთა ფაბრიკებში დამზადებულ ქაღალდზე.

ახლად დასრულებულ სამეურნეო წლამდე საბჭოთა კავშირში დამზადებული საგაზეთო ქაღალდი მხოლოდ 5 პროცენტით აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას. წარსულ სამეურნეო წელში კი 5 პროცენტი 20 პროცენტამდე ავიდა.

ამჟამად შენდება ბალახნის უდიდესი ქაღალდის ფაბრიკა, რომელიც დიდ პერსპექტივებს იძლევა ქაღალდის მრეწველობაში.

უცხოელები აგვიანებენ დაკვეთებს

მოსკოვი, 13 ოქტომბერი. საკავშირო მეურნეობის უმაღლეს საბჭომ მიმართა ვაჭრობის სახალხო კომისარიატს განცხადებით. აღნიშნულ განცხადებაში გამოთქმულია უკმაყოფილება უცხოეთის იმ ფირმებზე, რომლებსაც აღებული აქვთ დაკვეთები საბჭოთა ორგანოებისაგან. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო აცხადებს, რომ უცხოეთის ფირმები ხშირად მეტად აგვიანებენ დაკვეთის შესრულებას. ამის საილიუსტრაციოთ, როგორც ერთ-ერთი კონკრეტიული ფაქტი დასახელებულია ბაქო-ბათომის ნავთსადენის მოწყობილობათა დამზადების დაგვიანება-

უკანასკნელი ცნობები

დორიოს შეკითხვები დეპუტატთა პალატაში

პარიზი, 15 ოქტომბერი. კომუნისტმა დეპუტატმა დორიომ პალატაში ორი შეკითხვა შეიტანა. პირველი შეკითხვა ეხება წყალქვეშა ნავის „უნდინის“ დაღუპვას (იგი დაიღუპა საბერძნეთის გემთან დაჯახების გამო). მეორე შეკითხვაში დორიო მოითხოვს იმ მიზეზების ახსნას, რომელთა გამოც ნობილეს ექსპედიციის დასახმარებლად გაიგზავნა ჰიდროპლანი „ლამატი“, რომელიც სრულიად შეუფერებელი იყო არქტიკისაკენ გასაფრენად. (ადს).

ფაშისტების თალლითობა

ნიუ-იორკი, 15 ოქტომბერი. 14 ოქტომბერს საღამოთი უორკერ პარტიის სავიცეპრეზიდენტო კანდიდატი დიტლოუ ხოუსტონში მივიდა და მიტინგზე წარმოსთქვა სიტყვა. მიტინგი პოლიციამ გაჰფანტა და დააპატიმრა 6 კომუნისტი. უორკერ პარტიამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც ნათქვამია, რომ ფაშისტების თალლითობის გამო დიტლოუ, რომელიც საარჩევნო აგიტაციისათვის მოგზაურობს, არ წავიდა ქალაქ დენიკსში (ორიზონას შტატი) და მისგან—დიტლოუსაგან აღარავითარი ცნობა არ იყო. ამ გარემოებამ მეტად სერიოზული შიში დაბადა მისი ბედ-იღბლის შესახებ, რადგან ორიზონის რეაქციონერები დიდი ხანია, რაც მას ემუქრებიან. ახლა გამოირკვა, რომ ფაშისტებმა დააპატიმრეს კომუნისტების საგუბერნატორო კანდიდატი ო,ბრაიენი და მის მაგიერ დეპეშა გაუგზავნეს დიტლოუს, რომელიც კალიფორნიაში, სანდიეგოში იმყოფებოდა, რომ დენიკსში მიტინგი აღარ იქნებაო. რადგან დიტლოუ ვადაზე არ მივიდა დენიკსში, კომუნისტებს შიში შეეპარათ იმის მდგომარეობაზე და ხმა გავრცელდა, რომ დიტლოუ დაპატიმრებულია. დენიკსში მიტინგი მაინც გაიმართა, მაგრამ იგი პოლიციამ გაჰფანტა. (ადს).

„გრაფი ცეპელინი“ ჩრდ. ამერ. შეერთ. შტატებში მიფრინდა

ნიუ-იორკი, 15 ოქტომბერი. გერმანიის დირიჟაბლი „გრაფი ცეპელინი“ ვაშინგტონზე გადაფრინდა და ნიუ-იორკისაკენ გაემართა. (ადს).

ამუნდსენის ხსოვნის აღსანიშნავად

ოსლო, 14 ოქტომბერი. ოსლოში ამუნდსენის ხსოვნის აღსანიშნავად გაიმართა დემონსტრაცია, რომელშიაც რამდენიმე ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. ყველა მოედანზე წარმოითქვა სიტყვები. ამუნდსენის ხსოვნის პატივსაცემად. მთავარ მოედანზე სიტყვების შემდეგ დამსწრეებმა ქუდები მოიხადეს და ჩირაღდნების სინათლეზე წუთიერი სიჩუმითა და დუმილით აღნიშნეს ხალხის მწუხარება. (ადს)

„ტოვარიშჩ“-ის ჩამოსვლა

ოდესა, 15 ოქტომბერი. ჩამოვიდა სასწავლო იალქნიანი გემი „ტოვარიშჩ“-ი. გემმა ჩამოიყვანა ჰამბურგიდან ოდესის, ლენინგრადის, ვლადივოსტოკის და ხერსონის საზღვაო ტეხნიკუმების 60 პრაქტიკანტი. (ადს).

ინჟ. ს. დ. შეინის ლექცია

18 ოქტომბერს თბილისში, მუშათა სასახლის დიდ დარბაზში გაიმართება სრულიად საკავშირო საინჟინერო-ტეხნიკურ ძალთა ბიუროს თავმჯდომარის პროფ. ს. დ. შეინის ლექცია—„ეკონომიური კონტრ-რევოლიუციის პროცესი დონბასში და საინჟინერო-ტეხნიკურ ძალთა მორიგი ამოცანები“.

საბჭოთა კავშირის ვაჭრობა აღმოსავლეთთან

საკავშირო სავაჭრო პალატის საბჭოს სხდომა

მოსკოვი, 15 ოქტომბერი. შესდგა აღმოსავლეთის სრ. საკავშირო სავაჭრო პალატის საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს მოსკოვში მოსულმა ავღანელმა ვაჭრებმა. სხდომას დაესწრნენ აგრეთვე ავღანისტანის რწმუნებული საბჭოთა კავშირში საიალი ახმედ ხანი, საგარეო საქმეთა კომისარიატის შუა აღმოსავლეთის განყოფილების გამგე ამხ. ცუკერმანი, ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობის კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. მალიშევი, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა კომისარიატისა და ვაჭრობის კომისარიატის პასუხისმგებელი თანამრომელნი, სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენელნი და სხვანი.

პალატის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ლეჟავა მიესალმა ავღანელი ვაჭრების მოსვლას საბჭოთა კავშირში და აღნიშნა მათი მოსვლის მნიშვნელობა.

საბჭოთა კავშირისა და ავღანისტანის ვაჭრობის შედეგების შესახებ მოხსენება გააკეთა პალატის სწავლულმა მდივანმა ამხ. შმორგონერმა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ავღანისტანის სახალხო მეურნეობა ვითარდება და რომ ამ განვითარების ერთ-ერთი მიზეზია ავღანისტანის ვაჭრობა საბჭოთა კავშირთან. ამხ. მალიშევი მიესალმა ახლად მოსულ ავღანელ ვაჭრებს და მწუხარება გამოსთქვა, რომ ისინი საბჭოთა კავშირში მოვიდნენ ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობის შემდეგ, სადაც მათ შეეძლოთ უფრო ჩქარა გაერიგებინათ თავიანთი კომერციული საქმეები.

ავღანელი ვაჭრების სახელით გამოსულმა ამხ. ხაკიმოვმა მადლობა გადაუხადა პალატას ამ თათბირის მოწვევისათვის. ამხ. ხაკიმოვმა მიმართა უშუალოდ ავღანელ ვაჭრებს და აღნიშნა, რო ისინი უნდა მისდევდნენ იმ ქვეყანის კანონებს, სადაც ისინი არიან და რომელთანაც ვაჭრობენ.

„მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ორივე მხარისათვის, რომ ავღანელი ვაჭრები ცდილობდნენ თავიანთ სავაჭრო საქმეების მოგვარებას სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციების საშუალებით“. „ჩვენ კმაყოფილებით წავიკითხეთ ფადიშაჰი ამანულახანის განცხადება იმის შესახებ, — განაგრძო ამხ. ხაკიმოვმა, — რომ მალე კეთილად დამთავრდება მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულების დადების შესახებ“.

ამხ. ლეჟავამ თავის მოკლე საბოლოო სიტყვაში აღნიშნა საბჭოთა კავშირისა და ავღანისტანის ვაჭრობის ყველა კონკრეტული საკითხების მოწესრიგების საჭიროება და წინადადება შეიტანა, რომ პალატაში სასწრაფოდ დაარსდეს ავღანური სექცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობა უნდა მიიღონ საბჭოთა სამეურნეო ორგანიზაციებმა და ავღანელმა ვაჭრებმა. (ადს)

ამხ. ტამარინი საბჭოთა კავშირისა და სპარსეთის ვაჭრობის შესახებ

ბაქო, 15 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელმა, რომელიც ამჟამად ბაქოშია, შეეხო საბჭოთა კავშირისა და სპარსეთის ვაჭრობის უმთავრეს შედეგებს განვლილი საოპერაციო წლის განმავლობაში. შარშანდელმა საქონლის ბრუნვამ ორივე ქვეყნის შორის გამოარკვია, რომ საბჭოთა კავშირი ერთად-ერთი ქვეყანაა, რომელთანაც სპარსეთს აქტიური სავაჭრო ბალანსი აქვს. სპარსეთის ვაჭრები რომ უფრო მეტად ჩაებან საქონლის უშუალო ბრუნვაში საბჭოთა კავშირთან, სავაჭრო წარმომადგენლობა შეუდგა საქონლის საკომისიო ოპერაციების თვალსაჩინოდ გაფართოებას.

დასასრულ ამხ. ტამარინმა აღნიშნა, რომ ჩვენ მტკიცე ზომებს ვიღებთ საბჭოთა კავშირისა და სპარსეთის ვაჭრობის დეფექტების მოსასპობად. საჭიროა, რომ სპარსეთის ვაჭრობის სამინისტრომაც ყურადღება მიაქციოს იმ დეფექტების თავიდან აშორებას, რომლებიც აძნელებენ საქონლის ბრუნვის ზრდას ორავე ქვეყნის შორის. (ადს)

თათბირი საბჭოთა კავშირისა და სპარსეთის ვაჭრობის შესახებ

ბაქო, 15 ოქტომბერი. ამხ. ტამარინის თავმჯდომარეობით შესდგა თათბირი საბჭოთა კავშირისა და სპარსეთის ვაჭრობის შესახებ. თათბირმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირში შემოტანილი სპარსეთის საქონლის უმრავლესობა დაბალი ხარისხისაა. თათბირმა დაადგინა: მოეწყოს ბაქოს საქონლის ბირჟასთან საქონლის შემფასებელთა ინსტიტუტი, რომლებმაც უნდა შეაფასონ სპარსეთიდან შემოსული საქონელი. თათბირმა საჭიროდ სცნო მეორეხარისხოვანი საქონლის ექსპორტის გადიდება (ელექტრო არმატურის, პატარა მამოძრავებლების, სხვადასხვა ინსტრუმენტების და სხვ.) (ადს)

საბჭოთა მედიცინის ათი წლის თავი

მოსკოვი, 15 ოქტომბერი 12 ოქტომბერს მოეწყო საბჭოთა მედიცინის 10 წლის თავის დღესასწაული, რომელიც ზაფხულიდან შემოდგომაზე იქნა გადმოტანილი. დეკრეტს ჯანმრთელობის კომისარიატის დაწესების შესახებ ლენინმა ხელი მოაწერა 1918 წლის 11 ივლისს. ათი წლის თავთან დაკავშირებით შესდგა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის საზეიმო სხდომა ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის მუშაკთა მონაწილეობით. სხდომაზე ამხ. სემაშკომ წარმოთქვა სიტყვა საბჭოთა მედიცინის მიღწევების შესახებ. (ადს).

საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლიუციონური საბჭოს მისალმება

მოსკოვი, 15 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლიუციონური საბჭო მიესალმა რ.ს.ფ.ს.რ.-ის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს ამ უკანასკნელის ათი წლის იუბილეს გამო. (ადს).

საექსპორტო-საიმპორტო გეგმა

მოსკოვი, 15 ოქტომბერი. საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოში შესდგა კავშირების ცენტრალური კომიტეტების თათბირი, რომელმაც მოისმინა მოხსენებანი 1928 — 29 წლის საექსპორტო - საიმპორტო გეგმის შესახებ. თათბირმა საჭიროდ სცნო მოითხოვოს ასიგნობების გადიდება კაპიტალური მშენებლობისათვის მრეწველობის იმ დარგებში, რომელნიც ექსპორტზე მუშაობენ. თათბირი ფიქრობს, რომ საჭიროა გადამჭრელი ზომების მიღება ტყის ექსპორტის მაქსიმალურად გაძლიერებისათვის.

შემდეგ თათბირი საჭიროდ სცნობს მიღებულ იქნას ზომები საზღვარ გარეთიდან შემოსატანი ნედლეულისა და ნახევრად ფაბრიკატების უფრო ეკონომიურად მოხმარებისათვის. ცალკე შემთხვევებში საჭიროა მათ ნაცვლად საბჭოთა წარმოების სუროგატების გამოყენება.

რაც შეეხება პროფკავშირების მონაწილეობას ექსპორტისა და იმპორტის გეგმების დამუშავებაში, თათბირმა გამოიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებანი. თათბირმა დაავალა ექსპორტზე მომუშავე წარმოებებს ეკონომიურ კომისიებს და საწარმოო თათბირებს თვალყური ადევნონ საექსპორტო განკვეთების შესრულებას. საგარეო ვაჭრობის აპარატის გასაუმჯობესებლად თათბირი საჭიროდ სცნობს მიღებულ იქნეს ზომები მუშების დასაწინაურებლად საზღვარ-გარეთის სავაჭრო წარმომადგენლობის აპარატში და აგრეთვე სახელმწიფო ვაჭრობის საექსპორტო - საიმპორტო კანტორებში. (ადს)

კრედიტები მშენებლობისათვის

მოსკოვი, 15 ოქტომბერი. მშენებელთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოისმინა ამხ. ბერნაცკის (საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისია) მოხსენება 1928—29 წლის მშენებლობის შესახებ.

მშენებლობაში დაბანდებული თანხა წელს შეადგენს 5 მილიარდ მანეთამდე.

ახალ საბჭოთა მეურნეობების მშენებლობისათვის გადადებულია 150 მილიონი მანეთი. შარშანდელთან შედარებით, მშენებლობის საერთო ზრდა გამოიხატება 20 პროცენტით.

ამხ. ვალპრევსკიმ (გზათა კომისარიატი) აღნიშნა, რომ რკინის გზის მშენებლობაზე ასიგნობანი გადიდებულია თითქმის 100 პროცენტით ყველაზე მეტად გზატკეცილებისა და შარა გზების სამუშაოს ხარჯი გაიზარდა. (ადს).

ა. კ. ფედერაციაში

ფულის გაფლანგვა

ასტარა, 14 ოქტომბერი. ფოსტა - ტელეგრაფის კომისარიატის რწმუნებულმა აზერბეიჯანში ამხ. ტერ-დანელიანცმა ასტარას ფოსტა - ტელეგრაფის კანტორაში აღმოაჩინა 7.319 მან. 68 კაპ. გაფლანგვა. ფული გაფლანგა კანტორის უფროსმა ალი იაგუბოვმა. გაფლანგული ფულიდან 4.876 მან. 90 კ. ანაბარებისაგან შესდგებოდა. ალი იაგუბოვი დააპატიმრეს. (ადს)

უმსგავსოებანი ჯანმრთელობის განყოფილებაში

განჯა, 14 ოქტომბერი. მუშათა და გლეხთა ინსპექციის რწმუნებულის თხოვნით, აზერბეიჯანის სახელმწიფო საფინანსო კონტროლმა ხელმეორედ გამოიკვლია ჯანმრთელობის განყოფილების მოქმედება. რევიზიამ აღმოაჩინა, რომ ჯანმრთელობის ხარჯთაღრიცხვა 1927 — 28 წლისათვის არავის დაუმტკიცებია. სამკურნალო ფონდს ჯანმრთელობის განყოფილება უკანონოდ ხარჯავდა. ჯანმრთელობის განყოფილების შტატის შენახვა უნდა დამჯდარიყო 46.000 მანეთად, ხოლო დახარჯულია 60.485 მანეთი. (ადს)

ბოროტმოქმედებანი ნახიჩევანის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში

ნახიჩევანი, 14 ოქტომბერი. პროკურატურამ გამოიკვლია ცენტრ. სტატისტიკურ სამმართველოში ჩადენილი ბოროტმოქმედებანი. გამოირკვა, რომ ცენტრ. სტატისტიკური სამმართველო სისწორით არ ანაწილებდა კრედიტებს. სამმართველოს გამგემ კატანიანმა მიითვისა 800 მანეთი. კატანიანს ბრალდება აგრეთვე უფლების გადამეტება და ხელისუფლებისათვის სახელის გატეხა. იგი ქუჩაში მთვრალი დადიოდა. მან ხელით შეურაცხყოფა მიაყენა მილიციელს. კატანიანმა აიძულა აგრეთვე თანამშრომელი ქალი ზ., რომ მასთან ეცხოვრა.

კატანიანი დაპატიმრებულია და გამასწორებელ სახლში ზის. საქმეს გაარჩევს ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სასამართლო. (ადს)

„სოფლის კავშირი“-ს ინსტრუქტორთა და სას.-სამ. ბანკის ინსპექტორთა თათბირი

სას.-სამ. საკრ. ამხანაგობათა გადაყვანა ახალ წესდებაზე

(მომხსენებელი ამხ. ლ. ცინცაძე)

ჩვენი სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობების ძველი წესდება ამბობს მომხსენებელი,—არ გამოხატავს ყველა იმ საქმიანობას, რომელსაც ამჟამად ეწევიან სასოფლო-სამეურნეო საკრ. ამხანაგობები. რადგან ამჟამად მოქმედი წესდება ითვალისწინებს მხოლოდ საკრედიტო საქმიანობას, წმინდა საკრედიტო საქმიანობით ამხანაგობის მუშაობის განსაზღვრა მიზანშეუწონელი აღმოჩნდა, რადგან ასეთი საქმიანობა მას სათანადოთ ვერ ტვირთავს, და იწვევს ზარალს. ამ მოსაზრებით, როგორც საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკებში, ისე ჩვენშიდაც სასოფლო-სამ. ამხანაგობებს შეუერთდა საკრედიტო ამხანაგობები. ეს გაერთიანება ჩვენში ჩატარდა ამ ორი წლის წინათ, მაგრამ გაერთიანებულ ამხანაგობებს დღემდე არ ჰქონიათ თავის შესაფერი წესდება. 1927 წლის 18 იანვარს კოოპერატიულ კრედიტის შესახებ გამოსულ კანონის თანახმად ყველა მოქმედი სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობები უნდა გადავიდნენ ახალ წესდებაზე. საქართველოში ახალ წესდებაზე გადასვლა დაგვიანდა იმ მიზეზის გამო, საჭირო იყო სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობების საქმიანობის დაინტერესებულ ორგანოების შეთანხმება. გარდა ამისა ახალ წესდებაზე გადასვლა გულისხმობს არა მარტო ფორმალურ მომენტს, არამედ ის შეიცავს მთელ რიგ ახალ ღონისძიებების ჩატარებას, რომლებმაც რამოდენიმე წლისათვის უნდა განსაზღვროს ამხანაგობათა ცალკე დარგების მუშაობა. ერთი ასეთი ღონისძიებათაგანია თანხების გადაჯგუფება და თანხების დაგროვება სასოფლო-სამეურნეო საკრ. ამხანაგობათა საქმიანობის ცალკე დარგების მიხედვით. ახალი წესდება სწორედ იმით განსხვავდება ძველი წესდებისაგან, რომ სასოფლო-სამეურნეო საკრ. ამხანაგობების მუშაობა მრავალ მხრივ ხასიათს ღებულობს: მას ეკისრება საკრედიტო, სავაჭრო საშუამავლო საწარმოო და სხვა ფუნქციები, რომელთაგან თვითეულს თავისი დანიშნულების თანხები უნდა ექნეს. თანხების ასეთი განსაზღვრა ნაკარნახევია იმ მოსაზრებით, რომ ადგილი არ ექნეს რომელიმე დარგის მუშაობის შემცირებას ან გაფართოებას მეორის ხარჯზე და პირიქით. მუშაობა ამა თუ იმ დარგში უნდა სწარმოებდეს იმის და მიხედვით, თუ როგორ გროვდება ამხანაგობაში საამისოდ გამოყოფილი თანხები, რომ ადგილი არ ექნეს ისეთ მოვლენას, როგორიც არის განსაზღვრულ დანიშნულების თანხების სხვა მიზნებისათვის გამოყენება. კერძოთ ძირითადი თანხა, რომელიც ასეთ გადაჯგუფების შემდეგ შეიქმნება, მთლიანად უნდა მოხმარდეს საკრედიტო ოპერაციას, მხოლოდ ამ უკანასკნელის მოცულობა უნდა განისაზღვროს ძირითადი თანხის ათმაგ რაოდენობით. სავაჭრო-საწარმოო ოპერაციების საწარმოებლადაც ახალი წესდებით გამოყოფილი იქნება სპეციალური თანხა. სავაჭრო-საწარმოო ოპერაციების მოცულობა, რომელთაც ამხანაგობა თავის ანგარიშზე აწარმოებს, არ უნდა აღემატებოდეს ამ სპეციალური თანხის ხუთმაგ რაოდენობას. გარდა ამისა, ამხანაგობებს ექნებათ სპეციალური თანხები: ქონებისათვის, პაიებისა და აქციებისათვის, ღარიბთა შესაკავშირებელი ფონდისათვის, კულტურული მუშაობისათვის და სხვ. მომავალში ამხანაგობის საქმიანობის გაფართოება ამა თუ იმ დარგში დაუკავშირდება მხოლოდ საამისოდ შექმნილ თანხების ზრდას. ამიტომ ახალ წესდებაზე გადასვლით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წევრთა საშუალებების მოზიდვას სასოფლო-სამეურნეო საკრ. ამხანაგობებში. (საწევრო, საპაიო, სპეციალური გადასახადი და სხვა).

ამხანაგობათა გადაყვანა ახალ წესდებაზე უნდა ჩატარდეს ინსტრუქტორების და ინსპექტორების საშუალებით არა უგვიანეს 1929 წ. 1-ლ იანვრისა. ამჟამად ახალ წესდებაზე გადაყვანის გეგმას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს იხილავს „სოფლის კავშირთან“ არსებული სპეციალური კომისია, რომელიც შესდგება ყველა დაინტერესებულ ორგანოების წარმომადგენლებისაგან (სოფლის კავშირი, სას.-სამ. ბანკი, კოოპერატიული ბანკი ფინსახკომი და მიწსახკომი).

ამავე სხდომაზე მოსმენილ და დამტკიცებულ იქნა მოხსენება სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა ფინანსიურ-ოპერატიულ მუშაობის გეგმის შესახებ.

დასასრულ მიღებულ იქნა რეზოლიუციები გაკეთებულ მოხსენებათა მიხედვით (სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კოოპერაციის მორიგ ამოცანების, კოლმეურნეობათა მშენებლობის, საფინანსო ოპერატიულ გეგმის შესახებ და სხვა).

ამით ამოიწურა თათბირის დღის წესრიგი.

შეცდომების გასწორება

ადგილებიდან გაკეთებულ მოხსენებების ანგარიშში გაპარულია შემდეგი შეცდომები:

აჭარისტანის სას.-სამ. საკრ. ამხანაგობებზე ნათქვამია,—თითქოს ისინი აერთიანებდენ — 13.609 კომლს. ნამდვილად ეს არის მოსახლეობის მთელი რიცხვი. ამხანაგობები კი აერთიანებენ ამ რიცხვის 31,4 პროცენტს. იქვე სწერია: საბიუჯეტო სახსრები მოხმარდა დანიშნულებისამებრ უნდა იყოს—საბიუჯეტო სახსრების ნაწილი არ იქნა მოხმარებული დანიშნულებისამებრ.

გაპარულია შეცდომები აფხაზეთის წარმომადგენლის მოხსენებაში:

აფხაზეთის სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობათა მიერ მიღებული გრძელვადიანი სესხი უდრის 814.710 მანეთს, მოკლევადიანი—933 78[illegible] მან. ამავე ამხანაგობებზე გაუციათ 320.634 გრძელვადიანი სესხი, და 748.192 მან. მოკლევადიანი. მომარაგება-გამსაღებელ ოპერაციების ბრუნვა შეადგენს 822.240 მან.

თბილისის მაზ. სასოფლო-სამ. საკრ. ამხანაგობებში ვადაგადაცილებულ სესხის რაოდენობა უდრის 32 000 მანეთს და არა 485.048 მ., როგორც შეცდომით იყო ნაჩვენები.

ექსპედიცია მყინვარ-წვერზე

15 ოქტომბერს თბილისიდან გაემგზავრა ამიერ-კავკ. ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს და საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ექსპედიცია, რომელიც მყინვარზე ავა და თან სხვადასხვა სიმაღლიდან მოახდენს რადიო-გადაცემისა და რადიო-მიღების ცდებს. თბილისიდან რადიო-ექსპედიცია ორი ავტომობილით გაემგზავრა. პირველი ავტომობილი გავიდა დღის 12 საათზე. ამ ავტომობილით გაიგზავნა მთელი ბარგი: მოკლეტალღიანი გადამცემები და მიმღებები, აგრეთვე სამგზავრო ანტენა ბამბუკის დასაკეცი ანძით. მეორე ავტომობილით, რომელმაც საღამოს 5 საათზე გავიდა, გამგზავრნენ ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარის რწმუნებულის მოადგილე ამხ. ყამარაული, ნავთლუღის რადიო-სადგურის უფროსი ამხ. კვერნაძე და ექსპედიციის სხვა მონაწილენი.

რადიო-გადაცემის და რადიო-მიღების ცდებს ექსპედიცია მოახდენს რამდენსამე ადგილას მყინვარზე ასვლის დროს. პირველ ცდებს მოახდენენ მყინვარის ძირში, შემდეგ—2.400, 3.600 და 4.800 მეტრის სიმაღლეზე, აგრეთვე, თუ შესაძლებელი იქნება, მყინვარის წვერზე, რომლის სიმაღლეც 5.800 მეტრს უდრის.

მომავალი ცდების შესახებ თბილისის რადიო-სადგურის შემწეობით ეცნობა საბჭოთა კავშირის ყველა რადიო-სადგურს.

ცელულოზის დამზადების ახალი საშუალება

მოსკოვი, 13 ოქტომბერი. მაუდის ფაბრიკებში წარმატებით დამთავრდა ცელულოზის ახალი საშუალებით დამზადების ცდები. ცდებმა დაამტკიცეს, რომ ახალი მეთოდები მინიმალურ ხარჯებთან თვალსაჩინოდ [illegible] თვითღირებულებას და ასწევენ მოწყობილობის ნაყოფიერებას.

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა ბრძანებაში მადლობა გამოუცხადა მაუდის ფაბრიკების ყველა მუშასა და ტეხნიკურ პერსონალს, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ ცდებში. განსაკუთრებით აღნიშნულია ცდების ხელმძღვანელის ინჟენერ გილერის დამსახურება.

სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ წინადადება მისცა „გლავლესხიმ“-ს გამოჰყოს წლიური ეკონომიის 50 პროც. ახალი მეთოდის გამოსაყენებლად და ამავე დარგში შემდგომი მეცნიერული გამოკვლევებისათვის. წინადადება [illegible] აგრეთვე, დააჯილდოვოს ცდების მონაწილენი და უზრუნველჰყოს მათი მივლინება უცხოეთში სამეცნიერო მიზნით მიმდინარე წლის განმავლობაში.

„გლავლესხიმ“-ს წინადადება მიეცა, მიიღოს ზომები, რომ ცელულოზის დამზადების ახალი საშუალება გავრცელებულ იქნას ცელულოზის ყველა ფაბრიკაზე საბჭოთა კავშირში (ადს).

პარტიული აღმშენებლობა

ყურადღება პარტმუშაობის რაციონალიზაციას

თბილისის კომიტეტის დადგენილება

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმმა, მოისმინა რა მოხსენება საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის პარტმუშაობის რეგლამენტისა და რაციონალიზაციის შესახებ, დაადგინა:

უჯრედების მუშაობის დარგში:

1. უჯრედების ხელმძღვანელ ორგანოთა რაციონალიზაციისათვის მიზანშეწონილად ჩაითვალოს: უჯრედებში,, სადაც 30-მდე წევრი ირიცხება არ გამოიყოს არავითარი კომისია და ხელმძღვანელობა უშაულოდ განახორციელოს ბიურომ ფრაქციებისა და ორგანიზატორების საშუალებით. უჯრედებში, სადაც 30-დან 50 წევრამდეა, დაშვებულ იქნას სააგიტ. საპროპაგანდო კომისიების და სარევიზიო კომისიების შექმნა. ყველა საუჯრედო კომისიის გამოყოფა დაშვებულ იქნას იმ უჯრედებში, სადაც 50 და მეტი წევრია.

2. უჯრედის საქმის წარმოების რაციონალიზაციისათვის შემცირდეს უჯრედის საქმეთა ნომენკლატურა და დარჩეს მხოლოდ 1) უჯრედების ბიუროებისა და კრებების ოქმები, 2) ზემდგომ პარტორგანოთა დირექტივები, 3) უჯრედების წევრთა შემადგენლობის აღრიცხვა, 4) საფინანსო საქმე 5) სხვადასხვა მიწერ-მოწერა. უჯრედების კომისიები თავისი სხდომის ოქმებს არ აწარმოებენ, კომისიების მიერ ჩამოყალიბებული წინადადებანი შეტანილ უნდა იქნას ბიუროში, ამ წინადადებათა ფიქსაცია უნდა მოხდეს უჯრედების ოქმებში. მუშაობის აღრიცხვა სწარმოებს უჯრედის დღიურებში.

3. შემოღებულ და სასტიკად დაცულ იქნას უჯრედების საერთო კრების ორ კვირაში ერთხელ მოწვევა (როგორც ზაფხულობით, ისე ზამთრობით), საჭიროების შემთხვევაში შეიძლება დაშვებულ იქნეს გამონაკლისი რაიკომთან შეთანხმებით.

4. დიდ უჯრედებში, სადაც არსებობს საამქრო უჯრედები ან პარტკოლექტივები, შემოღებულ იქნას ორ თვეში ერთხელ უჯრედების საერთო კრების მოწვევა, პარტკოლექტივისა და საამქრო უჯრედის კრებები კი მოწვეულ იქნეს 2 კვირაში ერთხელ.

5. უჯრედთა ბიუროების სხდომები კვირაში ერთხელ გაიმართოს.

6. პროფესიონალურ თავისუფალ ორგანიზაციებს ძირითადი მასიური მუშაობა გადაატანონ საამქროში და ქვედა ორგანიზაციებში, საზოგადო კრებებს ისინი თვეში მხოლოდ ერთხელ იწვევენ. ამის მიხედვითვე დაწესდეს კრებებისა და თათბირების ვადები.

7. კომკავშირელთა ორგანიზაციაც აწესებს უჯრედების კრებებისა და უჯრედების სხდომების მოწვევის ისეთსავე რიგს, როგორც პარტ. ორგანიზაცია.

ცოცხალი კავშირი უჯრედებთან

8. წერილობითი კავშირის ფორმებად დაწესდეს: **უჯრედიდან რაიკომში**—მასალების გაგზავნა, რომლებსაც საჭიროა გამოეხმაუროს რაიკომის აპარატი;

პასუხები რაიკომის შეკითხვებზე ინფორმაციისა, სტატისტიკისა და სპეციალური საკითხების შესახებ.

რაიკომიდან უჯრედებში — მიმართვანი სპეციალურ საკითხების გამო და გამოწვევანი სხდომებზე;

საინსტრუქციო დებულებანი და მითითებანი;

მთელი დანარჩენი კავშირი ხორციელდება ცოცხალი ფორმებით, როგორიცაა:

ა) რაიკომის ინსტრუქტორების მისვლა უჯრედში თვეში ერთხელ მაინც მის მუშაობასთან ადგილობრივ გაცნობა და ინსტრუქციების მიცემა.

ბ) შტატს გარეშე ინსტრუქტაჟის მუშაობა.

გ) რაიკომში საინსტრუქციო თათბირების მოწვევა უჯრედების მდივანთა და პარტმუშაობის სხვადასხვა დარგის ხელმძღვანელთა საქმიანობის საკითხებზე.

დ) ინფორმაციის საუჯრედო ორგანიზაციათა ინსტიტუტის გამოყოფა.

გეგმიანობა

უჯრედების გეგმიანი მუშაობის ჩასატარებლად საჭიროა დამუშავდეს კვარტალური სამ თვიანი გეგმები (I კვარტალი—იანვარი თებერვალი, მარტი; მე-II კვარტალი—აპრილი, მაისი, ივნისი; მე-III კვარტალი—ივლისი, აგვისტო, სექტემბერი; მე-IV კვარტალი—ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი).

8. ყოველმა ქვედა პარტორგანიზაციამ დროთანად, არა უგვიანეს ერთი კვირისა, საგეგმო პერიოდის დაწყებამდე უნდა დაამუშაოს და დაამტკიცოს მუშაობის სამთვიანი გეგმა.

გეგმას უნდა ახასიათებდეს კონკრეტულობა, მათში დასმული პარტიული, პროფესიონალური, სამეურნეო და სხვა მუშაობის ყოველი საკითხები ერთმანეთთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ბიუროს კვარტალური გეგმის საფუძველზე კომუჯრედები ადგენენ მუშაობის ყოველთვიურ კალენდარულ გეგმებს.

უჯრედის მუშაობის გეგმები უნდა დაუკავშირდეს ზემდგომი პარტორგანიზაციების გეგმებს.

კომუჯრედმა რომ სწორი პარტიული ხელმძღვანელობა გაუწიოს არა პარტიულ ორგანიზაციებს, ამისათვის საჭიროა ერიდონ მეურვეობას, წვრილმან ჩარევას ფრაქციების მუშაობაში და აქტივობისა და თაოსნობის გამოჩენის საშუალება მისცენ მათ; პერიოდულად 3 თვეში ერთხელ მოისმინონ არაპარტიული ორგანიზაციების მოხსენებანი, წინასწარი გამოკვლევა მოახდინონ და მოისმინონ ინფორმაცია მუშებისა ან მოსამსახურეების—მიერ წამოყენებული ცალკე საკითხების შესახებ.

მუშაობის პროცესში სერიოზული ყურადღება მიექცეს უმაღლესი პარტორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებას, აგრეთვე პრაქტიკულ წინადადებებს, როგორც საანგარიშო მოხსენებათა გარშემო, ისე იმ სპეციალურ საკითხების შესახებ, რომელიც უჯრედებში და სხვა ორგანიზაციებში მუშავდება.

სხვადასხვა კამპანიები და ღონისძიებანი ჩატარდეს წარმოებასა ან დაწესებულებაში არსებულ სათანადო ორგანიზაციების საშუალებით. პარტუჯრედები უნდა ერიდონ დროებითი კომისიების ორგანიზაციას, წვრილმან ჩარევას, მეურვეობას და სასტიკად ადევნონ თვალყური კამპანიების ჩატარებას; ხელმძღვანელობა მათ სათანადო ორგანიზაციების ფრაქციების საშუალებით უნდა განახორციელონ.

რეგლამენტი

შემოღებულ იქნას კრებების, სხდომების, თათბირების მტკიცე რეგლამენტი ყველა ორგანიზაციებისათვის — მაქსიმუმი—3 საათი. შემოღებული იქნა შემდეგი რეგლამენტი გაფართოებულ კრებებსა და სხდომებზე: ძირითადი საკითხების შესახებ გასაკეთებელი მოხსენებისათვის მაქსიმუმი—40 წუთი; ცნობის მიცემისათვის—წუთი, კამათისათვის—5 წუთი.

უჯრედების ბიუროების კრებებზე შემოღებულ იქნას შემდეგი რეგლამენტი: მოხსენებებისათვის—10 წუთი; საკითხის შესახებ ცნობის მიცემისათვის—5 წუთი; კამათისათვის—3 წუთი.

პარტორგანიზაციის მუშაობის რეგლამენტის დაწესებასთან ერთად, საჭიროა მივიღოთ ზომები იმისათვის, რომ პარტმუშაობის რაციონალიზაცია აგებულ იქნეს პარტიის წევრებსა და კანდიდატებს შორის, განსაკუთრებით კი, პარტიის აქტიურ წევრთა შორის პარტდატვირთვის უფრო შეზომილად განაწილების საფუძველზე.

პარტიის თვითეულ წევრის და კანდიდატისათვის დაწესებულ [illegible] მაქსიმუმის ხაზით ორი დატვირთვა.

მიღებულ იქნეს გადამწყვეტი ზომები სხდომებისა და თათბირების დროზე გახსნისათვის.

მიღწეულ იქნეს პარტიულ დავალებების დანიშნულ ვადაზე შესრულება.

უქმის წინა და თვით უქმე დღეებში ზემდგომ პარტორგანოების ნებადაურთველად არ უნდა იმართებოდეს არავითარი კრება ან თათბირი.

რაიონულ კომიტეტების მუშაობა

1. რაიონულ კომიტეტებში მიმლებ კომისიის სხდომა უნდა იმართებოდეს კვირაში ერთხელ. სხდომის ხანგრძლივობა სამ საათს არ უნდა აღემატებოდეს, რისთვისაც საჭიროა შემცირებულ იქნეს სხდომაზე გასარჩევ ანკეტების რაოდენობა.

2. მიზანშეუწონლად ჩაითვალოს მუდმივი კომისიების და თათბირების (მაგალითად, საორგანიზაციო თათბირების, სააგიტაციო თათბირების) არსებობა რაიონულ კომიტეტებთან. მათ მაგიერად შემოღებულ იქნეს პერიოდულ თათბირების მოწვევა სპეციალურ საკითხების გადასაჭრელად დაინტერესებულ ამხანაგების მონაწილეობით.

3. თათბირები სპეციალურ საკითხების განსახილველად უნდა იწვეოდეს საჭიროების მიხედვით.

4. გაუქმებულ იქნეს გადაწყვეტილება სამუშაო საათების გადატანის შესახებ (5-დან 10 საათამდე) და შემოღებულ იქნეს ჩვეულებრივი სისტემა (9-დან 3 ნახ. საათამდე).

5. აუცილებლად იქნეს ცნობილი პრეზიდიუმის ყველა წევრისა და კანდიდატის წინასწარი გაცნობა პრეზიდიუმის სხდომის დღის წესრიგში დასმულ საკითხებთან, რისთვისაც მათ წინასწარ უნდა ეგზავნებოდეთ მასალები პრაქტიკულ წინადადებებთან ერთად. ყურადღება მიექცეს პარტიული ინფორმაციის ხარისხის გაუმჯობესებას.

6. ერთი კვირით ადრე საგეგმო კვარტალის დაწყებამდე პარტიისა და კომკავშირის რაიონულმა კომიტეტებმა უნდა მოიწვიონ პარტიისა და ა. ლ. კ. კ. უჯრედების მდივანთა თათბირები. ამ თათბირებზე განხილულ უნდა იქნეს პარტიისა და კომკავშირის რაიკომების გეგმები უჯრედების მუშაობის ძირითად მომენტების გაშუქებასთან ერთად.

7. ორი კვირის შემდეგ რაიკომებმა უნდა გასინჯონ უჯრედთა კვარტალური გეგმები და 3 დღის განმავლობაში მისცენ თვითეულ უჯრედს სათანადო მითითება.

8. შემოღებულ უნდა იქნეს უჯრედების გეგმების ხარისხის პერიოდული შემოწმება.

9. უჯრედებში საწევრო გადასახადის აკრეფის დარგში შემოღებულ იქნეს საბარათო სისტემა.

რაიკომების ინსტრუქტორების შესახებ

1. ვინაიდან, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, დიდი მნიშვნელობა აქვს შტატგარეშე ინსტრუქტორების მუშაობას რაციონალიზაციის გატარებისა და რაიონულ კომიტეტების უჯრედებთან ცოცხალი კავშირის გაბმის მხრივ, აუცილებლად საჭიროა დამუშავებულ იქნეს შტატგარეშე ინსტრუქტაჟის შექმნის საკითხი პარტკომის სხვა განყოფილებებისთვისაც.

2. შტატებში ინსტრუქტორები მიმაგრებულ იქნენ საერთო ხელმძღვანელობის გასაწევად სუსტ უჯრედებზე ან და მათ დაეკისროთ პარტიული მუშაობის ამა თუ იმ დარგის შესწავლა.

3. თავის მუშაობაში შტატგარეშე ინსტრუქტორები უნდა სარგებლობდენ რაიკომის ჯამაგირიანი ინსტრუქტორის ყველა უფლებით (სხდომებსა და კრებებზე დასწრება დოკუმენტების გაცნობის უფლება და სხვ.).

თბილისის კომიტეტის მუშაობა

1. მიზანშეუწონლად ჩაითვალოს საგიტაციო-საორგანიზაციო და ქალთა გან-ბის გამგეთა თათბირების არსებობა თბ. კომიტეტთან. საკითხების დასამუშავებლად შემოღებულ იქნეს სპეციალურ თათბირების მოწვევა დაინტერესებულ ამხანაგების მონაწილეობით.

2. პრეზიდიუმისა და სამდივნოს სხდომები უნდა ინიშნებოდეს დილის 12 საათიდან, ხოლო სხვა თათბირები—საღამოობით.

3. ერთი კვირით ადრე საგეგმო კვარტალის დაწყებამდე თბილისის კომიტეტის ყველა განყოფილებამ უნდა დაუგზავნოს თავისი გეგმა რაიკომებს.

4. ყველა ორგანიზაცია: კომკავშირი, პროფკავშირები, ნებაყოფლობითი საზ-ბები და სხვ., თავის საკვარტალო გეგმებს გზავნიან შესათანხმებლად თბილისის კომიტეტის სათანადო განყოფილებაში.

5. თბილისის კომიტეტში გამართულ ყოველგვარ სხდომისა და თათბირისათვის დაწესებულ იქნეს რეგლამენტი მაქსიმუმი—3 საათი.

ქალთა შორის მომუშავეთა

რესპუბლიკანური თათბირი

გუშინ საღამოს პროფსაბჭოს მცირე დარბაზში გაიხსნა ს.კ.პ. (ბ) სამაზრო და საოლქო კომიტეტების მუშა და გლეხ ქალთა განყოფილებების გამგეების თათბირი.

თათბირი გახსნა ამხ. ვ. ჯაფარიძემ. მან შესავალ სიტყვაში გააცნო სხდომას თათბირის შემდეგი დღის წესრიგი:

1) საკავშირო კომ. პარ. (ბ) ცეკას პასუხისმგებელ ინსტრუქტორის ამხ. პშენიცინის მოხსენება საქართველოს მ. და გ. ქალთა ცენტ. განყოფილების მუშაობის გამოკვლევის შესახებ;

2) კულტურული რევოლიუცია და ყოფა-ცხოვრების დახავსებულ ნაშთებთან ბრძოლა;

3) მზადება საბჭოთა არჩევნებისათვის;

4) მოსამზადებელი მუშაობა სადელეგატო კრებების გადარჩევისათვის;

5) გლეხ ქალთა შეკავშირება კოოპერაციაში;

6) ეროვნულ უმცირესობათა ქალების ჩაბმა მრეწველობაში;

7) ქალთა დაწინაურების საკითხი;

8) მუშა და გლეხ ქალთა განყოფილებების არსებობის 10 წლის იუბილეს შესახებ.

თათბირმა წარმოდგენილი დღის წესრიგი უცვლელად მიიღო.

რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ მოისმენილ იქნა ამხ. პშენიცინის მოხსენება დღის წესრიგის პირველ საკითხზე.

მოხსენების ირგვლივ დაიწყო კამათი, რომელშიაც ჯერ-ჯერობით გამოვიდნენ ამხ. სიმონია, თალაქვაძე, ტაკაევი, მახათაძე, ზა. სიმონია, თალაქვაძე, ტაკაევი, მახათაძე, ზაკამათის ანგარიში გამოქვეყნებული იქნება ჩვენი გაზეთის შემდგომ ნომერში.

ქართული ნეო-მენშევიზმის ეკონომიური პოლიტიკა

(გრ. ლორთქიფანიძის წერილის გამო)

გრ. ლორთქიფანიძის წერილი თანამედროვე ქართული მენშევიზმის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური დოკუმენტია. ამ დოკუმენტში საქართველოს მენშევიკური მთავრობის ყოფილი თავმჯდომარის ყოფილმა მოადგილემ ხელახლა აღძრა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიური და ეროვნული პოლიტიკის სხვადასხვა ძირითადი პრობლემა და თავისი რეცეპტები შემოგვთავაზა ამ პრობლემათა გადასაჭრელად.

გრ. ლორთქიფანიძეს არ მოსწონს ჩვენი პარტიის ეროვნული პოლიტიკა, მას სულს უშფოთებს და გულს უმღვრევს ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკების (აჭარისტანის, აფხაზეთის, სამხრეთ-ოსეთის) არსებობა და განვითარება. მას არ მოსწონს, რომ საქართველოს და ამიერ-კავკასიის დედაქალაქ თბილისში არსებობს პარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი, ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი, ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭო, საოლქო გაზეთები რუსულ ენაზე და სხვადასხვა. მას სძულს და გონებას უკარგავს ამიერ-კავკასიის ფედერაცია.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. გრ. ლორთქიფანიძეს დამღუპველად მიაჩნია საბჭოთა ხელისუფლების მთელი ეკონომიური პოლიტიკა საქართველოში; მას არ მოსწონს აგრარული საკითხის ბოლშევიკურად გადაწყვეტა. დოკუმენტის ავტორი დიდ სითამამეს იჩენს და აცხადებს, რომ ქართველი გლეხობა არასოდეს არ შეურიგდება საკითხის ასეთ გადაჭრას. გრ. ლორთქიფანიძე აყენებს ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის სხვა უმნიშვნელოვანეს პრობლემებსაც სოფლად და ქალაქად (ფასების პოლიტიკა, საგადასახადო პოლიტიკა და სხვა.) ყველა ამ საკითხში ის „გონიერ“ რჩევას გვაძლევს და ცდილობს „დაამტკიცოს“, რომ მის მიერ შემოთავაზებული გადაჭრა ამ საკითხებისა საუკეთესოა და ეკონომიურად მიზანშეწონილი. დოკუმენტში დასმულ პრობლემათა ისე გადაჭრა, როგორც გრ. ლორთქიფანიძე გვირჩევს, არ ეწინააღმდეგება, მისი აზრით, ბოლშევიზმისა და კომუნიზმის საფუძვლებს. პირიქით, იგი განამტკიცებს საბჭოთა ხელისუფლების ძლიერებას და საჭირო პირობებს შეუქმნის ქვეყნის ეკონომიურსა და სულიერ სტაბილიზაციას.

როგორც ვხედავთ, გრ. ლორთქიფანიძე საბჭოთა ხელისუფლების „განმტკიცების“ თვალსაზრისზე „დგება“, ცდილობს ისეთი „არგუმენტები გამოიყენოს“, რომ უბირს, გამოუცდელ მკითხველს შეუძლია იფიქროს: დოკუმენტის ავტორი საბჭოთა ან თითქმის საბჭოთა კაცად გადაქცეულაო. ასეთია დოკუმენტის გარეგანი სახე, მისი, ასე ვსთქვათ, თვალსახვევი ფერი.

მაგრამ საკმარისია ამ წერილს ოდნავ ჩაუკვირდეთ, საკმარისია მცირე ხნის დავიწყოთ გრ. ლორთქიფანიძის წერის ხერხი, საკმარისია მის დოკუმენტს გარეგანი ქერქი გადავაცალოთ, რომ თვალწინ წარმოგვიდგეს ქართული მენშევიზმის ნამდვილი მრუდე სახე. დოკუმენტის ავტორის ყოველი სიტყვა გამსჭვალულია ცოფმორეული სიძულვილით საბჭოთა ხელისუფლებისა და ბოლშევიზმისადმი; თვითეული მისი შემოთავაზებული ღონისძიება, რომ ამ ღონისძიებას განხორციელება ეღირსოს, ძირს გამოუთხრიდა პროლეტარული დიქტატურის თვით უღრმეს საფუძვლებს.

მთელი დოკუმენტი თავიდან - ბოლომდე წარმოადგენს ქართული მენშევიზმის პროგრამას, იმ ახალი ბურჟუაზიის ეკონომიურ და პოლიტიკურ მოთხოვნილებათა ჯამს, რომელიც იზრდება სოფლად და ქალაქად. გრ. ლორთქიფანიძის ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ვითომდა საბჭოთა ხელისუფლების „განმტკიცება“ საქართველოში, წარმოადგენს ყველა ანტისაბჭოთა და ანტირევოლიუციონური ელემენტების ბრძოლის დროშას.

ამ პროგრამის, ამ ღონისძიებათა ბურჟუაზიული შინაარსის მხილება და გადამწყვეტი ბრძოლა მენშევიზმთან, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის დაუძინებელ მტერთან, დღესაც კიდევ შეადგენს საქართ. კომპარტიის ერთ-ერთ მორიგ ამოცანას.

ამ წერილში ჩვენ შევჩერდებით გრ. ლორთქიფანიძის პროგრამის ეკონომიურ ნაწილზე, მისგან შემოთავაზებულ ღონისძიებათა გამოაშკარავებაზე, ამ ღონისძიებათა ბურჟუაზიული კლასობრივი შინაარსის კრიტიკაზე.

1. პროლეტარული სახელმწიფოს გლეხური პოლიტიკა თუ ბურჟუაზიული სახელმწიფოს გლეხური პოლიტიკა?

დავიწყოთ ჩვენი გლეხური პოლიტიკის საერთო საფუძვლებიდან.

ცნობილია, რომ ბოლშევიკური პარტია ყოველთვის აღიარებდა გლეხური პოლიტიკის უდიდეს მნიშვნელობას. გლეხობასთან სწორი ურთიერთობის დამყარებაზე დამოკიდებულია ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ბედ-იღბალი. ამხ. ლენინს არა-ერთხელ აღუნიშნავს ეს. ამ დებულების სისწორე ნათელია ყოველი შეგნებული მუშისა და გლეხისათვის.

გრ. ლორთქიფანიძემ იცის, რომ საბჭოთა ხელისუფლებას არა ერთხელ დაუთმია გლეხობისათვის; მან იცის, რომ პარტია გლეხობასთან ეკონომიური კავშირის პოლიტიკას აწარმოებდა. მან ისიც იცის, რომ ამხ. ლენინი განსაკუთრებით **აღნიშნავდა გლეხობისათვის დათმობის დიდ მნიშვნელობას წვრილ - ბურჟუაზიულ საქართველოში**, სწორი გლეხური პოლიტიკის დიდ მნიშვნელობას ჩვენს ქვეყანაში.

მაგრამ თურმე საქართველოში საბჭოთა და პარტიულ ორგანოებს დავიწყებიათ პარტიისა და ლენინის ეს დირექტივები, დავიწყებიათ თავისი საკუთარი დაპირებანი, და აი სწორედ გრ. ლორთქიფანიძემ გაახსენა საქართველოს კომპარტიას ეს მნიშვნელოვანი „უყურადღებობა“. მოუსმინოთ მის ლაპარაკს: „საქართველოს გასაბჭოების პირველ დღეებში თქვენი ორგანოები დაჟინებით იმეორებდნენ იმ ჭეშმარიტებას, რომ საქართველო გლეხური ქვეყანაა და რომ აქ ძირითადად გლეხური პოლიტიკა უნდა ვაწარმოოთ. ეს დებულება ამჟამად თავდაყირაზეა დაყენებული“.

გრ. ლორთქიფანიძე „ცდილობს“ გამოვიდეს ლენინის ანდერძისა და დირექტივების დამცველის როლში და უსაყვედურებს საქართველოს კომპარტიას, რომ მას ლენინის ხაზი არ ჰყავს. ის „გვაკრიტიკებს“... მარცხენა მხრიდან.

მართლა ისეა საქმე, როგორც ამას გრ. ლორთქიფანიძე გვიხატავს? მართლა დავიწყებულია საქართველოში გლეხური პოლიტიკა და მისი საფუძვლები?

შევჩერდეთ ამ საკითხებზე.

გრ. ლორთქიფანიძე ვერ უარჰყოფს, რომ საქართველოს, კომპარტია ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველი დღეებიდან აწარმოებდა და აწარმოებს გლეხურ პოლიტიკას. ცხადია რომ სადავოა არა ეს უდავო დებულება.

გრ. ლორთქიფანიძე აცხადებს, რომ საქართველოს კომპარტია აღარ აწარმოებს „უმთავრესად“ გლეხურ პოლიტიკასო. მაშასადამე, სადავოა სულ სხვა საკითხი, რომელსაც წერილის ავტორი პირდაპირ და ნათლად არ აყენებს.

რაში მდგომარეობს „უმთავრესად“ გლეხური პოლიტიკის წარმოების აზრი?

არავის გაუჭირდება, გრ. ლორთქიფანიძის ფორმულის საიდუმლოების გაგება. საქმის თავი და ბოლო ის არის, რომ მას არ მოსწონს **ჩვენი** პარტიის გლეხური პოლიტიკა, საქმის თავი და ბოლო ის არის, რომ მისთვის მიუღებელია თვით ამ პოლიტიკის **საფუძვლები**.

ბოლშევიზმის გლეხური პოლიტიკა არის **პროლეტარული** სახელმწიფოს გლეხური პოლიტიკა. ამ განსაზღვრაში მოცემულია ჩვენი გლეხური პოლიტიკის **კლასობრივი** შინაარსი, მისი მიზნობრივი გეზი.

პროლეტარიატს არ შეუძლია აწარმოოს გლეხური პოლიტიკა **საერთოდ** ანუ **ბურჟუაზიული** გლეხური პოლიტიკა. პროლეტარული სახელმწიფოს გლეხური პოლიტიკა არ შეიძლება ჩამოვაცალოთ მთელ მის ეკონომიურ პოლიტიკას, ეკონომიკის ახალ საფუძვლებზე გარდაქმნის გენერალურ გეგმას.

პროლეტარიატმა მემამულეებისა და ბურჟუაზიის ბატონობა იმიტომ დაამხო, რომ შეჰქმნას ახალი სამყარო, რომ მოაწყოს სოციალისტური მეურნეობა. ეს არის პროლეტარიატის ძირითადი და გენერალური ამოცანა გარდამავალი მეურნეობის ეპოქაში. ამ ამოცანას უნდა დაემყაროს პროლეტარიატი თავის პოლიტიკაში, ამ უმთავრეს ამოცანას უნდა დაექვემდებაროს ყველა სხვა ამოცანა.

ჩვენი პარტიის გლეხური პოლიტიკა, ჩვენი ამოცანები გლეხობასთან ურთიერთობის დარგში,—გამონაკლისს არ წარმოადგენენ ამ წესიდან, რაღაც კომუნისტური „ანომალია“ არაა. კომპარტიის გლეხური პოლიტიკა მთლიანად გამსჭვალულია იმ მიმართულებით, რომელსაც ახასიათებს სოციალიზმისაკენ მისწრაფება და ბრძოლა კლასების მოსასპობად.

თავის ეკონომიურ პოლიტიკაში კომპარტია გეზს ვერ დაიჭერს გლეხის წვრილი წარმოების სტაბილიზაციისა და უკვდავ ყოფისაკენ, ან ზრდის პროცესში მყოფ სოფლის კულაკ - კაპიტალისტისაკენ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ლაპარაკი ეხება **პროლეტარული** სახელმწიფოს გლეხურ პოლიტიკას გარდამავალ პერიოდში.

პროლეტარიატი ხელმძღვანელობს გლეხობას, ანხორციელებს თავის ეკონომიურ ჰეგემონიას და არავისთან აპირებს პოლიტიკური ხელისუფლების გაზიარებას. მაგრამ რას ნიშნავს ხელმძღვანელობის გაწევა გლეხობისათვის? რა შეადგენს ლენინის გლეხური პოლიტიკის საფუძველს, მის კლასობრივ შინაარს?

გლეხობისათვის ლენინურად ხელმძღვანელობის გაწევა „გულისხმობს, ჯერ ერთი, **გეზის აღებას კლასებისა და არა წვრილი მწარმოებლის მოსასპობად**. ჩვენ რომ ამ ძირითად და მთავარ ხაზს გადავცდეთ, მაშინ სოციალისტები აღარ ვიქნებით და იმ წვრილ ბურჟუების ბანაკში, ეს-ერებისა და მენშევიკების ბანაკში ამოვყოფთ თავს, რომლებიც ახლა ყველაზე დაუძინებელი მტრები არიან პროლეტარიატისა“. *)

პროლეტარიატმა ამოცანად დაისახა გლეხის მეურნეობის გარდაქმნა სოციალისტურ საფუძვლებზე. მან დაისახა ურთულესი და უსერიოზულესი ამოცანა: ბოლო მოუღოს გლეხობის უფართოესი მასების სიღატაკესა და გაჭირვებას და დააყენოს ეს მასები ეკონომიური კეთილდღეობის უფრო მაღალ დონეზე.

მაგრამ ამ დიდი ისტორიული მისიის ასრულება შეუძლებელი იქნება, თუ გეზს წვრილი მწარმოებლისაკენ დავიჭერთ. წვრილი წარმოება ყოველ საათს, ყოველ დღე, ყოველწლიურ კაპიტალიზმს შობს (ლენინი). ამიტომ წვრილი წარმოებისაკენ გეზის დაჭერა არსებითად იქნებოდა გეზი კულაკური მეურნეობისაკენ, ცხადზე უცხადესია, რომ აქ ლაპარაკი ეხება პოლიტიკის საერთო მიმართულებას, ძირითადსა და მთავარ ხაზს. ეს ხაზი შეუძლებლად კი არა ხდის, არამედ გულისხმობს ინდივიდუალურ მეურნეობათათვის ყოველგვარი დახმარების აღმოჩენას. პროლეტარული სახელმწიფო ზურგს უმაგრებს, ეხმარება ინდივიდუალურ მეურნეობას, იგი ხელს უწყობს მისი კეთილდღეობის გაძლიერებასმაგრამ ეს სრულებითაც იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ გეზი აღებული გვაქვს წვრილ წარმოებაზე.

გრ. ლორთქიფანიძეს არ მოსწონს სწორედ ეს ძირითადი, მთავარი ხაზი. იგი ილაშქრებს სოფლის მეურნეობის განვითარების **გენერალური** სოციალისტური გზის წინააღმდეგ. მის ფორმულას — „უმთავრესად“ გლეხური პოლიტიკის წარმოებას—მხოლოდ ერთი გარკვეული აზრი აქვს. მისი წინადადებით, სოფლის **სოციალისტური** განვითარების გეზი უნდა შეიცვალოს **კაპიტალისტური** განვითარების გეზით. მოკლედ რომ ვთქვათ, გრ. ლორთქიფანიძეს უნდა, **პროლეტარული** სახელმწიფოს გლეხური პოლიტიკის ადგილი დაიჭიროს **ბურჟუაზიული** სახელმწიფოს გლეხურ პოლიტიკამ.

ეს სიტყვები რომ უსაბუთოდ არაა ნათქვამი, ამას ადასტურებს ის ეკონომიური ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებასაც გრ. ლორთქიფანიძე გვირჩევს, ვითომდა, საქართველოს ეკონომიური და სულიერი სტაბილიზაციისათვის.

მიწის ნაციონალიზაცია თუ მიწის კერძო საკუთრება?

გრ. ლორთქიფანიძის აზრით, თანამედროვე სოფლის ძირითად, ცენტრალურ საკითხს მიწის საკითხი წარმოადგენს. ქართველი გლეხობა, აცხადებს იგი, ვერ შეურიგდება მიწის საკითხის ბოლშევიკურად გადაჭრას. გლეხობა „ეკონომიური და საწარმოო ტრაურით არის შემოსილი“ მას არ შეუძლია საწარმოო ძალების განვითარება არსებული კანონმდებლობის პირობებში. ასეთი მდგომარეობა საბჭოთა ხელისუფლებას სოფლად პოლიტიკურ სიმკვიდრეს უკარგავს.

და აი, ქართველი გლეხობისა და საბჭოთა ხელისუფლების „მხსნელის“ როლში სცენაზე გამოდის მენშევიკი გრ. ლორთქიფანიძე. ის სულით და გულით „ზრუნავს“ ქართველი გლეხობისათვის და საბჭოთა ხელისუფლების „განმტკიცებისათვის“ სოფლად. დოკუმენტის ავტორი მხოლოდ ერთ „მცირე“ მოთხოვნილებას აყენებს „კატასტროფიული“ მდგომარეობისაგან თავის დასაღწევად.

რას შეიცავს ეს „მცირე“ მოთხოვნილება? გრ. ლორთქიფანიძის აზრით, საკმარისია არსებულ აგრარულ კანონმდებლობაში ერთი „მცირე შესწორება“ შევიტანოთ, რომ ამით მთელი აგრარული პრობლემა გადაიჭრას.

ცნობილია, რომ მთელი ჩვენი აგრარული კანონმდებლობის საფუძველს **მიწის ნაციონალიზაცია** წარმოადგენს. ჩვენში მიწის მესაკუთრე სახელმწიფოა. გრ. ლორთქიფანიძის „მცირე შესწორება“ სწორედ ამ მიწის ნაციონალიზაციას ეხება.

გრ. ლორთქიფანიძე გვირჩევს, გადავათვალიეროთ მიწის კოდექსი და ისე შევცვალოთ ის, რომ გლეხებს მიწის ყიდვა-გაყიდვის უფლება ჰქონდეთ. მისი აზრით, აგრარული პრობლემის საუკეთესოდ გადაჭრა ის იქნებოდა, რომ მიწის სრული იურიდიული კერძო საკუთრება გამოგვეცხადებია, ე. ი. მიწის დენაციონალიზაცია მოგვეხდინა. მაგრამ, რაკი ასეთმა მოთხოვნილებამ შეიძლება ბოლშევიკები დააფრთხოს, ამიტომ საქმის დასაწყებად საკმარისია გლეხებს მიწა დაუმკვიდროთ, მიწის ყიდვა-გაყიდვის უფლება მივცეთ (თუნდაც ორი ნორმის ფარგლებში). ამ ღონისძიების განხორციელება ყოვლად აუცილებელია.

აი ეკონომიური ღონისძიება № 1, რომელიც სოფელს გულს დაუმშვიდებს და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების სათავედ გადაიქცევა.

მაგრამ რას ნიშნავს მიწის ყიდვა-გაყიდვის დაკანონება? რა შეადგენს ამ „მცირე შესწორების“ დედა-აზრს?

საბჭოთა ხელისუფლებას რომ მიწის ყიდვა-გაყიდვის ნება დაერთო, ეს იქნებოდა მიწის კერძო საკუთრების გამოცხადება. მიწის თავისუფალი ყიდვა-გაყიდვა შეუძლებელია, თუ კერძო საკუთრება ფაქტიურად არ არსებობს, ვინაიდან ადამიანს მხოლოდ იმის ყიდვა და გაყიდვა შეუძლია, რაზედაც უფლება აქვს (მხედველობაში არა გვაქვს მიწის არალეგალური ყიდვა-გაყიდვა). სხვანაირად რომ ვსთქვათ, მიწის ყიდვა-გაყიდვის დაკანონება მიწის **კერძო** საკუთრების დაკანონება იქნებოდა.

ამგვარად, მიწის ნაციონალიზაციის ნაცვლად, მისი დენაციონალიზაცია, — აი გრ. ლორთქიფანიძის „მცირე შესწორების“ დედა-აზრი. იგი გვარწმუნებს, ეს „მცირე შესწორება“ ბოლშევიზმისა და კომუნიზმის საფუძვლებს არ ეწინააღმდეგებაო.

ცნობილია, რომ ნაციონალიზაციაქმნილი მიწა პროლეტარიატის ერთ-ერთი მბრძანებელი მაღლობია, მიწის ნაციონალიზაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური მშენებლობისათვის. ამხ. ლენინი ამის შესახებ სწერდა: „ჩვენს ხელშია ყველა მბრძანებელი მაღლობი, ჩვენს ხელშია მიწა, იგი ეკუთვნის სახელმწიფოს. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, თუმცა ჩვენი მოწინააღმდეგენი ისე უყურებენ საქმეს, ვითომც ეს არაფერს ნიშნავს. ეს აზრი შემცდარია. ის გარემოება, რომ მიწა სახელმწიფოს ეკუთვნის, მეტის-მეტად მნიშვნელოვანია და ამას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ეკონომიურადაც“ *).

გრ. ლორთქიფანიძის „მცირე შესწორება“ არსებითად ძირს უთხრის მიწის ნაციონალიზაციას, პროლეტარიატის ამ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მბრძანებელ მაღლობს.

რატომ აქვს მიწის ნაციონალიზაციას ასეთი დიდი მნიშვნელობა? რატომ არ იძლევა საბჭოთა ხელისუფლება მიწის ყიდვა-გაყიდვის ნებას?

განვიხილოთ ეს საკითხი არსებითად. თუ თვალს გადავავლებთ სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ევოლიუციის შედარებით სურათს, დავინახავთ, რომ სოფლის მეურნეობა სისტემატიურად უკან რჩება მრეწველობას. მრეწველობა სწრაფი ტემპით ვითარდება, სოფლის მეურნეობა კი კუს ნაბიჯით მიიმართება. მიწადმოქმედების ჩამორჩენა მრეწველობისაგან — ყველა ქვეყნისათვის დამახასიათებელია, იგი კაპიტალიზმის კანონია.

რა შეადგენს ამ პარადოქსალური გავლენის საიდუმლოებას? რა აფერხებს სოფლის მეურნეობის განვითარებას?

ეკონომიური ლიტერატურა ამ საკითხს ორნაირად სწყვეტს. ბურჟუაზიული ეკონომისტები ამტკიცებენ, რომ სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის მიზეზია ნიადაგის თანდათანი გამოფიტვის **ბუნებრივი** კანონის ზედ მოქმედება. მაშასადამე, სოფლის მეურნეობის შედარებითი ჩამორჩენა გამომდინარეობს **მარადი**, ბუნებრივი პირობებიდან.

მარქსისტები, პირიქით, ამ საკითხს იმით ხსნიან, რომ სოფლის მეურნეობაში **მიწის კერძო** საკუთრება არსებობს. მაშასადამე, მარქსისტების აზრით, მიწათმოქმედების ჩამორჩენა დაკავშირებულია განსაკუთრებულ **ისტორიულ** პირობებთან. ამ პირობების მოსპობა გზას გაუკაფავს სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის უფრო სწრაფსა და ჰარმონიულ განვითარებას.

პოლიტიკური პარტიების აგრარული პროგრამა შეიძლება დაეყრდნოს **ან** ბურჟუაზიული ეკონომისტების თეორეტიულ დებულებებს, **ან** მარქსისტების თეორეტიულ დებულებებს.

თუ მიწადმოქმედების ჩამორჩენა ბუნებრივი პირობებით აიხსნება, მაშინ მიწის კერძო საკუთრება არაფერ შუაში ყოფილა. ამიტომ მიწის კერძო საკუთრების ინსტიტუტი უნდა შევინარჩუნოთ და განვამტკიცოთ.

პირიქით, თუ მიწათმოქმედების ჩამორჩენა ისტორიული პირობებით აიხსნება, მაშინ ეს პირობები თავიდან უნდა მოვიშოროთ, ე. ი. მიწის კერძო საკუთრება უნდა **მოისპოს**. სააგრარო პრობლემის ასეთი გადაჭრა იქნებოდა მისი რადიკალური და რევოლიუციონური გადაჭრა. ბოლშევიკური სააგრარო პროგრამა, — მიწის ნაციონალიზაცია, — მთლიანად და სრულად არის დამყარებული მიწის რენტის მარქსისტულ თეორიაზე.

გრ. ლორთქიფანიძე, რასაკვირველია მარქსს უარჰყოფს. იქ, საცა არჩევანი მიდგება: მარქსსა და ბურჟუაზიულ ეკონომისტებზე, გრ. ლორთქიფანიძე და ყველა მენშევიკი ყოველთვის ირჩევენ ბურჟუაზიულ ეკონომისტებს, თუ მოხუცმა მარქსმა „შემთხვევით“ რამე სთქვა, ეს, რასაკვირველია ქართველი კულაკების პარტიის იდეოლოგებს არ ეხება.

გრ. ლორთქიფანიძე კერძო საკუთრებას იცავს. ის წინადადებას გვაძლევს, რომ **უკვე ნაციონალიზაციაქმნილი** მიწის დენაციონალიზაცია მოვახდინოთ, ე. ი. უკან გადავდგათ ნაბიჯი. მისი აზრით, საწარმოო ძალები მხოლოდ ამ შემთხვევაში განვითარდება სწრაფად.

ნამდვილად კი სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალთა სწრაფი განვითარება მიწის ნაციონალიზაციის უმთავრესი დამახასიათებელი თვისებაა. მიწის კერძო საკუთრება ბედ-ფეხს უკრავს მიწათმოქმედების ტეხნიკურ პროგრესს, აფერხებს მის განვითარებას. მიწის რენტა, რომელსაც კერძო მესაკუთრე იღებს, ტეხნიკურ პროგრესზე დადებული გადასახადია.

მიწის კერძო საკუთრება და მასთან დაკავშირებული რენტა კაპიტალის საწარმოო ხარჯების სტიმულებს აქარწყლებს. რენტის გადამხდელი მოიჯარადრე ვერ დაინტერესდება ნიადაგის გაუმჯობესებით, ტეხნიკური პროგრესით და სხვა. მიწის ყიდვა-გაყიდვაც კაპიტალის დაბანდების უაღრესად არანაყოფიერი ფორმაა. ეს ელემენტარული ჭეშმარიტებაა.

სწორედ საქართველო წარმოადგენს იმის კლასიკურ მაგალითს, თუ როგორ შეუძლია გაანადგუროს მიწათმოქმედების დარგი მიწის კერძო მესაკუთრეთა თავაშვებულ ნავარდს. მსოფლიოში არ არსებობს მეორე ისეთი ქვეყანა, სადაც მიწის კერძო საკუთრების უარყოფითი შედეგი თავს ისე ნათლად იჩენდეს, როგორც საქართველოში. *) საქართველოს სოფლის მეურნეობა თითქმის პერმანენტულ კრიზისს განიცდიდა. მიწის ნიადაგის დოვლათს უაღრესად დაუზოგავად ანიავებდნენ მიწის მუქთახორა მესაკუთრენი ითვისებდნენ ზედმეტი პროდუქტის მთელ ფონდს და აუცილებელი პროდუქტის ნაწილს. კაპიტალის დაგროვებას, პროდუქციის გაფართოებას მეტის-მეტად მინიმალური ხასიათი ჰქონდა.

განა ცხადი არ არის, რომ თუ დედამიწის ზურგზე სადმე აზრი ჰქონდა კერძო საკუთრების მოსპობას, პირველ ყოვლისა, მას საქართველოში უნდა ჰქონებოდა აზრი? განა ცხადი არ არის, რომ თუ სადმე საჭირო იყო რადიკალური საადგილ-მამულო რევოლიუცია და მიწის კერძო საკუთრების ინსტიტუტის ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრა, პირველ ყოვლისა, საქართველოში იყო ეს საჭირო?

მიწის ნაციონალიზაცია სწორედ ის რადიკალური, რევოლიუციონური სააგრარო პროგრამაა, რომლის განხორციელებამ ერთხელ და სამუდამოთ მოსპო სოფლის მეურნეობის განვითარების გზაზე გადაღობილი ყველა ხელოვნური ისტორიული დაბრკოლება.

მიწის ნაციონალიზაცია, რომელიც ლოღიკურად გამომდინარეობს მარქსის აგრარული თეორიიდან, *) გულისხმობს კერძო საკუთრების ტიტულის გაუქმებას, მიწის ყიდვა-გაყიდვის მოსპობას. მიწის ნაციონალიზაცია თავის თავად არ მოასწავებს წარმოების წესების შეცვლას. იგი მხოლოდ ბაზისია, საფუძველია სოფლის მეურნეობის სწრაფი პროგრესისათვის.

პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში მიწის ნაციონალიზაცია ერთ-ერთ მბრძანებელ მაღლობს წარმოადგენს. სახელმწიფოს შეუძლია და უნდა გამოიყენოს კიდეც მესაკუთრის უფლება, როგორც იარაღი საწარმოო ძალების სწრაფი პროგრესისა სოციალისტურ ფორმებში. ამ მბრძანებელი სიმაღლის მფლობელ სახელმწიფოს შეუძლია იმოქმედოს საიჯარადრო ურთიერთობაზე, შეზღუდოს კაპიტალისტური ელემენტების განვითარება და ყოველნაირად ხელი შეუწყოს სოციალისტური ელემენტების განვითარებას.

გრ. ლორთქიფანიძე წინადადებას გვაძლევს მოვსპოთ მიწის ნაციონალიზაცია, მოვშალოთ მისი საფუძვლები და გამოვაცხადოთ კერძო საკუთრების პრინციპი. პირველ და უმნიშვნელოვანეს არგუმენტად მიწის საკუთრების სასარგებლოდ მას ის დებულება მოჰყავს, რომ მიწის ნაციონალიზაცია საწარმოო ძალთა განვითარებას აფერხებსო. ჩვენ განვიხილეთ ეს არგუმენტი და დავინახეთ, რომ ის ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

მაგრამ გრ. ლორთქიფანიძეს მეორე არგუმენტიც აქვს მიწის კერძო საკუთრების სასარგებლოდ. ის ამტკიცებს, რომ მიწის ნაციონალიზაცია ხელსაყრელი არ არის უღარიბესი გლეხობისათვისო. როგორც ვხედავთ, გრ. ლორთქიფანიძე ღარიბი გლეხობის ინტერესების „დამცველი“ ხდება.

განვიხილოთ ეს არგუმენტიც. მიწის ნაციონალიზაციამ მოსპო მსხვილი ფეოდალური მიწადმფლობელობა და ეს მიწები უღარიბეს გლეხებს გადასცა. უღარიბესმა გლეხებმა **უსასყიდლოდ** მიიღეს მიწა უვადო სარგებლობისათვის, მაშინ, როდესაც უწინ მათ არასოდეს არ შეეძლოთ მისი ყიდვა. მოვაგონოთ გრ. ლორთქიფანიძეს, რომ მიწას ყიდულობენ და შეუძლიათ მისი ყიდვა უღარიბეს გლეხებს კი არა, რომლებსაც ფული არ გააჩნიათ, არამედ კულაკებს, სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებს. მაგრამ დავუშვათ, რომ უღარიბესი გლეხიც ყიდულობდა და შეუძლია იყიდოს მიწა. მან ფული უნდა გადაიხადოს მიწაში იმისათვის, რომ კერძო მესაკუთრის ტიტული შეიძინოს. ვთქვათ დღეს მან იყიდა ეს ტიტული, მაგრამ ხვალ უფულოდ რჩება და იძულებული გახდება ისევ გაჰყიდოს იგი. ამ ტიტულს, რა თქმა უნდა, იყიდის სოფლელი მდიდარი ბობოლა, საბოლოო ანგარიშით უღარიბესი გლეხი მიწას უნდა გამოეთხოვოს. მისი წვრილი საკუთრება მსხვილ მესაკუთრეთა ხელში იყრის თავს. ის იძულებული იქნება ამ მესაკუთრეთა სასარგებლოდ იმუშაოს.

ის, რაც უწინ გლეხებს უნდა ეყიდათ, მათ უსასყიდლოდ მიიღეს აგრარული რევოლიუციის წყალობით. ის კაპიტალები, რომლებიც **უწინ** იხარჯებოდნენ კერძო მესაკუთრის ტიტულის შესაძენად, **ეხლა** შეიძლება დაიხარჯონ უფრო ნაყოფიერად, სახელდობრ: ტეხნიკურ გაუმჯობესებაზე, ნიადაგის განოყიერებაზე და სხვ. ამ პროგრესიულ ტენდენციებს ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო კრედიტი, კოოპერაცია და სხვ. ღარიბ გლეხს პირველად აქვს საშუალება აღადგინოს და გააუმჯობესოს თავისი მეურნეობა.

მაშასადამე, ღარიბი გლეხობისათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელია მიწის ნაციონალიზაცია და არა კერძო საკუთრება მიწაზე.

ეხლა ვნახოთ, როგორია კულაკის საქმე. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მიწის კერძო საკუთრების პირობებში კულაკს შეუძლია იყიდოს უღარიბესი გლეხის მიწა. ის ხედავს თავისი „მოყვასის“ „გაჭირვებულ“ მდგომარეობას და „ხელს უმართავს“ მას: ჩალის ფასად ყიდულობს მისგან მიწას და „იხსნის“ მას ყოველივე გასაჭირისაგან, ავადმყოფობისაგან და სხვ. აღებული ფულით ღარიბ გლეხს შეუძლია ერთხელ კურორტი „მოიაროს“ (გრ. ლორთქიფანიძე მიწის ყიდვა-გაყიდვის საჭიროებას სხვათა შორის იმ გარემოებითაც ასაბუთებს, რომ ზოგჯერ გლეხისთვის საჭიროა კურორტი „მოიაროს“ და ჯანმრთელობა გაიუმჯობესოსო). მაგრამ აი, ის „ღარიბი გლეხი, რომელმაც კურორტი მოიარა და ჯანმრთელობა „გაიუმჯობესა“, შინ ბრუნდება. მიწა უკვე გაყიდულია. ფულიც აღარა აქვს.

რა უნდა ქნას?

კულაკი ხედავს ღარიბი გლეხის გაჭირვებულ მდგომარეობას და ისევ „ხელს უმართავს“ მას: ის წინადადებას აძლევს მას დაიმუშაოს მის მიერ გაყიდული მიწა მეტად მაღალი საიჯარო ფასით. ღარიბი გლეხი იძულებულია დათანხმდეს, ვინაიდან სხვა გამოსავალი არა აქვს. ამრიგად, ღარიბი გლეხობის მონური მდგომარეობა, მისი ექსპლოატაცია კი არ ისპობა, არამედ საუკუნოდ რჩება.

მიწის კერძო საკუთრება, მიწის ყიდვა-გაყიდვა მხოლოდ კულაკებისათვის არის ხელსაყრელი. ღარიბი გლეხებისათვის ის მოასწავებს ყოვლად ველურ ექსპლოატაციას და მათი ძალ-ღონის საშინელ დატაცებას.

ამრიგად ჩვენ დავინახეთ, რომ მიწის კერძო საკუთრება უღარიბესი გლეხობის დამონებისა და ექსპლოატაციის იარაღი ხდება.

მიწის ნაციონალიზაცია ართმევს კულაკებს ამ უმნიშვნელოვანეს იარაღს. ის უსასყიდლოდ აძლევს მიწას გლეხებს. კულაკების მადას და მათი მეურნეობის განვითარების შესაძლებლობას განსაზღვრული ფარგლები ედება. მიწის პროლეტარული ნაციონალიზაცია იქცევა უძლიერეს იარაღად სოციალურ ურთიერთობათა მოწესრიგებისათვის სოფლად.

ეს არ მოსწონთ კულაკებს. ეს ზღუდავს მათ განვითარებას. კულაკების მოთხოვნილებანი გამოხატულებას პოულობენ მათი პოლიტიკური წარმომადგენლის—გრ. ლორთქიფანიძის წინადადებებში.

გრ. ლორთქიფანიძე მეტად „თავდაჭერილია“. ის წინადადებას გვაძლევს დავუშვათ „მხოლოდ“ მიწის ყიდვა-გაყიდვა და ჯერ-ჯერობით ფორმალურად დავტოვოთ ნაციონალიზაცია. ნება დართეთ კულაკებს ჯერ-ჯერობით ორი ნორმის ფარგლებში მაინც იყიდონ მიწაო. დასაწყისისათვის ესეც საკმარისია, შემდეგ კი ვნახოთ. ასე მსჯელობს ქართველი კულაკების არც თუ უჭკუო იდეოლოგი.

მაგრამ მიწის ყიდვა-გაყიდვის დაშვება მოასწავებს მიწის ნაციონალიზაციის 95 პროცენტით მოსპობას. ლაპარაკია ჩვენი აგრარული კანონმდებლობის **საფუძვლების** არსებობაზე, ლაპარაკია იმაზე, რომ **ქართველი კულაკები გრ. ლორთქიფანიძის მეთაურობით სცდილობენ იერიში მიიტანონ პროლეტარიატის მბრძანებელ მაღლობებზე, სცდილობენ ჩაშალონ მიწის ნაციონალიზაცია.**

გრ. ლორთქიფანიძის გამოსვლის აზრი აშკარაა. მისი მოთხოვნილებების შინაარსი გასაგებია ყოველი მუშისა და გლეხისათვის. ულმობელი ბრძოლა ასეთ მოთხოვნილებებთან, ასეთ გამოსვლებთან, წარმოადგენს მორიგ ამოცანას.

3. სოფლის მეურნეობის განვითარების სოციალისტური თუ კაპიტალისტური გზა

ზემოთ ჩვენ გავარჩიეთ მიწის ნაციონალიზაციის საკითხი და დავინახეთ, რომ მიწის სახელმწიფოებრივი საკუთრება მხოლოდ კულაკებისათვის არის მიუღებელი. ჩვენი აგრარული კანონმდებლობა ზღუდავს კაპიტალისტური ელემენტების განვითარებას სოფლის მეურნეობაში და აქეზებს ღარიბ და საშუალო მეურნეობათა განვითარებას. სახელმწიფოს დასახული აქვს ამოცანა თანდათან სოციალისტურ კალაპოტში ჩააყენოს ეს განვითარება.

აშკარაა, რომ მიწის პროლეტარული ნაციონალიზაციის პირობებში კულაკი თავისუფლად ვერ იგრძნობს თავს. მისი მეურნეობის განვითარებას განსაზღვრული ფარგლები აქვს დადებული. ამან არ შეიძლება არ გამოიწვიოს მისი უკმაყოფილება. სწორედ ამიტომ კულაკები სცდილობენ მოსპონ მიწის ნაციონალიზაცია და აყენებენ მიწის თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის ლოზუნგს.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. ქართველი კულაკების ეკონომიური მოთხოვნილებანი, რამდენადაც მათ გამოხატულება ჰპოვეს გრ. ლორთქიფანიძის წერილში, ამით არ კმაყოფილდებიან და ბევრად უფრო შორს მიდიან.

კულაკებისათვის მეორე, განსაკუთრებით აქტუალური და საჭირბოროტო საკითხია დაგროვების თავისუფლების საკითხი. ქართველ გლეხობას, სწერს გრ. ლორთქიფანიძე, „დაკარგული აქვს შემოქმედებისა და დაგრო-

---

*) ლენინი—თხზულებათა კრებული, ტ. მე-XVIII, ნაწ. I. გვ. 270

*) ლენინი — ახალი ეკონომიური პოლიტიკა, სახ. გამომც., გვ. 191.

*) ამის შესახებ უფრო ვრცლად იხ. ჩვენი წერილი ჟურნალ „მნათობში“ № 8-9 და ბროშურა: „ქართველი მენშევიკების აგრარული „რეფორმა“.

*) აქვე შევნიშნავთ, რომ მარქსი აშკარად აღნიშნავდა მიწის ნაციონალიზაციის საჭიროებას ბურჟუაზიულ პირობებშიაც კი და ის ამაში არავითარ „ნაროდნიკობას“ არ ხედავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავაძლიეროთ კოლმეურნეობანი

მშრომელი გლეხობის მისწრაფება კოლექტივებში გაერთიანებისათვის იზრდება. — საკრედიტო ამხანაგობებმა მეტი დახმარება უნდა აღმოუჩინონ კოლმეურნეობებს; — სოფლის კომუნისტებმა, კომკავშირელებმა და მშრომელმა ინტელიგენციამ პირადი მაგალითით უნდა წაახალისონ გლეხობა კოლექტიურად დარაზმვისაკენ

პირველი მაგალითი ჩვენ უნდა მივცეთ

(წერილი თელავიდან)

მე-15 პარტყრილობის დადგენილება სოფლის მეურნეობის კოლექტიურ ნიადაგზე მოწყობის შესახებ კახეთის მაზრაში განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობს. გლეხობა ხალისით ხედავს კოლექტივების შექმნის იდეას, მაგრამ ერთი უდიდესი საკითხი კოლექტივიზაციის ირგვლივ, ჯერ კიდევ მოუგვარებელია, რომელსაც შეუძლია შეანელოს გლეხობის აღფრთოვანება. ეს საკითხი შემდეგია: ყველა ჩვენ, სოფლად მომუშავე მშრომელ ინტელიგენციას, (აგრონომები, მასწავლებლობა და სხვ.), მიუხედავად რა გლეხობასთან საუბრებით და რჩევა-დარიგებით კოლექტივების დაარსებისა და მათი უპირატესობის შესახებ წვრილ დაქსაქსულ მეურნეობასთან შედარებით, ამავე დროს გვაქვს საკუთარი, კერძო მეურნეობა. უმეტესობა ჩვენთაგანი შეგნებულად თუ შეუგნებლად გაურბივართ კოლექტივებს, ამავე დროს კი თვითონ ურჩევთ გლეხობას კოლექტივების შექმნას. და აი აქ, სოფლის მშრომელი, ღარიბი მოსახლეობა პირდაპირ სვამს საკითხს: „შენ რომ მირჩევ კოლექტივის შექმნას, რატომ შენ ჩემთან ერთად არ შემოდიხარ კოლექტივის წევრად შენი საწარმოო საშუალებებით? თუ კოლექტივიზაცია დიდ წარმატებას მოგვცემს მეურნეობის წარმოებაში, ეს ხომ შენთვისაც ხელსაყრელია“.

მშრომელი გლეხობის ასეთი შენიშვნა უსათუოდ სამართლიანად უნდა ჩაითვალოს. საჭიროა სოფლად აგრონომებმა, მასწავლებლობამ და სხვებმა, რომელნიც ინდივიდუალურ მეურნეობას აწარმოებენ, საქმით მისცენ მაგალითი მშრომელ გლეხობას და თავიანთი მეურნეობანი გააერთიანონ კოლექტივებში. ჩვენი მაგალითი გლეხობაზე დიდ მორალურ გავლენას მოახდენს სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეში და ბევრად შეუმსუბუქებს კოლექტივებს ტეხნიკური საქმეების მოგვარებასაც.

აგრ. **ელ. ხატიაშვილი.**

კოლექტიური მეურნეობა კახეთის მაზრაში

გასული წლის 1-ლ ოქტომბრისათვის კახეთის მაზრაში ითვლებოდა 73 კოლექტიური მეურნეობა, რომელიც აერთიანებდა 1537 წევრს. ამჟამად, ე. ი. 1928 წლის 15 სექტემბრისათვის არის 144 კოლმეურნეობა. ამათში 2 კომუნაა, 33 არტელი, 50 მიწად-მოქმედთა და 59 სამანქანო ამხანაგობა, რომლებიც აერთიანებს 3010 წევრს. აქედან 2132 ღარიბი გლეხია 806 საშუალო და 65 შეძლებული. გაერთიანებულ მიწების სივრცე უდრის 3300 დესეტინას, ხოლო ვენახებს 7634 დესეტინას. აქვთ 64 ტრაქტორი, 2 ძრავი, 13 სალეწი, 15 სამკალი, 8 სათესი და 21 სხვადასხვა სახის იარაღ-მანქანები.

გასულ წელში ხელმძღვანელ ორგანოების მხრივ ნაკლები ყურადღება ექცეოდა კოლმეურნეობის საკითხს. კოლმეურნეობათა ჩამოყალიბება ხდებოდა სტიქიურად და ასევე იშლებოდა. კოლექტივები ყალიბდებოდა მხოლოდ მოგების მიზნით, კოლექტივში ბევრი წევრი იყო, მანამ, სანამ კოლექტივი მათ აძლევდა საგრძნობ მოგებას, რითაც ის წინ სწევდა თავის კერძო მეურნეობას. კოლექტივს წევრი უყურებდა „როგორ ზედმეტ შემოსავლის წყაროს.

1927 წლის ბოლო თვეებიდან ამ საკითხს მტკიცედ მოჰკიდა ხელი ადგილობრივ პარტორგანოებმა, მოახდინეს გამოკვლევა არსებულ კოლექტივების. ცრუკოლექტივები გაუქმებული იქნა და მათ ნაცვლად ჩამოყალიბდა მეტად ჯანსაღი შემადგენლობით და მნიშვნელობით ახალი კოლექტივები.

ახალი კოლექტივების ჩამოყალიბება ხდება წინასწარ საჭირო მუშაობის ჩატარების, ნიადაგის მომზადების, მსურველთა შემადგენლობის შესწავლის და მასზე კოლექტივის დებულების გაცნობის შემდეგ.

კოლექტივებში გაერთიანებისადმი გლეხობის მისწრაფება დიდია, მაგრამ ხელისუფლებას მიზნათ აქვს დასახული არა მარტო მათი რიცხობრივი ზრდა, არამედ მეტ ყურადღებას აქცევს კოლექტივების თვისობრივობას და გამძლეობას.

ზოგიერთი მევენახეთა ამხანაგობები დღემდე არტელის სახელს მხოლოდ ფორმალურად ატარებდენ, სინამდვილეში კი ისინი წარმოადგენდენ მხოლოდ ვაზის დამამზადებელ წარმოებას (შეკავშირებულნი იყვნენ სათბურის ირგვლივ); ეს ზოგადად დღეს მეტ წილად აღმოფხვრილია.

სესხები კოლამხანაგობებს დღემდე მიღებული აქვთ 224.000 მანეთამდე. საერთოდ სესხების მეტი ნაწილი გამოყენებულია დანიშნულებისამებრ, მაგრამ აქვს ადგილი დამახინჯებებსაც, როგორიცაა სესხის წევრებზე ინდივიდუალურად გაცემა მათი პირადი მოთხოვნილებებზე გამოყენებისათვის; საბიამნის, პურის და სხვათა შესაძენათ. (იყალთო, რუისპირი, ჩუმლაყი, მალარო და ზემო მაჩხაანი).

აგრო-დახმარება კოლმეურნეობისადმი დამაკმაყოფილებელია. რაიონის აგრონომები ასწავლიან კოლექტივის წევრებს ვაზის მყნობას, მარტივ სათბურში ინტენსიური წესით ვაზის გამოყვანას შაბიამნის დაყენებას, მოვლა-გაშენებას და სხვა.

საკრედიტო ამხანაგობების მხრივ დახმარება, საერთოდ კარგია, მაგრამ აქაც აქვს ადგილი დამახინჯებებს. ზოგიერთი საკრედიტო ამხანაგობები უნდობლობით უცქერიან კოლექტივებს, მაგალითად უხეში და არასწორი მიდგომა (წინანდალი, თელავი, ჩუმლაყი), ვადადაცილებულ ვექსილების პროტესტში მიცემა, ჯარიმების დადება, ტრაქტორის წართმევა და სხვა. ნაცვლად იმისა, რომ საკრედიტო ამხანაგობებმა კოლექტივებს დახმარება გაუწიონ სესხების დაფარვაში, ადგილი აქვს სესხების გადამეტებით მიცემასაც. მაგალითად ყვარლის საკრედიტო ამხ-ბამ 12 წევრისაგან შემდგარ კოლექტივს მისცა ზედმეტათ 2.700 მანეთი, რომელსაც უკვე მიღებული ჰქონდა 3.000 მან. რაც ცხადია არასწორ მოქმედებათ უნდა ჩაითვალოს.

აღსანიშნავია, რომ კომუნისტების რიცხვი კოლექტივებში კიდევ არ არის საკმაო. წევრთა საერთო რიცხვიდან კომუნისტებია—167, ხოლო კომკავშირელები—228.

საჭიროა შესწავლილ იქნეს კოლექტივების დაჭრით გაატარონ ცხოვრებაში მე-15 პარტყრილობის დადგენილება მეურნე გლეხ კომუნისტების კოლექტივებში 100 პროცენტით ჩაბმის შესახებ.

საჭიროა შესწავლილ იქნეს კოლექტივების წევრთა სოც. და ქონებრივი მდგომარეობა და აღებულ იქნეს ხაზი, რათა კოლექტივი მისი წევრისათვის წარმოადგენდეს მთავარ საარსებო წყაროს და არა ის კერძო მეურნეობა, რომელიც კიდევ აქვთ კოლექტივის წევრებს.

ხ. მ.

ამხ. ვ. სტურუას სახელობის არტელი

(წერილი გარე-კახეთიდან)

გარე-კახეთში არტელი იშვიათი მოვლენაა. საბჭოთა ხელისუფლების ამოცანა კი იმაში მდგომარეობს, რომ რაც შეიძლება მეტი არტელები და კომუნები მოეწყოს სოფლად. 1924 წელში საგარეჯოში საძირკველი ჩაეყარა ამხ. ვ. სტურუას სახელობის მიწის დამმუშავებელთა არტელს, რომელშიაც ოცამდე წევრია გაერთიანებული. არტელს ხელმძღვანელობს ძველი მეურნე ალექ. ბოგვერაძე. ყველა ესენი უღარიბესი გლეხები არიან.

არტელის მიწის ნაკვეთი მდებარეობს საგარეჯოდან დაახლოებით 10 კილომეტრის მანძილამდე, მდინარე იორის გაღმა. მთელი მიწის ნაკვეთი უდრის 8 დესეტინას, რომელსაც წელს მიემატება კიდევ რამდენიმე ათეული დესეტინა სახნავ-სათესი მიწის ნაკვეთი. აქედან ვაზით გაშენებულია 2 დესეტინა, ვაზი უკვე ბებერია და ადგილობრივი ჯიშის, როგორც არის მაგალითად საფერავი, რქაწითელი და მწვანე; არის ევროპიული ჯიშებიც: მუსკატი—წითელი და თეთრი, ალიგოტე. და ახლოვებით ნახ. დესეტ. მავთულზეა, დანარჩენი ჭიგოზე, ვენახს სამი მხრიდან შემოვლებული აქვს ცოცხალი ღობე.

არტელს აქვს აგრეთვე ერთი დესეტინა ხეხილის ბაღი, სადაც გაშენებულია ევროპიული ჯიშები: შაფრანი, კანადის რენეტი და სხვა. მიწის დანარჩენი სივრცე უკავია სხვადასხვა ნათესებს: სიმინდს და ბოსტნეულს ხოლო დროგამოშვებით ტეხნიკურ მცენარეებს: ბამბას და სხვ. მამულის მოსარწყავად სარგებლობენ მდინარე იორით, საიდანაც არხის საშუალებით გამოჰყავთ საკმაო რაოდენობის წყალი. საჭიროა გაზაფხულობით არხის გამოყვანაში დანარჩენი გლეხობაც დაეხმაროს არტელს, რადგან ისინიც სარგებლობენ ამ არხით. არტელის მიწების გარშემო ჭაობიანი ალაგია, რომლის ამოშრობა აუცილებლობას წარმოადგენს. არტელს ჰყავს 12 ძირი ფუტკარი, ხოლო თბილისის აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილებას 118 სკა-ფუტკარი. მარანი მოწყობილია ევროპიულად. არტელს აქვს საკმაო იარაღ-მანქანები და სხვ.

აგრონომ შ. გულისაშვილის აზრით, საჭიროა არტელი ეხლავე შეუდგეს ამერიკულ ნერგზე დამყნილ ვაზების გაშენებას, რაც შეეხება მეფუტკრეობას, სპეც-მეფუტკრე ნ. რუმინცევს მთელ გარე-კახეთში ამ არტელის ფუტკარი ყველაზე უკეთ მოვლილად მიაჩნია.

გარე-კახეთის მშრომელი გლეხობისათვის ეს კომუნა სამაგალითოა.

ვ. გარსიაშვილი.

როგორ ტარდება მომჭირნეობა წარმოებებში

ზედმეტ და უნაყოფო ხარჯებს ბევრ წარმოებებში ბოლო არ ელება. — სამუშაო ხელსაწყო იარაღს დაუზოგავად ხმარობენ. — ტყავტრესტის ქარხნებში საწარმოო მასალა წვიმაში ლპება. — გულგრილი მუშაობით ათეული ათასი მანეთობით ზარალობს რკინის გზა

ზედმეტი ხარჯებით საქმეც ფერხდება

(წერილი ბათომიდან)

რკ. გზის ბათომის უბანი თავისი სიდიდით ბევრათ ჩამორჩება ამიერ-კავკ. სხვა უბნებს. ბათომის უბანი აერთიანებს დაახლოებით 350 მუშა-მოსამსახურეს, ჰყავს თავისი სალიანდაგო დარგის უფროსი ორი თანაშემწით, რომლებიც ღებულობენ სპეც-განაკვეთებს დაახლოებით 250 მანეთამდე თვეში. საქმით კი არც ერთი მათგან არ არის დატვირთული. საუბნო კომიტეტის დადგენილებით უნდა გატარებულიყო ხარჯების 20 პროც. შემცირება. ამ მიზნით უნდა მოეხსნათ ერთი თანაშემწე და სხვა სამუშაოზე გადაეყვანათ. მაგრამ რადგან უბანში ირიცხება საორთქლმავლო გუნდების გამწესრიგებელი, რომელიც ღებულობს თვიურად 150 მან. და ყოველ დღიურად მუშაობს მხოლოდ ორ-სამს საათს, უნდა მოეხსნათ ეს შტატი და მისი მოვალეობა დაევალებიათ ერთ-ერთ თანაშემწესათვის. გადის თვეები და ეს დადგენილება მაინც უყურადღებოთ არის მიტოვებული. ტყვილა უბრალოთ იკარგება 150 მანეთი.

1924—25—26 წლებში უბანში ითვლებოდა ერთი უფროსი და ჰყავდა მხოლოდ ერთი თანაშემწე, რომელიც ასრულებდა აგრეთვე გამწესრიგებლის მოვალეობასაც. დღეს ადმინისტრატიული შტატი გაბერილია და მაინც არაფერს აკეთებს.

გარდა ამისა დეპოში ირიცხება 4 რევიზორი, რომლებიც მუშაობენ ცვლიან მორიგეობაში, აწარმოებენ ორთქლმავლების გამოშვება-მიღებას, მანიოვრებს და სხვა. ისინი მოკლებული არიან აგრეთვე გუნდების ნამუშევარის ცხრილსაც, მაგრამ ამისათვის სხვები მუშაობენ და ღებულობენ ზედმეტი საათების ჯილდოსაც თვეში 100 მანეთიდან 130 მანეთამდე. საორთქლმავლო გუნდებისათვის აყვანილია ერთი მეტაბელე, რომელიც მუშაობს 8 საათს. შემდეგი თექვსმეტი საათი კი ის დასვენებულია. კვირა-უქმე დღეებში კანტორა დაკეტილია და რევიზორებთან მომუშავე კანტორის მოხელეებს არა აქვთ ცნობები მუშაობისა; არ იციან ვის მეტი აქვს საათები, ვის ნაკლები, რის გამო დაზოგვის ნაცვლად ათასეული მანეთები იხარჯება.

გამოსავალი აქ ერთია: კანტორის მოხელე, რომელიც მუშაობს ცვლიან მუშაობაში და დეპოს მორიგეების უშუალო განკარგულებაში, თამამად შეუძლიან მეტაბელეების თანამდებობის შესრულება 3 მანეთის მომატებით თვეში. ამით საქმესაც გავაუმჯობესებთ და ხარჯებსაც შევამცირებთ.

ცხვარი.

გაუფრთხილდით ხელსაწყო იარაღს

რკინიგზის ორთქლმავლების შემკეთებელი ქარხნის საიარაღო სამქროს ანგარიშწარმოება აწეწილ-დაწეწილია. მასთან ერთად ძვირფასი პნევმატიური ჩაქუჩები და მანქანები უდიერად იხმარება. ეს ითქმის განსაკუთრებით საქვაბე საამქროს მუშებზე.

მექვაბე პერეგუდომა, 14 სექტემბერს წაღებული სრულიად ახალი პნევმატიური სახვრეტი მანქანა № 1237, დაუდევრობით გააფუჭა და 10 დღის განმავლობაში საიარაღოში შესაკეთებლად მოიტანა. რადნოვის ბრიგადაში სრულიად ახალი პნევმატიური მანქანები, მოტანისთანავე დაამტვრიეს. ხშირად შეხვდებით სახელოსნოების ეზოში ასეთ ძვირფას იარაღს უპატრონოდ და უყურადღებოდ დაგდებულს. თითქმის ყოველ დღე, საიარაღო საგამცემლოდან მიდის განწესებულ პნევმატიურ მანქანების, ჩაქუჩების და სახელურების შესაკეთებლად; განურჩევლად იმისა ახალი არიან ისინი თუ ძველი. ხშირად ერთი და იგივე პნევმატიური მანქანა ან ჩაქუჩი, კვირის განმავლობაში რამდენიმეჯერ მიდის შესაკეთებლად საიარაღოში. საიარაღოს გამგე კი ამას ჩვეულებრივ მოვლენად სთვლის.

ქაღალდების ხროვას და საქმის გამანტურებას ჩვენ ვებრძვით, საამქროს გამგე კი ამას ხელს უწყობს; შესაკეთებლად—წასულ თითო პნევმატიურ მანქანებზე, ცალკე განწესს თხოულობს, როდესაც შეიძლება ყველა შესაკეთებელ პნევმატიურ მანქანებზე დღეში ერთი განწესი დაიწეროს.

ამ ნაკლის გამოსასწორებლად საჭიროა გამოყოფილი იქნეს კომისია, რომელიც შეამოწმებს ყველა პნევმატიურ იარაღს და გადაარჩევს მას საჭიროების და მიხედვით.

რიხტამ.

მოუარეთ ქონებას

(ფეხსაცმელების ქარხანა)

ტყავტრესტის გამგეობას, ტყავის ქარხნების საჭიროებისათვის რუსეთიდან გამოწერილი აქვს ე. წ. „კარიო“, რომელსაც ხმარობენ ტყავის გამოსაყვანად, მაგრამ საქმე ის კი არ არის, რომ გამოიწერო რაიმე მასალა წარმოების საჭიროებისათვის და ამით ასწიო ტრესტის ავტორიტეტი საბჭოთა კავშირის სხვა ტრესტებთან, არამედ საქმე ის არის, მოუარო ამ გამოწერილ მასალას და მიზანშეწონილად გამოიყენო იგი საჭიროების და მიხედვით.

ტყავტრესტის გამგეობა, როგორც ეტყობა უფრო ავტორიტეტის აწევის მიზნით იწერს რუსეთიდან მასალას, ვიდრე მოხმარების მიზნით. ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ რუსეთიდან მოსული „კარიო“, უყურადღებოდ ყრია ღია ცის ქვეშ და ლპება. № 3 ქარხანაში ადგილიც კი აღარ არის, რომ დაყარონ ეს მასალა.

ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ბევრჯელ აცნობა ტრესტს, რომ შეაჩერონ „კარიო“-ს გამოგზავნა, მაგრამ ამას არავინ ყურადღება არ მიაქცია. ამ მასალის უმეტესი ნაწილი იმდენად დამპალი და დაზიანებულია, რომ მისი გამოყენება შეუძლებელია. ეს კი საკმაოდ დიდ ზარალს აყენებს წარმოებას და აფერხებს მის გაფართოებას.

საჭიროა ტრესტის გამგეობამ მეტი ყურადღება მიაქციოს საწარმოო მასალის გამოყენებას და მიიღოს ზომები მის მოსავლელად.

ვაჟია.

უთავბოლო მუშაობა

უკვე თვეზე მეტია, რაც რკ. გზის მოძრაობის დარგმა, სატყეო განყოფილებიდან, ახტალის გადასარბენზე მიიღო 100-ზე მეტი შპალი. დღემდე ეს შპალი უყურადღებოდ ყრია ღია ცის ქვეშ და წვიმისაგან ნადგურდება. გარდა ამისა კარგა ხანია, რაც ტყიდან 3000 ცალი შპალია გამოზიდული, რომელიც აგრეთვე ლპება და ნაგავში იყრება რამდენიმე ათი ათასი მანეთი.

მოძრაობის დარგის სატყეო მასალის მიმღები კომისიონერები, გულგრილად ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას. მათი უყურადღებობით ფერხდება შპალების დროზე გადაზიდვა და რამდენიმე ათასი მანეთი ზარალი ეძლევა რკ. გზას.

ვინ მიაქცევს ამ უთავბოლო მუშაობას ყურადღებას და ვინ გამოასწორებს მას?

შავსოფლელი.

სად არის მომჭირნეობა?

მოსკოვიდან მოსული ტრამვაის ვაგონები, რკ. გზის ბაქნიდან გადმოაქვთ ტრამვაის სახელოსნოს მუშებს, რომლებიც თითო ვაგონის გადმოღებაში ღებულობენ 60 მანეთს. ამავე დროს იგივე მუშები, სახელოსნოში მუშაობის გამო, ცალკე იღებენ ჯამაგირს.

ამ ზედმეტი ხარჯების თავიდან აცდენა კი სულ ადვილია; თუ სახელოსნოს მუშებს იმდენი დრო აქვთ, რომ მათ შეუძლიათ ვაგონების გადმოღება ბაქნებიდან, მაშინ ტრამვაის დირექციამ უნდა გაანთავისუფლოს ეს მუშები ერთ-ერთი სამუშაოდან და მისცეს მათ ერთი ხელფასი. ამრიგად ვაგონზე 60 მანეთი დარჩება აღმასკომს. თუ ეს შეუძლებელია, იმ შემთხვევაში საჭიროა ამ დროებითი სამუშაოზე, ვაგონების გადმოღებაზე, მოწვეული იქნენ უმუშევრები მით უმეტეს, რომ იგი შავი სამუშაოა და არავითარ სპეციალურ ცოდნას არ მოითხოვს.

ტრამვაის დირექციავ, მიაქციე ამას ყურადღება.

ყვირილისპირელი.

მუშკორთა წერილებიდან

რა ხდება სად. თბილისის საბარგო სალაროში. სად. თბილისის მწონავი, მოქ. სილიბისტრო დევდარიანი არა ერთხელ იყო შემჩნეული სიყალბეში და საქონლის არა სწორად აწონაში, მაგრამ პასუხისგებაში მიცემის მაგიერ იგი საქონლის სადგურიდან, სახალხო სადგურში გადმოიყვანეს — თავის ძველ ადგილზე. ვფიქრობთ აქ ნათლიმამობას აქვს ადგილი.

წითელი სარკე.

მოუმატეთ მომუშავე. თბილისის მეოთხე ამბულატორიასთან მოწყობილია აფთიაქი, სადაც მუშაობს სამი ფარმაცევტი. აფთიაქი საკმაოდ დიდ რაიონს ემსახურება. მოთხოვნილება წამლებზე იმდენად დიდია, რომ მესამე დღესაც ძლივს მზადდება წამალი. ჯანმრთელობის განყოფილებავ, მოუმატე მომუშავე.

ვ. ლიახველი.

ყების, შეძენისა და გაფართოების ხალისი და უნარი“-ო. ამიტომ, სწერს ის, „გლეხს უნდა მიენიჭოს სულიერი სიმშვიდე და რწმენა ხვალინდელი დღისა; უნდა აშვებულ იქნას მისი სამეურნეო თაოსნობა საწარმოო დაზოგვისა და დაგროვების სტიმული“.

თუ საკითხზე ჩვენი საგლეხო პოლიტიკის საფუძვლების შესახებ გრ. ლორთქიფანიძე ბუნდოვანად გამოსთქვამს თავის აზრებს, აქ ის ნათლად და მკაფიოდ გამოსთქვამს ამ აზრებს. გრ. ლორთქიფანიძე აქ ფრჩხილებსა ხსნის და თითონ განმარტავს, თუ რას გულისხმობს თავის მოთხოვნილებაში „უმთავრესად გლეხური პოლიტიკის“ შესახებ.

მართლაც რა დაგროვებაზე, რა მომჭირნეობაზე, ლაპარაკობს გრ. ლორთქიფანიძე? **რომელი** გლეხისათვის მოითხოვს ის სამეურნეო ინიციატივის თავისუფლებას?

თუ ის ლაპარაკობს დაგროვებაზე ღარიბ და საშუალო მეურნეობებში, უნდა განვაცხადოთ, რომ პროლეტარული სახელმწიფო ამას სრულებითაც არ უშლის ხელს. პირიქით, ის ხელს უწყობს დაგროვებას და საწარმოო ძალების ზრდას ამ მეურნეობებში, ხელს უწყობს მოსავლიანობის გადიდებას აგრონომიული ცოდნის გავრცელებით და სხვ.

თუ გრ. ლორთქიფანიძე ლაპარაკობს ღარიბ და საშუალო მეურნეობათა სამეურნეო ინიციატივაზე, პროლეტარული სახელმწიფო ყოველმხრივ აქეზებს ამ ინიციატივას.

მაგრამ გრ. ლორთქიფანიძეს ღარიბი და საშუალო მეურნეობები როდი ჰყავს მხედველობაში. მისი ზრუნვის საგანს კულაკური მეურნეობები შეადგენენ. მხოლოდ ეს კულაკური მეურნეობანი არიან უკმაყოფილონი საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკით, და რაც უფრო იზრდებიან და ვითარდებიან ეს მეურნეობანი, მით უფრო აქტიურად გამოსთქვამენ უკმაყოფილებას.

სოფლის კულაკები, რომლებიც ღარიბ გლეხებს კურორტებზე „გზავნიან“, გადაჭრით აცხადებენ გრ. ლორთქიფანიძის პირით: მოგვეცით დაგროვების თავისუფლება, საქმიანობის თავისუფლებათ. ნუ ჩაერევით ჩვენს სამეურნეო საქმეებში, ნუ წაგვართმევთ წარმოების სტიმულებს, ხელს ნუ უწყობთ სოფლის „ბედოვლათებს“ ე. ი. ღარიბებსო.

და აი, გრ. ლორთქიფანიძე, რომელიც „მშრომელი“ კულაკების ნებასურვილსა და ზრახვებს გამოხატავს, აყენებს თავისებური „საბჭოთა“ ფრიტრედერობის ლოზუნგს, ლოზუნგს „Laissez faire laissez passer“ (ნურაფერში ნუ შეზღუდავთ თავისუფლებას).

მისაღებია თუ არა ასეთი ლოზუნგი ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისათვის? შეგვიძლია თუ არა ჩვენ ღარიბი გლეხები კულაკებს დავანებოთ შესაჭმელად? შეგვიძლია თუ არა მივცეთ კულაკებს იმდენი თავისუფლება, რომ მთავარი როლი ითამაშონ მეურნეობაში?

ყველა ამ კითხვებზე ჩვენ უარყოფით პასუხს ვიძლევით.

ჩვენთვის სრულებითაც არ არის სულერთი, თუ **რა ფორმით** სწარმოებს დაგროვება, რა ფორმით ვითარდებიან საწარმოო ძალები. ჩვენთვის სულ ერთი არ არის—სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალები სოციალისტური ფორმით ვითარდებიან, თუ კაპიტალისტურით.

პროლეტარული სახელმწიფო უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებს იმ ეკონომიურ პროცესებში, რომლებსაც ადგილი აქვთ სოფლის მეურნეობაში. ის ხელს უწყობს და აქეზებს სოციალისტური ელემენტების განვითარებას. მრავალი ეკონომიური ღონისძიება, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება ატარებს, ამოცანად ისახავს განავითაროს ღარიბების და საშუალო გლეხების მეურნეობანი და თანდათან გადაიყვანოს ისინი სოციალისტურ რელსებზე.

მეორე მხრივ, პროლეტარული სახელმწიფო აწარმოებს ბრძოლას კულაკურ მეურნეობებთან, ზღუდავს და აწესრიგებს მათ განვითარებას. პროლეტარიატი გადაჭრით აცხადებს თავს სოფლის მეურნეობის კაპიტალისტური ევოლიუციის მოწინააღმდეგედ.

ეს არ მოსწონს გრ. ლორთქიფანიძეს, ამას ვერ ურიგდებიან ქართველი კულაკები. სწორედ ამიტომ აყენებენ ისინი აგრარული კაპიტალიზმის სრული თავისუფლების ლოზუნგს, აგრარულ საქმეებში ჩაურევლობის ლოზუნგს.

მაგრამ, ყოველი ჭკუადმყოფელი კაცისათვის აშკარაა, რომ აქ ლაპარაკია ორი, **ერთმანეთისადმი დიამეტრალურად საწინააღმდეგო** ტენდენციის ბრძოლაზე. ლაპარაკია სოფლის მეურნეობის განვითარების კაპიტალისტური და სოციალისტური გზების ბრძოლაზე.

ამ მწვავე ბრძოლაში პროლეტარულ სახელმწიფოს არ შეუძლია არ ისარგებლოს ეკონომიური ზეგავლენის იმ მრავალი ბერკეტით, რომელიც მის განკარგულებაშია. ასეთ ზეგავლენაზე უარის თქმა სახელმწიფოებრივი თვითმკვლელობის მომასწავებელი იქნებოდა.

4. საბჭოთა ხელისუფლების საგადასახადო პოლიტიკა და ქართველი კულაკები

პროლეტარული დიქტატურის საგადასახადო პოლიტიკა ერთ-ერთი ძლიერი ბერკეტია, ზეგავლენის მოსახდენად იმ პროცესებზე, რომლებიც სოფლად სწარმოებენ. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ პროლეტარიატი ებრძვის კაპიტალისტურ ტენდენციებს სოფლის მეურნეობაში და ყოველმხრივ ხელს უწყობს და აქეზებს სოციალისტურ ტენდენციებს. ეს საერთო გეზი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკაში განსაზღვრავს საგადასახადო პოლიტიკის ამოცანებსაც.

საბჭოთა ხელისუფლების საგადასახადო პოლიტიკა კლასობრივ პრინციპზეა აგებული. თუ უწინ, ცარიზმის დროს, საგადასახადო პოლიტიკა გლეხობის პაუპერიზაციის საშუალებას წარმოადგენდა, ეხლა პირიქით ხდება. სახელმწიფო ანთავისუფლებს გადასახადისაგან ღარიბ გლეხობას და საშუალო გლეხების ნაწილს და ამით ხელს უწყობს მათი მეურნეობის განვითარებას. მეორეს მხრივ, სახელმწიფო ძლიერ ბეგრავს სოფლის ზედაფენებს, კულაკურ ელემენტებს და ამით განსაზღვრულ, პროლეტარიატისათვის მისაღებ, ფარგლებში აყენებს კულაკური დაგროვების ზრდას, კაპიტალისტური ელემენტების განვითარებას.

ასეთმა საგადასახადო პოლიტიკამ არ შეიძლება არ გამოიწვიოს კულაკების გაბრაზება. მათ არ მოსწონთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება ბეგრავს „მშრომელ“ კულაკებს და ანთავისუფლებს „ბედოვლათებს“—ღარიბ გლეხებს. ისინი აღშფოთებულნი არიან იმის გამო, რომ პროლეტარულ სახელმწიფოში ღარიბი გლეხები საგადასახადო შეღავათებით სარგებლობენ. აი რას აცხადებენ ისინი გრ. ლორთქიფანიძის პირით: „გადამხდელი ნაწილი გულის სიღრმემდე აღშფოთებული იმით, რომ მათი აზრით ას განთავისუფლებულიდან 90 ზარმაცი და მუქთახორაა და ვერ გაუგია, რატომაა, რომ შრომის სახელმწიფოში მშრომელ გლეხობას ბეგრავენ, ზარმაცებს კი პრემიას აძლევენო“.

გრ. ლორთქიფანიძე წინადადებას გვაძლევს პირიქით მოვიქცეთ; ის მოითხოვს, რომ კულაკები განთავისუფლებულ იქნან გადასახადისაგან და მათ მაგიერ დაიბეგრონ ღარიბი გლეხები, რომლებსაც ის ზარმაცებსა და პარაზიტებს უწოდებს. არავითარი საგადასახადო შეღავათი ღარიბ გლეხებს, აცხადებს გრ. ლორთქიფანიძე.

ძნელი გასაგები არ არის, თუ რა მიზანი აქვს ამ პოლიტიკას. რომ პარტია და საბჭოთა ხელისუფლება იმ გზას დაადგეს, რომელსაც გვირჩევს გრ. ლორთქიფანიძე სოფლის „ეკონომიური და სულიერი სტაბილიზაციის“ მიზნით, ეს ძირიანად შეარყევდა ღარიბი და საშუალო გლეხობის ფართო მასების ნდობას საბჭოთა ხელისუფლებისადმი. გრ. ლორთქიფანიძის წინადადების განხორციელება საუკეთესო საშუალება იქნებოდა წინააღმდეგობის გასამწვავებლად პროლეტარიატსა და გლეხობის ძირითად მასებს შორის. მაშასადამე, ეს შეარყევდა საბჭოთა ხელისუფლების საფუძვლებს, გადაქცევდა მას გლეხობისა და მუშებისათვის უცხო ხელისუფლებად.

აშკარაა, რომ ამ საკითხში ზედმეტია ლაპარაკი რაიმე დათმობაზე კულაკების მიმართ. ჩვენი საგადასახადო პოლიტიკის კლასობრივი პრინციპი და მიზნობრივი გეზი დაცული უნდა იქნან. კულაკებისა და მათი იდეოლოგის არავითარ აღშფოთებას არ ძალუძს საბჭოთა საგადასახადო პოლიტიკის საფუძვლების შეცვლა.

5. საბჭოთა ხელისუფლების ფასების პოლიტიკა და გრ. ლორთქიფანიძე

გრ. ლორთქიფანიძეს არ მოსწონს არა მარტო ჩვენი საგადასახადო პოლიტიკა, არამედ ჩვენი ფასების პოლიტიკაც. სამრეწველო საქონელი, აცხადებს ის, მაღალ ფასებში იყიდება, სასოფლო-სამეურნეო საქონელი კი—დაბალ ფასებშიო. სამართლიანი არ არის, როდესაც ფუთი ბამბა 4 მანეთად მიაქვთ, ხოლო არშინ ჩითს ათ შაურად მყიდიანო და სხვადასხვა.

არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ სამრეწველო საქონლის ფასები მაღალია. ყველა ხელმძღვანელ ორგანოს, მთელს ჩვენს პარტიას ესმის, რომ საჭიროა სამრეწველო ფასების შემცირება. დაწყებული 1923 წლიდან, ჩვენ დიდ წარმატებას მივაღწიეთ ფასების შემცირების დარგში. მაგრამ მიღწეული წარმატება ჩვენ არ გვაკმაყოფილებს. პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ეხლაც და მომავალშიაც განაგრძობენ ფასების შემცირების პოლიტიკას.

მაგრამ როგორ შეიძლება ამ ამოცანის განხორციელება?

სამრეწველო საქონლის ფასების სისტემატიური შემცირება შესაძლებელია თვითღირებულების, ზედნადები ხარჯების და სხვ. შემცირებით. და ამ დარგში ჩვენ გარკვეული დადებითი შედეგები გვაქვს.

გრ. ლორთქიფანიძე, რომელიც მოითხოვს იაფ სამრეწველო საქონელს, ამასთან ერთად მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო ფასების გადიდებას. უნდა გადიდდეს პურის, აბრეშუმის, ბამბის და სხვ. დამზადების ფასებიო. მაგრამ ამ წინადადების ავტორმა არც კი მოისაზრა, რომ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ფასების გადიდება გაადიდებს სამრეწველო საქონლის თვითღირებულებას, და მაშასადამე ფასებსაც. როგორც ვხედავთ, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასების გადიდებამ საბოლოო ანგარიშით არ შეიძლება არ გამოიწვიოს სამრეწველო საქონლის ფასების გადიდება. ამიტომ არ შეიძლება ერთსა და იმავე დროს სამრეწველო საქონლის ფასების შემცირებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასების გადიდების მოთხოვნა.

სასოფლო-სამეურნეო საქონლის ფასები საერთოდ და მთლიანად მისაღები არიან გლეხობის ძირითადი ფენებისათვის. შეიძლება შეიცვალონ **ცალკე** სასოფლო-სამეურნეო საქონლის ფასები (მაგალითად პურის ფასების გადიდება), მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ არ შეგვიძლია ავიღოთ ფასების გადიდების კურსი.

სასოფლო-სამეურნეო ფასების გადიდების ლოზუნგი არ არის ჩვენი ლოზუნგი. ამ ფასების აწევაში დაინტერესებულნი არიან კულაკური ელემენტები, რომელთაც საქონლის დიდი მარაგი აქვთ. ღარიბ და საშუალო მეურნეობებისათვის ჩვენი სასოფლო-სამეურნეო ფასები მისაღებია.

ზემოთ განხილული საკითხების გარდა, გრ. ლორთქიფანიძე აყენებს აგრეთვე საკითხს იმის შესახებ, რომ უსამართლო და მიზანშეუწონელია მოუვლელი სახლების მუნიციპალიზაცია, რომელიც თბილისში ჩატარდაო. როგორც რიგი და წესია, ის „ასაბუთებს“ თავის დებულებას ეკონომიური მოსაზრებებით (ეს ეკონომიურად მიზანშეუწონელიაო და სხვ.).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მოუვლელი სახლების ჩამორთმევა მიზანშეწონილია უპირველეს ყოვლისა სწორედ ეკონომიური მოსაზრებებით.

დიდი ხანია ცნობილი, რომ თბილისელი სახლის მეპატრონეები მტაცებლურად ეკიდებოდნენ თავიანთ სახლებს. ისინი ღებულობდნენ დიდ ქირას ბინებში, სპეკულიაციას ეწეოდნენ ბინებით, და სრულებითაც არ ზრუნავდნენ ამ სახლების მოვლაზე, შეკეთებაზე და სხვ. აქ ადგილი ჰქონდა საწარმოო ძალთა დატაცებას და უსაზღვრო სპეკულიაციას.

გასაგებია, რომ საბჭოთა ხელისუფლებას არ შეეძლო გულხელდაკრეფილს ეცქირა ასეთი მტაცებლობისათვის. აი ის ეკონომიური მოსაზრებანი, რომლებიც საფუძვლად დაედვენ მოუვლელი სახლების ჩამორთმევას.

⁂

ჩვენ განვიხილეთ ეკონომიური პოლიტიკის ყველა ის ძირითადი საკითხები, რომლებიც წამოაყენა გრ. ლორთქიფანიძემ; ჩვენ ანალიზი გავუკეთეთ იმ მოთხოვნილებებს, რომლებსაც აყენებს ის საბჭოთა ხელისუფლების საფუძვლების „განმარტების“ მიზნით ქალაქშიაც და სოფლადაც.

ეხლა შეგვიძლია ერთგვარი ჯამი გავუკეთოთ ყოველსავე ზემოთ ნათქვამს.

გრ. ლორთქიფანიძემ იცის, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება განმტკიცდა და რომ მასთან ბრძოლა ადვილი არ არის, ის არ მოუწოდებს ხალხს აჯანყებისაკენ ხელისუფლების წინააღმდეგ, ვინაიდან ესმის, რომ ეს უმიზნოა და დამღუპველია მენშევიზმისათვის. ის ამჯობინებს სხვა მეთოდებით იმოქმედოს. მას სხვადასხვა „შესწორებები“ შემოაქვს და წინადადებას გვაძლევს გავატაროთ „ზოგიერთი“ ეკონომიური ღონისძიება, ამასთანავე ის რაც ძალი და ღონე აქვს ფარავს ამ შესწორებათა და წინადადებათა ჭეშმარიტ მიზანს და შედეგებს.

მით უფრო საჭიროა ბრძოლა ასეთ გამოსვლებთან, მით უფრო საჭიროა მათი ულმობლად გამოაშკარავება.

გრიგოლ ლორთქიფანიძის წერილი შემთხვევითი დოკუმენტი არ არის. ამ დოკუმენტის თვითეული პუნქტი მოფიქრებულია და დასაბუთებული ბურჟუაზიული კლასობრივი თვალსაზრისით, რომელიც უცხოა ჩვენთის. საერთოდ მთელი დოკუმენტი წარმოადგენს ქართველი კულაკების პროგრამას, მათ ეკონომიურ მოთხოვნილებათა კრებულს.

მიწის დენაციონალიზაცია, კულაკური დაგროვებისა და საქმიანობის თავისუფლება, სოფლის განვითარების კაპიტალისტური გზა, საგადასახადო პოლიტიკის კულაკების გემოვნებაზე შეცვლა, სასოფლო-სამეურნეო საქონლის ფასების გადიდება, ამიერ-კავკასიის ფედერაციის მოსპობა, სახლების დემუნიციპალიზაცია—აი ძირითადი საპროგრამო მოთხოვნილებანი ზრდის პროცესში მყოფი ქართველი ბურჟუაზიისა.

ყველა ეს მოთხოვნილება დაკავშირებულია ერთმანეთთან და ერთად აღებული წარმოადგენს მთლიან ერთეულს.

ამ საპროგრამო მოთხოვნილებათა წამოყენებასთან ერთად გრ. ლორთქიფანიძე ცდილობს გამონახოს სოციალური ბაზა, დასაყრდენი მათ გასატარებლად. და ის პოულობს კიდეც ასეთ ბაზას.

კაპიტალისტური ელემენტები სოფლად, წვრილი კაპიტალისტები ქალაქში (სახლის მეპატრონეები, მედუქნეები და სხვ). და ნაციონალისტურად განწყობილი ინტელიგენცია,—აი ის სოციალური სამკუთხედი, ის ბაზა, რომელზედაც ცდილობს დაეყრდნოს და კიდეც შეუძლია დაეყრდნოს გრ. ლორთქიფანიძეს. სხვა დასაყრდენი, სხვა სოციალური ბაზა საქართველოში თანამედროვე მენშევიზმს არ გააჩნია.

საბჭოთა ხელისუფლება და ჩვენი პარტიის გავლენა საქართველოში იმდენად განმტკიცდა, რომ ჩვენ ვერ შეგვაშინებს ვერავითარი მუქარა ვერც „მებრძოლი“ მენშევიზმის (ნ. ჟორდანია, რამიშვილი და სხვა) და ვერც გრ. ლორთქიფანიძის „მშვიდობიანი“ მენშევიზმის მხრივ.

საქართველოს კომპარტია არც ერთ დაპყრობილ პოზიციას არ დაუთმობს მენშევიზმს.

კ. ორაგველიძე.

უპატრონო ბავშთა დამხმარე კომისიის მუშაობა

(1927 წ. 1 ოქტომბრიდან 1928 წ. 1 ოქტომბრამდე)

საქართველოს ცაკთან არსებულმა უპატრონო ბავშთა დამხმარე კომისიამ 1927—29 წლის განმავლობაში თავის ხარჯზე სამშობლოში გაგზავნა 1116 ბავში, ერთდროული დახმარება მისცა 313, სტიპენდიები დაუნიშნა 76 ბავშს, სხვადასხვა კოლექტივებში გაგზავნა 82, მცხეთის საბავშო ახალშენში მოათავსა 25, სამუშაოზე გაგზავნა — 17, სახელოსნოებში მიაბარა 31, დედათა და ბავშთა სახლში მოათავსა 6, ჭრა - კერვის სასწავლებელში მიაბარა 4, საავადმყოფოში — 30, საფაბრიკო - საქარხნო სკოლაში — 3, ბრმების სკოლაში — 11, იზოლიატორში — 1, სამხატვრო აკადემიაში 2, შრომის სკოლაში — 2, გარდა ამისა სხვადასხვა სახის დახმარება აღმოუჩინა 43 ბავშს. სულ კომისიამ დახმარება აღმოუჩინა 1693 ბავშს, მათ შორის 45 პროცენტს შეადგენს ქართველები, 36 პრ. რუსები, 15 პროც. — სომხები და 4 პროც. დანარჩენი ეროვნებანი.

კომისია გასულ საანგარიშო წელში თავის ხარჯით ინახავდა მცხეთის საბავშო ახალშენს, რომელშიაც მოთავსებული იყო 120 ბავში. ახალშენთან გახსნილია გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა. ახალშენში მეცადინეობა სწარმოებს ქართულ ენაზე.

ამჟამად მიმდინარეობს ახალშენის რეორგანიზაცია, რის შემდეგ, ახალშენთან გაიხსნება პროფტეხნიკური სკოლა 200 ბავშისათვის. ამ სკოლაში იმეცადინებენ ახალშენში მოთავსებული ბავშები, ახალშენთან მოწყობილია სარძეო ფერმა, ხეხილის და ყვავილების ბაღები.

გასულ საანგარიშო წელში კომისიას აგრეთვე 102 შრომის სკოლასთან მოწყობილი ქონდა სასაუზმო მაგიდა, საიდანაც ცხელი საუზმე ეძლეოდა ღარიბებს ბავშებს.

კომისიამ ბავშების სამშობლოში გასაგზავნათ დახარჯა 938 მან. ამავე მიზნისათვის განათლების კომისარიატს მიეცა 500 მან. 76 ბავშს სტიპენდიის სახით დაურიგდა 3589 მან. ერთდროული დახმარების სახით გაცემულია — 1845 მან. მცხეთის საბავშო ახალშენის შესანახათ დახარჯა 79.131 მან. აფხაზეთის საბავშო კომისიას დახმარების სახით მიეცა 13.700 მან., აჭარისტანის ბავშთა კომისიას — 6500 მან. სამხრეთ-ოსეთს— 2.000 მან. ახალციხის საბავშო სახლთან სხვადასხვა სახელოსნოების მოსაწყობად კომისიამ გაიღო 2350 მან. ბორჯომის საბავშო სახლს მიეცა 1600 მან., ბორჩალოს — 500 მან., მლეთის სახლს — 300 მან., ზუგდიდის — 400 მან., ლეჩხუმის — 1150 მან., საჩხერის — 200 მან., განათლების სახ. კომისარიატს — 62.700 მ., თბ. „ბავშთა მეგობრების საზოგადოებას — 5.000 მან., ჯანმრთელობის კომისარიატს საბავშო ბაგების მოსაწყობად — 5.000 მან., პიონერთა ორგანიზაციას — 2.000 მან., საბავშო თეატრს — 500 მან., სხვადასხვა ხარჯების რაოდენობა უდრის 8345 მანეთს. სულ კომისიამ გასულ საანგარიშო წელში უპატრონო ბავშთა დახმარების საქმეზე დახარჯა 202.204 მანეთი.

კომისიამ გასულ საანგარიშო წელში თავის საშუალებათა გასაძლიერებლად მოაწყო ლენინის სახელობის სამდღიური. შემოსავალი სამდღიურიდან მარტო თბილისში უდრიდა — 11.902 მან., ავტონომიურ რესპუბლიკებში და მაზრებში — 17.713 მანეთი. დროშების გაყიდვისაგან კომისიას შემოუვიდა — 59.499 მან.

გასულ წელშივე კომისია შეუდგა სანივთო ლატარიის მოწყობას. ლატარიიდან შემოსავალი ნავარაუდევია 160.000 მანეთის რაოდენობით. ლატარიის ბილეთების უდიდესი ნაწილი უკვე გავრცელებულია. ბილეთებს თბილისში ავრცელებენ ადგილკომები, მაზრებში განათლების განყოფილებები.

კომისიას მუდმივ დახმარებას უწევს საქართველოს ცაკი.

საბჭოთა კავშირის მეგობართა საფრანგეთის საზ-ბის დელეგაცია

29 სექტემბერს თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის მეგობართა საფრანგეთის საზოგადოების დელეგაცია, რომელიც საზოგადოებას კონფერენციაზე იქნა არჩეული.

დელეგაციაში შედიან: გლეზერი, ბოფედონი, ბარმუეი და ბიზე. დელეგატებიდან ორი კომუნისტია, ერთი უპარტიო და ერთი სინდიკალისტი, სამი დელეგატი დაზგის მუშაა: ქვის მთლელი, ხარატი და მანის მკეთებელი. საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოება დაარსდა მას შემდეგ, რაც საფრანგეთში დაბრუნდა მუშათა დელეგაცია, რომელიც ოქტომბრის დღესასწაულს დაესწრო. საზოგადოებაში ამჟამად 10.000 წევრზე მეტია, უმთავრესად უპარტიო მუშები. საზოგადოებას მიზანია ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლა [illegible]ოთა კავშირის დაცვა კაპიტალისტების თავდასხმისაგან.

1-ლ დღეს დელეგაციამ დაათვალიერა ზაჰესი და გამასწორებელი სახლი.

30 სექტემბერს დელეგაცია მოსკოვს გაემგზავრება.

ახალგაზრდათა კომინტერნის დელეგატები თბილისში

აფხაზეთში და სომხეთში მოგზაურობის შემდეგ 15 ოქტომბერს თბილისში დაბრუნდა ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის კონგრესის დელეგაცია, რომელიც 10 კაცისაგან შესდგება.

„ჩვენ დიდის სიამოვნებით გავეცანით აფხაზეთისა და სომხეთის ახალგაზრდობის ყოფა-ცხოვრებას,—ამბობენ დელეგატები.— რატომღაც ფიქრობენ, რომ განაპირა კუთხეების ახალგაზრდობა ჩამორჩენილია პოლიტიკურ ვის“. და კულტურულ ცხოვრებას. ჩვენი მოგზაურობიდან ისეთი შთაბეჭდილება გამოვიტანეთ, რომ საბჭოთა კავშირის განაპირა ქვეყნების, კერძოდ, სომხეთისა და აფხაზეთის ახალგაზრდობა კარგად იცნობს თანამედროვე პოლიტიკურ საკითხებს და სწორ გზაზე სდგას. ამასთან მის ყოფა-ცხოვრებაში დიდი გარდატეხა მოხდა, რაც მეტად დადებით საქმედ უნდა ჩაითვალოს სოციალისტური რევოლიუციის საქმისათ.

თათბირი მალარიასთან ბრძოლის შესახებ

გუშინ, თბილისის ჯანმრთელობის განყოფილებაში ექ. ი. ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით შესდგა სამალარიო დისპანსერის ექიმთა თათბირი მალარიასთან ბრძოლის საკითხების შესახებ.

მალარიასთან ბრძოლის მიზნით, თათბირმა გადასწყვიტა მიღებულ იქნეს შემდეგი ღონისძიებები: გამოყოფილ იქნეს ყველა ის რაიონები, სადაც უფრო გავრცელებულია მალარია და ასეთ რაიონებში ყველა სამკურნალო დაწესებულებებში მუშაობა ისე მოეწყოს, რომ მათ შესძლონ ბრძოლა მალარიასთან. თათბირმა განსაკუთრებულ საშიშ რაიონად ჟილარა ყარაიას რაიონი, სადაც ყველა არსებული სამკურნალო დაწესებულებები გადაკეთებული იქნება მალარიასთან და სხვა ტროპიკულ სნეულებებთან ბრძოლის სადგურებათ. პრაქტიკულად, მალარიასთან ბრძოლას მთელ მაზრაში და ქალაქში უხელმძღვანელებს თბილისის სამალარიო დისპანსერი, რომელთანაც არსებული ლაბორატორია და საკონსულტაციო ამბულატორია გაფართოებული იქნება.

საბურთალოში, ორთაჭალაში და დიდუბეში, მოხდება სამკურნალო ქსელის რეორგანიზაცია და მათი გადახალისება იმ მიზნით, რომ აღნიშნულმა სამკურნალო პუნქტებმა უფრო გაცხოველებით აწარმოონ ბრძოლა მალარიასთან და სხვა ტროპიკულ სნეულებებთან.

სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემოტანის გეგმა შესრულებულია მთლიანად

„ზაქსელმაშ“-ის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. წივწივაძემ ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს სას. სამ. მანქანების და იარაღების შემოტანის შესახებ განაცხადა შემდეგი:

გაზაფხულის და შემოდგომის თესვის კამპანიისათვის „ზაქსელმაშმა“ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისაგან მიიღო დაკვეთა 3.125.000 მანეთის სას. სამ. მანქანებზე და იარაღებზე. საოპერაციო წლის ბოლომდი „ზაქსელმაშმა“ რესპუბლიკების ყველა დაკვეთები შესრულა გადამეტებით: საქართველოს, სომხეთს და აზერბეიჯანს მიეცა 3.500.000 მანეთის სას. სამ. მანქანები და იარაღები. გარდა ძირითად გეგმიან დაკვეთებისა, ა.-კ. სას. სამ. კოოპერაციამ წარმოადგინა დამატებითი დაკვეთები. ეს დაკვეთები დამტკიცებული იქნა თათბირზე, რომელზედაც მონაწილეობას იღებდენ სას. სამ. კოოპერაციის წარმომადგენელნი.

ასე, მაგალითად, „სოფლის კავშირმა“ წარმოადგინა დაკვეთა 55.000 მანეთის სას. სამ. მანქანებზე და იარაღებზე, აზერბეიჯანმა— 92.000 მან. და სომხეთმა—40.000 მან.

13 ოქტომბრისათვის „ზაქსელმაშმა“ საქართველოს მისცა 139.000 მანეთის სას. სამ. მანქანები და იარაღები, აზერბეიჯანს—114.000 მან. და სომხეთს—55.000 მან.

ამრიგად, შემოდგომის თესვის კამპანია სავსებით უზრუნველყოფილია მიწის დამმუშავებელ და სათეს მანქანებით. საგრძნობია მხოლოდ ტრაქტორების ნაკლებობა. ჩვენ შემოდგომის კამპანიისათვის უნდა მიგვეღო 70 ტრაქტორი, მაგრამ უმაღლეს საკავშირო ორგანოების განკარგულებით „ზაქსელმაშის“ მიერ შეკვეთილი ტრაქტორები გადაეცა რუსეთის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ხორბალის ტრესტებისათვის.სულ შემოდგომის კამპანიისათვის ჩვენ მივიღეთ 20 ტრაქტორი, რომელიც გავანაწილეთ საქართველოსა და აზერბეიჯანს შორის. რაც შეეხება დანარჩენ სას.სამ. მანქანებს და იარაღებს, ისინი სავსებით საკმარისია და მათი გაცემა „ზაქსელმაშის“ საწყობებიდან გრძელდება.

საბინაო მშენებლობა

საქართველოს საბინაო კავშირმა, მომავალ 28—29 სამეურნეო წლის განმავლობაში, საბინაო კოოპერაციის ხაზით საამშენებლო სარემონტო სამუშაობის გასაფართოებლად, საკავშირო საბინაო კავშირს წარუდგინა მოთხოვნილება საამშენებლო მასალების შემოსაზიდათ 1.789,579 მანეთის რაოდენობით.

საამშენებლო მასალების გეგმიანი შემოზიდვა კვარტალების მიხედვით შემდეგნაირად არის განაწილებული: პირველ კვარტალში—166370 მანეთის, მეორე კვარტალში—303013 მან., მესამე კვარტალში—655379 მანეთის და მეოთხე კვარტალში შემოზიდულ იქნება 661817 მანეთის საამშენებლო მასალები.

შემოზიდული საამშენებლო მასალების საერთო რაოდენობიდან ლითონის ნაწარმოები იქნება 32,4 პროც., ხე-ტყის მასალები 14,5 პროც. და სხვა საამშენებლო მასალები 53,10 პროცენტი.

საგზაო მეურნეობის ხელმძღვანელი ორგანო

საგზაო მშენებლობისა და საავტომობილო საქმის გაფართოების შესახებ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ აუცილებლად აღიარა გზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის ცენტრალური სამმართველოს შექმნა.

ცენტრალურ სამმართველოს დაეკისრება რესპუბლიკანურ საგზაო მშენებლობის ყველა გეგმების შეთანხმება, სამეცნიერო და გამოკვლევითი სამუშაოთა ჩატარება საგზაო და საავტომობილო საქმეში. საავტომობილო და საგზაო საქმესთან დაკავშირებულ ყველა კანონპროექტების დამუშავება. მოკავშირე რესპუბლიკებისათვის საგზაო მანქანების მიწოდების გეგმების შედგენა, საგზაო და საავტომობილო საქმისათვის საჭირო ტეხნიკურ ძალების მოსამზადებელი ღონისძიებების შემუშავება და სხვ.

აჭარისტანის მომარაგება ფართლეულობით

შინა ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს ცნობებით, აჭარისტანის სამომხმარებლო კოოპერატივების მომარაგება ცეკავშირის საშუალებით სწარმოებს.

აჭარისტანის სამომხმარებლო კოოპერატივების საჭირო თანხების მიხედვით, თვიური ნორმა ბამბეულის ფართალზე 50.500 მანეთს უდრის, მაგრამ აჭარისტანის კოოპერაციის მომარაგება დაგვიანებით ხდება იმის გამო, რომ ცეკავშირი ფართალს ღებულობს ტრანზიტით და მისი შემოზიდვა ზოგჯერ თვეობით [illegible] იგვიანებს. მაგ.: მიუხედავად იმისა, რომ მეოთხე კვარტალი უკვე დამთავრდა, ცეკავშირმა ჯერ მხოლოდ ნაწილობრივ აქვს მიღებული მეოთხე კვარტალის ნორმა.

კუთვნილი ნორმის მიხედვით გასული საბიუჯეტო წლის მეოთხე კვარტალში აჭარისტანს უნდა მიეღო 151000 მანეთის ბამბეულის ფართალი, ფაქტიურად კი დღემდე მიღებული აქვს მხოლოდ 70.000 მანეთის ფართალი, ე. ი. მხოლოდ 47 პროც.

ამას გარდა ცეკავშირი აჭარისტანს აწვდის შალეულის ფართალს (კვარტალში 14,000 მან.) და ნარმას (კვარტალში 30.000 მან.).

შინავაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს აჭარისტანის კოოპერატივების ფართლით მომარაგების საქმეს. ამ მიზნით ვაჭრობის კომისარიატმა მეოთხე კვარტალში ისე, როგორც წინა კვარტალებში, თავის მარაგიდან, გეგმის გარეშე აჭარისტანის კოოპერატივებს დამატებით მისცა 40000 მანეთის ბამბეულის ფართალი და 12000 მანეთის შალეული.

ამასთანავე რწმუნებულის სამმართველომ მეოთხე კვარტალში აჭარისტანის სამკურნალო და ბიუჯეტზე მყოფ ორგანიზაციებისათვის გეგმით გამოჰყო 17000 მან. ფართალი, რომელიც აღნიშნული ორგანიზაციები ახლო მომავალში მიიღებენ.

აჭარისტანის სამომხმარებლო კოოპერატივების გარდა, რწმუნებულის სამმართველო აწარმოებს „აჭარვაჭრობა“-ს მომარაგებასაც, ყოველ კვარტალში — ორი ვაგონი ფართლის რაოდენობით.

ფართლის განაწილების მეთოდი მომავალ 1928—29 წლისათვის ასეთივე ფორმით იწარმოება.

მომარაგების ნორმების გადიდება დამოკიდებულია იმაზე, თუ ფართლის რა რაოდენობა იქნება შემოზიდული საქართველოში.

შრომის დაცვა

შრომის დაცვის ორგანოები ამჟამად აწარმოებენ იმის გამოკვლევას, თუ რამდენათაა შესრულებული 1927-28 წ. განმავლობაში სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ტრესტების წარმოებებში დადებული შრომის ხელშეკრულებები.

საფინანსო სამრეწველო ხუთ წლიან პერსპექტიულ გეგმასთან დაკავშირებით, შრომის დაცვის ორგანოებმა, შრომის ხელშეკრულებებისათვის მასალების დამუშავება (მოთხოვნილებების წარდგენა 1928-29 წლისათვის) დაასრულეს. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ტრესტებში, შრომის დაცვის ღონისძიებათა ცხოვრებაში გასატარებლათ თანხების მიებისთანავე დაიწყება ახალ ხელშეკრულებათა დადების კამპანია.

ასეთივე კამპანია წელს ჩატარდება სხვა წარმოებებშიაც, როგორიცაა კოოპერატიული, კომუნალური მეურნეობის, ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებების და სხვა წარმოებებში.

შირაქის ნავთი

როგორც ამ უკანასკნელ დროს პრესაში არა ერთხელ იყო აღნიშნული, შირაქის ველზე, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მირზაანის აგარაკში, იტალია-ბელგიის საზოგადოება გასული წლის ივლისიდან შეუდგა პირველი ჭაბურღილის გათხრას. ამ საზოგადოებას 1925 წლის ხელშეკრულებით და 1927 წლის დამატებით შეთანხმებით მიეცა გამოსაკვლევად და საექსპლოატაციოდ მიწის დიდი ნაკვეთი შირაქის ველზე. შეთანხმების პირობების მიხედვით, საზოგადოებას უნდა მოეხდინა გამოკვლევითი ბურღვა და თუ ის აღმოაჩენდა ნავთს ან ოზოკერიტს, უნდა ეწარმოებინა მათი ექსპლოატაცია საკონცესიო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად.

შირაქის ველი შესდგება სხვადასხვა რაიონისა ანუ აგარაკისაგან. საერთო სივრცე იმ ადგილებისა, რომლებიც გამოკვლეულ უნდა იქნან ნავთის აღმოსაჩენად, უდრის 20.000 დესიატინას. მთელ ამ სივრცეზე ჯერ არ მომხდარა არც სერიოზული გეოლოგიური მუშაობა და არც, მით უმეტეს გამოკვლევითი და ღრმა ბურღვა, თუ არ ვიანგარიშებთ **ა. ნ. რიაბინინის** (1905—1906 წ.) და **ლ. კ. კონიუშევსკის** (1925 წ.) გეოლოგიურ დაკვირვებებს.

ამ გეოლოგების ცნობები რამდენიმედ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

რიაბინინის აზრით, ამ რაიონის ნავთიანი ფენები უნდა მიეკუთვნოს ზემო მიოცენს, რომელსაც გადაფარებული აქვს აკჩაგილის ფენები, ხოლო კონიუშევსკის აზრით, მცირე შირაქის ნავთიანი ფენები შეადგენენ პლიოცენის დროის განსაკუთრებულ ფორმაციას, რომელიც ფარავს აკჩაგილის ფენებს. მირზაანის საბადო წააგავს ბინაგადის საბადოს. ამ საბადოში ვხედავთ, გაზებს და მძლავრ, წვრილსვეტოვან ფენებს, რომლებიც წყალს მცირე რაოდენობით შეიცავენ. ყველა ეს გარემოება იძლევა იმის საფუძველს, რომ ამ საბადოს დამუშავებისაგან დადებით შედეგებს უნდა მოველოდეთ. ასეთია ფრთხილი გეოლოგის ლ. კ. კონიუშევსკის დასკვნა.

შირაქი დიდი ხანია ცნობილია იმ მხრივ, რომ იქ ნავთი მოიპოვება. ჯერ კიდევ გასული საუკუნის მე-60 წლებში იქ სწარმოებდა ბურღვა, ნავთის ამოღება, და გადამუშავებაც კი. ასე. მაგალითად, ჩვენ ვიცით, რომ 1872 — 1887 წლებში იქ ამოიღეს 1.156.000 ფუთი ნავთი და დაამზადეს დაახლოებით 500 ფუთი წმინდა ნავთი („კეროსინი“) შირაქში ამოღებული ნავთი ჯერ თბილისში იყიდებოდა, ხოლო მას შემდეგ რაც თბილისის ბაზარზე ბაქოს იაფი ნავთი (1884 წელს) გაჩნდა შირაქის ნავთი იყიდებოდა ადგილობრივ, წითელ წყაროში, მაშინდელ თუქურმიშში, სიღნაღში და სხვ.

მაგრამ მთელი ეს მუშაობა 65 მეტრის სიღრმეს არ გასცილებია. ჭაბურღილები ამ სიღრმისა იყო. ამ ჭაბურღილების კვალი, მაღების სახით, და აგრეთვე ნავთის გადამმუშავებელი ქარხნების ნანგრევები ჩვენ ვნახეთ ჯერ კიდევ 1921 წელს ს. მ. უ. საბჭოს მაშინდელ ხელმძღვანელებთან, ამხ. **ტიროშელიძესა და ავაქოვთან ერთად.**

1921 წელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ჩვენ პირველად აღვძარით საბჭოთა ხელისუფლების წინაშე საკითხი იმის შესახებ, რომ მომხდარიყო სერიოზული გამოკვლევები შირაქის ველზე (აგრეთვე ფხოველში და ილდოყანში). ამ მიზნით, საქართველოს რევკომის 1921 წლის 19 ივნისის დადგენილების შემდეგ, მიღწეულ იქნა შეთანხმება აზნავთთან. ამ შეთანხმებით აზნავთმა გადმოგვცა 33.000-მდე ფუთი სხვადასხვა საბურღავი ხელსაწყოები და მუხთაროვის დაგზები სრული მოწყობილობით. მთელი ეს მოწყობილობა ჩამოვიტანეთ და თავი მოვუყარეთ მელაანის სადგურზე.

მაგრამ სხვადასხვა მიზეზების და უმთავრესად კი საშუალებების უქონლობის გამო მაშინ საქმე შეჩერდა.

მხოლოდ 1923 წელს მცირე შირაქში ყოფ. ოთაროვის ნაკვეთზე, ს. მ. უ. საბჭოს სამთო განყოფილებამ მოაწყო მცირე ბურღვა, უმანქანოდ, 64 მეტრის სიღრმემდე. რამდენიმე ჭაბურღილში ნავთი აღმოჩნდა. ხოლო ერთი ჭაბურღილი, № 4, პირველ დღეებში იძლეოდა 200-მდე ფუთს, მაგრამ ორი დღის შემდეგ ნავთმა თანდათან იწყო კლება და ერთი თვის შემდეგ ეს ჭაბურღილი მხოლოდ 40 ფუთს იძლეოდა დღე-ღამეში. მთელ აქ ამოღებულ ნავთს იბარებდა საქართველოს ს. მ. უ. საბჭოს სათბობი მასალის განყოფილება.

1924 წელს გამოცხადდა იტალია-ბელგიის საზოგადოების წარმომადგენელი, ინჟენერი როდრიგეცი. პირველად როდრიგეცი ჩვენში 1920—21 წელს ჩამოვიდა და შუამდგომლობდა, რომ საკონცესიოდ მისცემოდა აზამბურის გლაუბერის მარილის საბადო, ხოლო შემდეგ — ფხოველის ნავთის საბადო. 1924 წლის იანვარში მას კონცესიათ გადაეცა შირაქის ნავთის საბადოები.

1924 წლის ივნისში კონცესიონერმა ჩამოიყვანა უცხოელი სპეციალისტები და მოახდინა რაიონის გეოლოგიური გამოკვლევა უახლოეს გეოფიზიკური მეთოდებით. სამწუხაროდ, ამ მუშაობის შედეგები ჩვენ ვერ გავიგეთ. ვიცით მხოლოდ, რომ მცირე შირაქში გამოკვლევას დადებითი შედეგი მოჰყვა, აღმოჩენილ იქნა ნავთიანი ფენების 3—4 ჰორიზონტი 500, 780, 950 და 1150 მეტრის სიღრმეზე. თვით მირზაანის აგარაკში გეოფიზიკური გამოკვლევა არ მომხდარა.

1925 წელს კონცესიონერი, შეუდგა საგამოკვლევო და საბურღავ მუშაობას, ჯერ მუშაობა სწარმოებდა მცირე შირაქში, 1925 წელს აქ გათხრილ იქნა 4 მცირე ჭაბურღილი 54 — 109 მეტრის სიღრმეზე. ეს ჭაბურღილები მცირე მანძილით იყვნენ ერთმანეთის დაშორებულნი, ამიტომ გამოკვლევისათვის სერიოზული მნიშვნელობა არ ჰქონდათ.

შემდეგში კონცესიონერმა გადასწყვიტა დაეწყო ღრმა ბურღვა მირზაანის აგარაკში, და 1927 წლის ივლისში შეუდგა კიდეც ჭაბურღილის № 1 გათხრას მირზაანის ხევში, სადაც, ფენების ბუნებრივი გაშიშვლების გამო საკმაოდ მარტივად და სწორად არის გარკვეული ფენების მიმართულება.

კონცესიონერის მუშაობა რამდენჯერმე შეფერხდა. ტეხნიკური დეფექტები და შეჩერება გამოიწვია იმან, რომ კონცესიონერი ჩქარობდა და მას არც ფინანსიური სახსარი გააჩნდა. მაგრამ მან მაინც პირველმა დაიყვანა ჭაბურღილი 540 მეტრის სიღრმემდე და მოგვცა ფენების მდებარეობის ნათელი სურათი.

ჩვენ ეხლა ვიცით, რომ იქ არის ჯერ-ჯერობით ნავთიანი ფენის სამი ჰორიზონტი 375,478 და 540, 550 მეტრის სიღრმეზე. პირველ ჰორიზონტზე, კონგლომერატებსა და სილთიხაში, აღმოჩენილ იქნა მცირეოდენი ნავთი, დაახლოებით 40 ფუთი დღე-ღამეში. მაგრამ ამ ნავთს ჰქონდა კარგი ხვედრითი წონა — 0,8675. მეორე ჰორიზონტზე, ისევ კონგლომერატებისა და სილთიხის ფენებში, ჭაბურღილი დაიდა 15—18 სექტემბერს. ამ ჭაბურღილიდან ამოღებულ იქნა 160-მდე ფუთი ნავთი რამდენსამე დღე-ღამეში. შემდეგ კონცესიონერმა, მიუხედავად ჩვენი წინადადებისა, შესწყვიტა ნავთის ამოღება. აქ ამოღებული ნავთის იგივე ხვედრითი წონა მოწმობს იმას, რომ ეს ორი ჰორიზონტი შეერთებულია ერთმანეთთან. ჩვენის აზრით, ამოღება რომ გაგრძელებულიყო, ჭაბურღილის დებეტი აუცილებლად გადიდდებოდა. მაგრამ კონცესიონერმა განაგრძო ბურღვა, რომ რაც შეიძლება მალე მიეღწია ყველაზე უფრო საიმედო ჰორიზონტამდე, 540-550 მეტრის სიღრმემდე.

სამწუხაროდ, ამ აჩქარებამ, რაც აიხსნება კონცესიონერის ფინანსიური დაბრკოლებებით, ერთგვარი დეფექტი გამოიწვია მილებში, რამაც ხელი შეუშალა საქმის გამარჯვებით დაგვირგვინებას.

მაგრამ მაინც დიდი ფაქტის წინაშე ვდგევართ. მესამე ჰორიზონტი, რომელიც შესდგება უფრო მდიდარი ნავთიანი ქვიშნარის ფენებისაგან (ამ ფენების სისქე უდრის დაახლოებით 22 მეტრს, როგორც ჩანს ფენების გაშიშვლებით და ზედაპირზე ნავთის გამოსვლით), მართლაც აღმოჩნდა 540 მეტრის სიღრმეზე. როგორც კი ბურღვა ოდნავ შეეხო (შეიძლება 0,5 — 1 მეტრით) ამ ფენას, ჭაბურღილიდან ამოხეთქა წყლის შადრევანმა. ეს წყალი ყამირისა არ არის. ეს ფენები სრულებით არ შეიცავენ წყალს. ეს ის წყალია, რომელიც მილებში იდგა (ბურღვა სწარმოებს წყლის წნევის მეთოდით). ასე, რომ გაზებმა დასძლიეს 540 მეტრის სიმაღლის წყლის სვეტი და ამოისროლეს წყალი 6—8 მეტრის სიმაღლეზე 30 წუთის განმავლობაში. ეს მოხდა შაბათს, 6 ოქტომბერს. ძლიერი გაზები არ იძლეოდნენ მუშაობის საშუალებას, მაგრამ რამდენიმე ხანში ჭაბურღილი დამშვიდდა, წყალი 60 მეტრის სიღრმეზე დავარდა და შეუდგნენ საბურღავ ხელსაწყოს ამოღებას. კვირას ჭაბურღილში ისევ ჩაასხეს წყალი, რომელიც პერიოდულად და წყნარად გადმოდიოდა ჭაბურღილიდან.

ორშაბათს, 8 ოქტომბერს. განაგრძეს ბურღვა, რათა რამდენიმე მეტრის სიღრმეზე მაინც გაეთხარათ ნავთიანი ფენა, მაგრამ როგორც კი მილებში წნევით ჩაუშვეს წყალი, ჭაბურღილმა კვლავ ამოისროლა წყალი 8—10 მეტრის სიმაღლეზე. ასე გაგრძელდა მთელ დღეს. შადრევანმა ორჯერ - სამჯერ ამოხეთქა. სამშაბათს, 9 ოქტომბერს, როგორც კი ჭაბურღილში ჩაუშვეს წყალი, ისევ ამოხეთქა შადრევანმა, მაგრამ ეხლა წყალში უკვე მცირეოდენი ნავთი იყო შერეული. შადრევანის სიმაღლემ 12 მეტრს მიაღწია. შადრევანი 40 წუთს გაგრძელდა. შემდეგ შადრევანის ამოხეთქა შესწყდა, რაც იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ ალბად, ჭაბურღილში ჩაინგრა მიწა და გაზებს გამოსავალი დაუკეტა.

ამის შემდეგ ჭაბურღილზე მუშაობა შესწყდა. მუშაობის გასაგრძელებლად საჭიროა ახალი მაგარი მილები — 7 ნახ — 8. ეს მილები უნდა ჩაეწყოს მთელი 540 მეტრის სიღრმეზე და გაგრძელდეს ბურღვა თვით ნავთიანი ფენის გასათხრელად. წინასწარ კი საჭიროა მომზადება ნავთის მისაღებად.

თუ მილი გაზების ამოსვლის შემდეგ ჭაბურღილი ნავთის შადრევანს აღარ ამოსტყორცნის, ყოველ შემთხვევაში, ნავთი იმდენი მაინც იქნება, რომ მისი ამოღება ხელსაყრელი იყოს.

საერთოდ შთაბეჭდილება ძლიერია. სამწუხაროდ, კონცესიონერს აღარ აღმოაჩნდა შემდგომი ტეხნიკური მომზადება და ფინანსიური სახსრებიც გამოილია. ამიტომ მუშაობა შესწყდა ასეთ უაღრესად საინტერესო მომენტში და კონცესიონერი საზღვარგარედ მიდის ფულისათვის.

როგორც ვიცით, საქართველოს სახკომსაბჭომ თავის სხდომაზე 5 ოქტომბერს ს. მ. უ. საბჭოს მოხსენების გამო დაადგინა (შემდეგ ასეთივე დადგენილება მიიღო ს. მ. უ. საბჭომაც) წარუდგინოს საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს და ამიერ - კავკასიის ორგანოებს მოხსენება იმის შესახებ, რომ საჭიროა უახლოეს პროგრამაში შეტანილ იქნას შირაქის ველის გამოკვლევა ნავთის ამოღების მიზნით.

ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია, ფართო გეოლოგიური მუშაობის ჩატარება. წვრილმანი გამოკვლევა უნდა მოხდეს 150 მეტრის სიღრმემდე, ხოლო ბურღვა აუცილებლად — 500—800—900 მეტრამდე.

ყველაფერი ხელს უწყობს იმას, რომ დაუყოვნებლივ დაწყებულ იქნას გამოკვლევა და ღრმა ბურღვა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ საქმეს ცენტრი ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს.

ინჟ. **ივ. ყიფშიძე**

თბილისის საბჭოს სექციებში

განათლების სექციაში

გუშინ სალამოს განათლების მუშაკთა სახლში ამხ. **ნ. მახარაძის** თავმჯდომარეობით შესდგა განათლების სექციის სხდომა, რომელზედაც მოსმენილი იქნა მოხსენება მე-42 შრომის სკოლის მდგომარეობისა და ამ სკოლაზე მიმაგრებულ სექციის წევრების მუშაობის შესახებ.

სხდომამ მოხსენება დამაკმაყოფილებლად სცნო და სექციის მუშაობასთან მასწავლებლების დაახლოების მიზნით დაადგინა დაევალოს სკოლებთან მიმაგრებულ სექციის წევრებს გააცხოველონ თავიანთი მუშაობა და მჭიდრო კავშირი იქონიონ მასწავლებლებთან. სხდომამ აგრეთვე დაადგინა მიღებული იქნეს ზომები მიმაგრებულ წევრების საშუალებით მასწავლებლების ჩასაბმელად სექციის მუშაობაში.

შემდეგ სხდომამ დაადგინა სხვა სექციების მსგავსად სექციის წევრებისაგან დაარსოს კომისიები და თვითეული კომისია მიამაგროს სათანადო დაწესებულებებზე მასიური მუშაობის გაცხოველების მიზნით.

სავაჭრო-კოოპერატიულ სექციაში

თბილისის აღმასკომის შინა-ვაჭრობის განყოფილებას გადაწყვეტილი აქვს სავაჭრო-კოოპერატიულ სექციის საშუალებით ჩაატაროს ქალაქში სავაჭრო ქსელის გამოკვლევა. გამოკვლევაში მონაწილეობას მიიღებენ სხვა სექციების წევრებიც. წარსულ სხდომაზე გამოკვლევის სისტემატიურად ჩასატარებლად სავაჭრო-კოოპერატიულმა სექციამ ქალაქი დაჰყო რაიონებად და თვითეულ რაიონში გამოკვლევის ჩასატარებლად იმავე სხდომაზე გამოჰყო ცალკე კომისიები. გუშინ, სალამოს სექციათა ბიუროში ამხ. **მ. გაფაშვილის** თავმჯდომარეობით შესდგა ამ კომისიების თავმჯდომარეთა საორგანიზაციო თათბირი, რომელზედაც განხილული იქნა გამოკვლევის ჩატარების გეგმა.

ამ გეგმის მიხედვით თვითეულმა კომისიამ თავიანთ რაიონებში უნდა აღრიცხონ კოოპერატიული სავაჭრო პუნქტების რაოდენობა (ვა სავაჭრო სახის მიხედვით და ამ კოოპერატიულ ორგანიზაციების სახელწოდებით, რომლებსაც ეკუთვნით ესა თუ ის სავაჭრო). აგრეთვე აღრიცხული უნდა იქნეს სახელმწიფო ვაჭრობის პუნქტები და კერძო სავაჭროები. კომისიამ აგრეთვე უნდა გამოარკვიოს, თუ რამდენი მცხოვრებია რაიონში და რამდენად რაციონალურადაა განაწილებული კოოპერატიული პუნქტები მომხმარებელთა შორის.

კომისიებმა ამავე დროს უნდა გამოარკვიონ, თუ რამდენად აკმაყოფილებენ კერძო ვაჭრები მომხმარებლებს—კოოპერატიულ პუნქტებთან შედარებით, როგორი მდგომარეობაა სანიტარულ პირობების მხრივ და რამდენი კოოპერატიული სავაჭრო გახსნა საჭირო რაიონის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

თათბირმა მიიღო წარმოდგენილი გეგმა. გამოკვლევა დაიწყება ამ დღეებში. გამოკვლევაში მონაწილეობას მიიღებენ კოოპერატიული კომისიებიც.

მ.-გ. ინსპექციის სექციაში

თბილისის აღმასკომის წითელ დარბაზში გუშინ სალამოს ამხ. **ლეჟავას** თავმჯდომარეობით შესდგა მუშათა და გლეხთა ინსპექციის სხდომა, რომელზედაც მოსმენილი იქნა მოხსენება სექციის კომუნალურ განყოფილების სატრანსპორტო ქვე-განყოფილების მუშაობის შესახებ.

კამათის შემდეგ სხდომამ მოხსენება სცნო დამაკმაყოფილებლად და აღნიშნულ ქვეგანყოფილების მუშაობის საქმის გასაცხოველებლად გამოჰყო კომისია 3 წევრის შემადგენლობით.

ფეხსაცმელების დამზადება

სათანადო დადგენილების თანახმად, ფეხსაცმლების დამზადება ამიერიდან დაევალება სარეწაო კოოპერაციას მასში გაერთიანებულ სახელოსნო-არტელების საშუალებით.

ასეთი პრინციპი მიღებულია სარეწაო და სამომხმარებლო კოოპერაციას შორის ფუნქციების გამიჯვნა-გამარტივებით, რაც გამოწვეულია აღნიშნულ ოპერაციების გაუმჯობესებისა და რაციონალიზაციის მიზნით—საქართველოში.

შინავაჭრობის კომისარიატის სამმართველომ (საქართველოში) დაადასტურა ზემოთ აღნიშნული დადგენილება და აღნიშნავს, რომ ტყავის გადამუშავება (ფეხსაცმლად) ნამდვილად სარეწაო კოოპერაციის ფუნქციას შეადგენს, მხოლოდ ამ უკანასკნელის მიერ დამზადებული ფეხსაცმლები უნდა გადაეცეს სარეალიზაციოდ საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციას.

დღეს სარეწაო კოოპერაციაში მთლიანად გაერთიანებულია მხოლოდ თბილისში მყოფი სახელოსნო არტელები, ხოლო პროვინციაში არსებული სახელოსნო-სახარაზოები კი იმყოფებიან ცეკავშირის სისტემაში.

მომავალ 1928—29 საოპერაციო წლიდან ყველა სახელოსნოები მთლიანად გადაცემულ იქნება სარეწაო კოოპერაციაზე.

ბამბის მოსავალი

წელს ბამბის აღება ქუთაისის მაზრაში [illegible]. განუწყვეტელი წვიმების წყალობით ბამბას კარგი ღირსებისა ვერ არის. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ორგანიზაციები უკვე შეუდგნენ ბამბის დამზადებას. ბამბა გადაეცემა ბამბის ქარხანას ქუთაისში, საშუალოდ, 3 მ. 94 კაპეიკად ფუთი. ბამბის დასამზადებლად საჭირო თანხა ქუთაისის ბამბის ქარხანამ უკვე გადასცა სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებს.

ქრონიკა

ამხ. ვოროშილოვი და რუძუტაკი თბილისში

კვირას, 14 ოქტომბერს თბილისში ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირის სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოს თავმჯდომარე და სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. კ. ვოროშილოვი და საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და გზათა სახალხო კომისარი ამხ. ი. რუძუტაკი.

იმავე დღეს ამხ. ვოროშილოვი და რუძუტაკი გაემგზავრნენ დასასვენებლად.

ახალი დანიშვნები

ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმმა ს. მ. უ: ს: სარევიზიო-საინსპექციო განყოფილების უფროსად დანიშნა ამხ. ნოე კალანდაძე, ხოლო სამხედრო-სამრეწველო განყოფილების უფროსად დაამტკიცა ამხ. პ. დვალი.

ამხ. მარდალეიშვილის მივლინება

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ, გზატკეცილების მშენებლობის საქმის შესასწავლად გერმანიაში მიავლინა საქართველოს გზატკეცილების სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. მარდალეიშვილი.

ბავშვთა დამხმარე კომისიის პლენუმი

საქართველოს ცაკთან არსებულ უპატრონო ბავშვთა დამხმარე კომისიის პლენუმი, რომელიც უნდა შემდგარიყო დღეს, ამხ. ფ. მახარაძის კაბინეტში, გადაიდება 20 ოქტომბრისათვის.

ხის დამმუშავებელთა მე-7 ყრილობა

გუშინ საღამოს პროფსაბჭოს ახალ დარბაზში გაიხსნა საქართველოს ხის დამმუშავებელთა პროფკავშირის მე-7 ყრილობა, რომელზედაც დასასწრებათ ჩამოსულია 70-დე დელეგატი.

ამიერ-კავკასიის სატყეო მეურნეობის და სატყეო მრეწველობის გამოკვლევა

ამხ. ბაგიროვის თავმჯდომარეობით შესდგა ა.-კ. სახკომსაბჭოს იმ კომისიის სხდომა, რომელსაც დავალებული აქვს ა.-კ. სატყეო მეურნეობის და სატყეო მრეწველობის გამოკვლევა. სხდომაზე მონაწილეობა მიიღეს სწავლულმა მეტყევეებმა—პროფესორებმა ქურდიანმა, დოცენტებმა — როსტოვცევმა, როშჩინმა და ზაკტრეგერმა, ეკონომისტებმა ვერბერგმა და ფეიდოროვმა და ამიერ-კავკასიის ფინსახკომის სახელმწიფო შემოსავლის სამმართველოს უფროსმა.

თათბირმა მიიღო სატყეო მეურნეობის და სატყეო მრეწველობის გამოკვლევის პროგრამა. ახლო ხანში დაიწყება მუშაობა, რომელმაც უნდა გამოარკვიოს ტყეების მდგომარეობა, შემოსავლიანობა, მათი დაცვა, ტყეების განახლება და სატყეო მრეწველობის განვითარების პერსპექტივები.

მზადება ფერო-მარგანეცის ქარხნის ასაგებად

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე მოისმინა მოხსენება ფერო-მარგანეცის ქარხნის აგების შესახებ. ქარხნის ასაგებად საჭირო სხვა მოსამზადებელ სამუშაოთა შორის საჭიროთაა ცნობილი თბილისში ფერო-მარგანეცის გადასადუღებელი საცდელი ღუმელის დადგმა. ღუმელი იმუშავებს ზაჰესის ენერგიით.

ღუმელის ასაგები ხარჯების დასაფარავად მარგანეცის ტრესტის საკონტროლო ციფრებში დამატებით შეტანილია 125000 მანეთი.

მრეწველობის პერსპექტიული გეგმის განხილვა მუშათა კრებებზე

ს. მ. უ. საბჭომ დაავალა საწარმოო-საგეგმო განყოფილებას პროფსაბჭოსთან ერთად შეიმუშაოს გეგმა წარმოებებში მრეწველობის 5 წლიანი პერსპექტიული გეგმებისა და საკონტროლო ციფრების გასაცნობ კამპანიის ჩასატარებლად.

თბილისის აღმასკომში

◆ **დახმარება უმუშევართა სასადილოს.** თბ. აღმასკომმა დაადგინა უმუშევართა სასადილოს დახმარების სახით ყოველთვიურად მისცეს 2000 მ.

◆ **კერძო ნაწარმოების დამამზადებელი ქარხანა.** ბეშთაშენში აღმასკომი წელს დაამთავრებს რძის ნაწარმოების დამამზადებელ ქარხნის მეურნეობას.

განათლების კომისარიატში

◆ **ღარიბებს მოწაფეთა დამხმარე ფონდის** გასაძლიერებლად განათ. კომისარიატის დადგენილებით სწავლის გადასახადიდან გადადებული იქნება 5 პროცენტი.

◆ **წ.-კ. უცოდინარობასთან** ბრძოლის გასაძლიერებლად პოლიტგანათლების მთავარმმართველობამ გადაწყვიტა წელს რესპუბლიკაში გახსნას 3000 ლიკსკოლა.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **რუსთაველის თეატრის სეზონი**, რომლის გახსნა დანიშნული იყო დღეისათვის, გაიხსნება 20 ოქტომბერს.

◆ **კინო ბავშვებისათვის.** თბ. აღმასკომის განათლების განყოფილებამ გადაწყვიტა თბილისში გახსნას მუდმივი საბავშვო კინო.

◆ **სამშაბათს, 16 ოქტომბერს, ხელოვნების სახლში** (მაჩაბლის 13), შესდგება სრულიად საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გაფართოებული სხდომა კომკავშირელ მწერლებთან ერთად. მოხსენებას „მემარჯვენე საშიშროება ლიტერატურაში“ გააკეთებს ამხ. ბ. ბუაჩიძე. მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი. შესვლა მოსაწვევი ბარათებით. დასაწყისი საღ. 8 საათზე.

პროფ. ცაგარელის ავადმყოფობა

პროფ. ა. ცაგარელი ამჟამად მძიმე ავადმყოფი წევს სახ. უნივერსიტეტის ქირურგიულ კლინიკაში. მას გადატეხილი აქვს მარჯვენა ფეხის წვივის ძვალი და სისტემატიურად აძლევს სიცხეს.

პროფ. ცაგარელს ა. წ. 8 ოქტომბერს თავისი სახლის კიბეებზე ჩამოსვლისას ფეხი დაუსხლტა და წაიქცა. იმ ღამეს პროფესორი იწვა საკუთარ ბინაზე და მხოლოდ მეორე დღეს წაიყვანეს სასწრაფო დახმარების ამბულატორიაში, სადაც გამოირკვა, რომ მოხუც მეცნიერს ფეხი ჰქონდა მოტეხილი.

9 ოქტომბერს პროფ. ცაგარელი გადაიყვანეს უნივერსიტეტის ქირურგიულ კლინიკაში. ავადმყოფს ამჟამად მკურნალობენ პროფ. **ა. მაჭავარიანი**, ასისტენტი **კ. ტყემალაძე**, ორდინატორი **გ. გოგოლაძე**.

მკურნალი ექიმების განცხადებით უკანასკნელ დღეებში ავადმყოფის მდგომარეობას შესამჩნევი გაუმჯობესება ეტყობა, სიცხემ ოდნავ დაუკლო და მწვავე ტკივილებს აღარა გრძნობს.

ინვალიდთა კოოპერატიული არტელების კავშირი

თბილისში არსებული ინვალიდთა კოოპერატიულ არტელების კავშირი ამჟამად აერთიანებს შემდეგ არტელებს: „გლარჯა“, „რეკორდი“, „ჯანმრთელობის დაცვა“, „არმუნჯი“, „თვითდახმარება“, ოქროს არწივი“, „იმერი“, „ახალი ივერია“, ხიმში“, „ინვალიდი“, „ძმობა“, „პროგრესი“, „წითელი განთიადი“, „კოლხიდა“; „განთიადი“, „მნათობი“, „კომუნა“, „შვება“, „საშუალება“ და „ჩარხი“. არტელების უმრავლესობა საწარმოო ხასიათისაა. არტელები არა თუ აკმაყოფილებენ თავიანთ წევრებს შესაფერისი ხელფასის მიცემით, არამედ დახმარებას უწევენ არტელების გარეშე დარჩენილ ინვალიდებსაც.

მაგალითად არტელი „გლარჯა“, რომელიც აერთიანებს 219 ინვალიდს, პენსიას აძლევს 7 ინვალიდს და ა.-კ. კომ. უნივერსიტეტში ყავს ერთი სტიპენდიანტი.

კავშირმა შეიმუშავა არტელების მუშაობის გაცხოველების გეგმა. ამასთანავე კავშირს განზრახული აქვს გაადიდოს არტელების რიცხვი, რითაც საგრძნობლად შემცირდება პენსიონერთა რიცხვი და ამავე დროს ინვალიდებს საშუალება მიეცემა საკუთარი შრომით ირჩინონ თავი.

არტელების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით კავშირმა აღძრა შუამდგომლობა სათანადო ორგანოების წინაშე, რათა არტელების ნედლი მასალით მომარაგების საქმე შეტანილი იქნეს სახელმწიფო მომარაგების გეგმაში. აგრეთვე აღძრულია შუამდგომლობა არტელებისათვის საბანკო კრედიტების გახსნისა და სახელმწიფო დახმარების გაწევის შესახებ.

კავშირმა დაადგინა გააძლიეროს ხელმძღვანელობა ინვალიდთა არტელებზე და მიიღოს ზომები მათი მუშაობის გეგმიან ფორმებში ჩამოსაყალიბებლად.

ახალი კოოპერატივები

საქართველოს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულმა საკოოპერაციო სამმართველოს კოლეგიამ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაამტკიცა შემდეგი ახალი კოოპერატივები:

თბილისის ხელოვნური წყლების დამამზადებელი სარეწაო კოოპ. ნადი „აღმოსავლეთი“, თბილისის მაზრის სოფ. საყდრიონის სას. სამ. არტელი „გუთანი“, ამავე მაზრის სოფ. თოხლიაურის სას. სამ. არტელი „სოფლის წყარო“, ქ. ფოთის ნახუტურის რაიონის სას. სამ. არტელი „ოქროყანა“, თბილისის მაზრის სოფ. ოქროყანის სას. სამ. არტელი „ოქროყანა“, სოფ. იორის სას. სამ. არტელი „იორი“, კახეთის მაზრის სოფ. გავდაურის სას. სამ. არტელი „გლეხის მარჯვენა“, შორაპნის მაზრის სოფ. ლიჩის მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა „ლიჩელი გლეხი“, სიღნაღის მაზრის სოფ. მაღაროს მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა „სალამი“, ქუთაისის მაზრის სოფ. დიხაშხოს მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა „პირველი მაისი“, სიღნაღის მაზრის სოფ. წითელ წყაროს მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა „გუთნის იმედი“, გორის მაზრაში: სოფ. კლდის-წყაროს სას. სამ. არტელი „კლდის წყარო“, სოფ. წაბლოვანის მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა „გლეხის ნუგეში“, სოფ. ბაკურიანის სას. სამ. არტელი „მიხა ცხაკაია“-ს სახელობის, სოფ. ოსიაურის სას. სამ. არტელი „ივ. ცაგარელი“-ს სახელობის, სოფ. ქვემეთერის სას. სამ. არტელი „წითელი ოქტომბერი“, სოფ. კოხნარის სას. სამ. არტელი „წინსვლა“, სოფ. კოშკის და ხახუტის მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელი ამხ-ბა „წითელი ვარსკვლავი“. თბილისის მაზრაში: სოფ. კუმისის სას. სამ. არტელი „წითელი კუმისი“, სოფ. მიხაილოვკას სას. სამ. არტელი „აღორძინება“, სოფ. გრიუნტალის მევენე-მეღვინეთა კოოპ. ამხ-ბა „კულტურა“, ზემოაველის წველა-დღების არტელი „ზედ-ზენი“. ქ. თბილისის და მისი მაზრის მონადირეთა კოოპ. ნადი „მონადირე“, ბორჩალოს მაზრაში: სოფ. კირიხლოს სას. სამ. არტელი „ახალი ცხოვრება“, სოფ. დაშტაპას სას. სამ. არტელი „თავისუფლება“, სოფ. არმუტლოს მერძევეთა არტელი „მურა-აბადი“, ყარაიაზის რაიონის სას. სამ. არტელი „მესაველი“, ახალ-ქალაქის მაზრაში: სოფ. ბეჟანოს მერძევეთა არტელი „ბეტანი“, სოფ. ალაი-უბნის მერძევეთა არტელი „ლუსაბერი“, სიღნაღის მაზრის. სოფ. ულიანოვკას სამანქანო ამხანაგობა „ჩვენი გზა“, კახეთის მაზრის სოფ. კაკაბეთის სას. სამ. არტელი „წითელი ოქტომბერი“, ოზურგეთის მაზრის სოფ. ხაჯალის სას. სამ. არტელი „ფ. მახარაძი“-ს სახელობის.

მეფრინველეობა

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის ზოო-ტექნიკურმა განყოფილებამ დღემდე საქართველოში ჯიშიან ფრინველების მოსაშენებლად სადგურები გახსნა შემდეგ ადგილებში: თბილისის ზოო-ტექნიკურ სადგურთან, აჯამეთის საცდელ სადგურთან, ქუთაისში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმთან, კულაშში—სასოფლო-სამ. ტექნიკუმთან, ზუგდიდში, ბორჯომში, წინანდალში და ნორიოში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებთან, სიღნაღში ორ ადგილას, თელავში, თბილისში (ორთაჭალაში), სოღანლუღში და სამტრედიაში.

სადგურების მოწყობის მიზანია ჯიშიანი ფრინველების მიწოდება გლეხებისათვის და ხელის შეწყობა მეურნეობის განვითარებისათვის საქართველოში.

სასამართლო

ყაჩაღების თავდასხმა

დომენტი ბესარიონის ძე ჯიშკარიანი (ქურდობისათვის ორჯერ გასამართლებული), **მიხეილ ნიკოლოზის ძე თაფლიაშვილი** (სოფ. ვაჭარი, ეხლა „უმუშევარი“, ადმინისტრატიული წესით დასჯილი ხულიგნობისათვის), **არამ კარაპეტის ძე მურადოვი** (ცხრა ჯერ ეჭვმიტანილი ქურდობაში, ორჯერ გასამართლებული ამ დანაშაულისათვის, ორჯელ დაპატიმრებული ადმინისტრატიული წესით, როგორც მავნე ელემენტი), **ნიკოლოზ რომანოზის ძე შენგელია** (ორჯერ ყოფილა დაპატიმრებული სხვა და სხვა ბრალდებით), — აი ასეთმა „თაიგულმა“ ამა წლის ივლისში შეადგინა თბილისში თავდასხმის მოწყობის გეგმა და პირველ მსხვერპლად აირჩია მებაღე **პროკოფი ხომასურიძე**, რომელიც ცხოვრობს ორთაჭალაში. თავდამსხმელთა ბრბოს ხელმძღვანელი და სულის ჩამდგმელი იყო „სტაჟიანი“ ქურდი ჯიშკარიანი, რომელმაც „უტყუარი“ ცნობები შეკრიბა იმის შესახებ, რომ ხომასურიძეს აქვს 800 ოქრო ხელუხლებლად შენახული სკივრში.

20 ივლისს ყაჩაღებმა ალყა შემოარტყეს ხომასურიძის ბინას. შენგელიამ გამოგრა შესავალი კარები, დანარჩენები შეიჭრნენ ხომასურიძის ბინაში და დაიწყეს ოქროების ძებნა.

თვითეულ მათგანს მომარჯვებული ჰქონდა ხელში იარაღი. ხომასურიძის ოჯახის წევრებს სცემეს, ხომასურიძის ცოლს, რომელმაც მოინდომა ქმრის მიშველება, ჯიშკარიანმა რამდენიმე ჭრილობაც მიაყენა. ყაჩაღებმა გადაჩხრიკეს ყველაფერი, მაგრამ ოქრო ვერსად აღმოაჩინეს, გაიტაცეს 131 მანეთი და მიიმალნენ.

სისხლის სამართლის მილიციამ მალე აღმოაჩინა ბოროტმოქმედნი.

ყაჩაღებს გაასამართლებს თბილისის მაზრის სასამართლო.

—:—

მიწის კანონის დარღვევისათვის

ვანის უბნის (ქუთ. მაზრა) სახალხო სასამართლომ მიწის კანონის დარღვევისათვის გაასამართლა **გრიგოლ კრისტეფორეს ძე ჩიქოვანი და დავით თედორეს ძე ჩიქოვანი.**

გრიგოლ ჩიქოვანმა 1926 წ. „თვალი აუხვია“ ხელისუფლებას და თავისი ნორმაზე მეტი მიწა შინაურულად (!) მიჰყიდა ახლო ნათესავს დავით ჩიქოვანს.

ხელისუფლების წარმომადგენლებს არ გამოეპარა ჩიქოვანების ეს ოინი და ორივე ბოროტმოქმედი საბრალდებლო სკამზე წამოსკუპდა.

სასამართლომ მყიდველსაც და გამყიდველსაც მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით და ერთი თვით თითეულს, გაყიდული მიწა გადაირიცხა სახელმწიფო-მამულო ფონდში, ხოლო ფული, რომელიც ჩიქოვანმა მიიღო, გადაირიცხა ვანის თემაღმასკომის ბიუჯეტში.

—:—

გაფლანგვა

თბილისის სამაზრო სასამართლომ გუშინ გაარჩია **მოსე ნერსესოვის** საქმე.

მოსე ნერსესოვი გასული წლის ოქტომბრიდან ა.წ. აპრილამდე მსახურობდა საქციო საზოგადოებაში „ზაკპოგრუზ“ უფროსი მუშის თანამდებობაზე. მას ევალებოდა მუშების დასაზღვევ ანარიცხების აკრეფა და წარდგენა სალაროში.

დასაზღვევ ანარიცხების თანხიდან ნერსესოვს გაუფლანგავს 939 მანეთი, რაც დადასტურდა სასამართლო გამოძიებით.

ნერსესოვს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 1 წლით.

—:—

ხორცის გამყიდველთა საქმე

თბილისის მაზრის სასამართლომ გაარჩია გერასიმე მერაბოვის და ალექსანდრე ნერსესოვის საქმე.

ისინი პასუხისგებაში იყვნენ მიცემული იმისათვის, რომ სამხედრო სამომხმარებლო საზოგადოების № 67 მაღაზიაში ხორცის გამყიდველებად ყოფნის დროს გაუფლანგავთ „საზოგადოების“ ფული და ჩაუდენიათ სიყალბე.

მერაბოვს და სარქისოვს დაუმტკიცდა 397 მანეთის გაფლანგვა, რისთვისაც მიესაჯა თვითეულს სამ-სამი თვით თავისუფლების აღკვეთა. გარდა ამისა, სარქისოვს დაუმტკიცდა ყალბი საბუთების გაკეთება დანაკლისის დასაფარავად და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 6 თვით.

თბილისის სამაზრო სასამართლოს სესია

18 ოქტომბერს თბილისის სამაზრო სასამართლოს სესია მიემგზავრება სოფ. დუშეთის მაზრის სხვა და სხვა რაიონებში მნიშვნელოვან საქმეების ადგილობრივ გასარჩევად. სესია იმუშავებს შემდეგ პუნქტებში: ყაზბეგში, ფასანაურში და დუშეთში. სესიის მიერ გარჩეული იქნება 17 სისხლის სამართლის ხასიათის საქმე.

სესიის შემადგენლობა: თავმჯდომარე — ამხ. პ. ბურკაძე, პროკურორი — შონია, მდივანი — ამ. თენეიშვილი.

ზერ.

მუშკოოპის უღირსი წევრები

უკანასკნელ ხანებში გახშირდა კოოპერატიული წიგნაკებით ბოროტად სარგებლობის შემთხვევები და ყალბი ჩეკებით საქონლის გატანა. კოოპერატივის უღირსი წევრები წიგნაკში აღნიშნულ წაღებულ საქონლის რაოდენობას შლიან და მეორეთ, მესამეთ გააქვთ ისეთი საქონელი, რომლის გაცემა სწარმოებს მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობით. არის შემთხვევები, როცა არა სრული პაის მქონე, წიგნაკში თავის ხელით სწერენ სრული პაის რაოდენობას და შეცდომაში შეჰყავთ კოოპერატიულ მაღაზიების მუშაკები. მუშკოოპის გამგეობა ენერგიულ ბრძოლას აწარმოებს ამგვარ ბოროტმოქმედებასთან.

უკანასკნელი დღეების განმავლობაში კოოპ. წიგნაკების ბოროტად გამოყენებისათვის წიგნაკები ჩამოერთვა:

1) **ასია აკოფოვს** (წიგნაკის № 27105), რომელმაც შეტანილ საპაიო თანხას მიუმატა 10 მანეთი. 2) **ალი-ოღლის** (წიგნაკის № 42.270), რომელმაც წიგნაკში ამოშალა ნამდვილად გადახდილი პაი და ჩაწერა სრული პაი; 3) **დანიელ ხურდას** (წიგნაკი № 12), წიგნაკში რამდენჯერმე ამოშლილი აქვს წაღებული საქონლის რაოდენობა და მუშკოოპიდან გატანილ საქონელს სპეკულიანტებს აწვდიდა; 4) **სედრაკ კარბოიანს** (წიგნაკი № 9941), საქონლის რამდენჯერმე გატანისათვის, 5) **ნინა ხაჩატუროვს**, ყალბი ჩეკებით საქონლის გატანისათვის.

შემთხვევები

ავტომობილის დაჯახება

14 ოქტომბერს საქართველოს სამხედრო გზაზე თეთრ დუქნის მახლობლად საღამოს 10 ს. თბილისისაკენ მომავალი ავტომობილი დაეჯახა სტეფანე გიორგის ძე მგელაძის ფურგონს და დაამსხვრია. დაჯახების დროს მკვდარ დაეცა ერთი ცხენი. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა. ავტომობილმა მოასწრო მიმალვა.

3 საათის შემდეგ ლენინის ქუჩაზე 1-ლი სამილიციო რაიონის თანამშრომელმა ჩხეიძემ შეამჩნია უწესრიგოდ და სწრაფად მომავალი ავტომობილი № 116. მიუხედავად ჩხეიძის გაფრთხილებისა, შოფერმა კიდევ უფრო მოუმატა სიჩქარეს, რის გამო ჩხეიძე იძულებული იქნა ჰაერში გაესროლა რევოლვერი. რევოლვერის რამდენიმე გასროლის შემდეგ ავტომობილი დააყენეს. შოფერი ივანე მიხეილის ძე ლომაკინი და მისი თანაშემწე სტეფანე გრიგორიევი მთვრალი აღმოჩნდნენ. ორივენი დააპატიმრეს და გადაგზავნეს საგზაო კომისარიატში, სადაც გამოირკვა, რომ ავტომობილი, რომელმაც მგელაძის ფურგონს დაეჯახა, ისინი მართავდნენ.

ცოლის დაჭრა

14 ოქტომბერს მოქ. შალვა ირაკლის ძე ბაქრაძემ (მცხ. ფოთის ქ. № 1) ოჯახური უსიამოვნების ნიადაგზე ცულით დასჭრა თავისი ცოლი ქეთევან ბაქრაძე, რომელიც გადაგზავნეს საავადმყოფოში. დამნაშავე შეპყრობილია.

ქურდობა

14 ოქტ. გაქურდეს ახალ ვერის სასაფლაოს დარაჯის ბინა. წაიღეს თოფი და 20 მ. ნივთები;—გაქურდეს ლეონ გრიგორიანცის ბინა (გარიბალდის ქ. № 4);—მოქურდებული გასაღების საშუალებით ელენე კუპრავას ბინიდან (ლენინის ქ. № 3) მოიპარეს 300 მ. ნივთები;—გაქურდეს თედორე ნოსიკოვის ბინა;—გაქურდეს ნავთლუღის მინდორის მახლობლად მდებარე ზაჰესის ბუდკა;—გაქურდეს ევდოკია ფეფარაშვილის ბინა;—აბდულ გუსეინოღლის სავაჭროდან (პლეხ. პრ. № 14) მოიპარეს 800 მ. ნივთები;—გაქურდეს (რკ. გზის ჯადალმა მცხ.) სარქის გურჯინიანცის ბინა;—გაქურდეს გალინა სირბილაძის ბინა (ხუდადოვის ქ. № 14);—გაქურდეს ნიკოლოზ ეშელიანოვის ბინა (ტრამვაის მუშათა ახალი სახლი).

ჭადრაკი

მაესტრო გრიგორიევისა და ვ. გოგლიძის მატჩი

მერვე პარტია

ამ პარტიაში გრიგორიევმა აირჩია განვითარების უფრო რთული სისტემა და მიიღო მეფის ფრთაზე პაიკებით შეტევის შესაძლებლობა. მაგრამ შეტევას სწორად არ აწარმოებდა და რამდენიმე სვლის შემდეგ, თავდაცვაზე უნდა ეფიქრა, რათა გოგლიძის მიერ წარმოებული კონტრ - შეტევა, მოეგერებინა. მაესტრომ დაკარგა პაიკი, რამაც გოგლიძეს მისცა საშუალება მიეღო გამსვლელი პაიკი ლაზიერის ფრთაზე. უიმედო მდგომარეობაში, გრიგორიევი აგრძელებდა ბრძოლას, მაგრამ უშედეგოდ. გოგლიძემ ზუსტი თამაშით არ მისცა მოწინააღმდეგეს მდგომარეობის გამოსწორების შესაძლებლობა და პაიკის ლაზიერით გაყვანის მუქარით აიძულა იგი პარტია დაეთმო. მატჩის მდგომარეობა: გრიგორიევი+4½; გოგლიძე +3½.

ვ. გოგლიძე.

—:—

მეცხრე პარტია

მეცხრე პარტია გათამაშებულ იქნა დედოფლის პაიკების დებიუტით. თავიდანვე გოგლიძემ (თეთრები) წინ წასწია დედოფლის ფლანგის პაიკები შეტევისაკენ. შავები ამ დროს, თანდათან ანვითარებდნენ შეტევას მოწინააღმდეგის მეფის მიმართულებით, მაგრამ თეთრების მოხერხებული მანევრებით შავების შეტევას მიზანი დაეკარგა.

ენერგიული შეტევით გოგლიძემ გაარღვია მოწინააღმდეგის ფრონტი, მოიგო პაიკი და ამით ხელთ იგდო, როგორც ბრძოლის ინიციატივა, ისე პოზიციური უპირატესობანი. მაესტრო გრიგორიევმა პაიკის მოხერხებული გათამაშებით მოინდომა მდგომარეობის გაიოლება, მაგრამ თეთრებმა იგი ისევ აიძულა პასიურ მდგომარეობაში დარჩენილიყო.

შემდეგი სვლების განვითარებით თეთრებმა გაიმარჯვეს და გრიგორიევი იძულებული გახდა პარტია დაეთმო მე-55 სვლაზე.

მატჩი გადატანილი იყო პროფსაბჭოს დიდ დარბაზში, რომელიც გაიჭედა დამსწრე საზოგადოებით.

მეცხრე პარტიის შემდეგ შედეგები ასეთია გრიგორიევი 4 ნახევარი და გოგლიძე 4 ნახევარი. მეათე, უკანასკნელი პარტიის გათამაშება შესდგება განათლების მუშაკთა სახლის დარბაზში (კალოუბნის ქუჩა № 3).

დღეს საღამოს 6 საათზე საქართველოს პროფსაბჭოს შენობის წითელ დარბაზში გათამაშებული იქნება შეჯიბრის უკანასკნელი პარტია.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 16 ოქტომბერს, თბილისის შრომის ბირჟიდან სამუშაოზე იგზავნებიან შემდეგი უმუშევრები: **კვალიფიციურ მუშათა სექციიდან:** იოსებ გენისი, მარტინ ხანანოვი, ნიკოლოზ ბაშილოვი, ანნა მოზგოვა, თამარ ზუმბაძე, ალექსანდრე ზედელაშვილი, **გონებრივ მუშაკთა სექციიდან:** გიორგი სარქისოვი, ტატიანა თუნაშევსკაია, მარიამ ოვეჩკოვა, ანტონ კეკელიძე, სიმხა იენჩმენი, დავით ისოვი, გიორგი პუხაშვილი, პორფირე იობაშვილი, მიხეილ მირზაშვილი, გიორგი სუხიშვილი, გიორგი მაჭარაშვილი, გარეგინ სარაჯევი, შალვა გოგუაძე, სერაფიონ ბუკია, სტეფანე ლევიცკი, ბაბილინა ჯაფარიძევა, შაკიძისა, სოფიო გრეკოვა. **შავ მუშათა სექციიდან:** მანუკ მურადოვი, ანნა წიკლაური, იოსებ მატიენკო, გიორგი ზაიცევი, მიხეილ რუშეტოვი, მათე კიტაევი, ლევან მელქონიანი, მარიამ პეტრიაშვილი, ელისაბედ ალავერდოვა, მუმლაძე, სურენ ვოსკანოვი, თედორე დოლმატოვი, ალექსანდრე მალეკერი, ვლადიმერ ლომსევი. **მედსექციიდან:** თამარ ნერსესოვა, ნუცუბიძე-ფიგრეევა, მარიამ პონომარიოვა, ლიზა თარხნიშვილი, ვალენტინა კვანტალიანი. ამასთანავე სექციას სჭირდება ერთი ექიმის თანაშემწე ბორჩალოს მაზრაში გასაგზავნად, ერთი ფარმაცევტი შორაპნის მაზრაში და სამი ბებია სამხრეთ-ოსეთში. **მშენებელ მუშაკთა სექციიდან:** ალექსანდრე არტამასოვი, ივანე საგინაშვილი, ივანე კურტილი, მოსეს მარქაროვი, სერგო ბერეკაშვილი.

ნარევი

მოთხოვნილება წიგნებზე და კინო

არსებობს აზრი, თითქო კინო ასუსტებს მოთხოვნილებას წიგნებზე. საფრანგეთის სახალხო ბიბლიოთეკების მიმოხილვაში, რომელიც ახლახან გამოვიდა, მუაზი უარჰყოფს ამ აზრს, თავისი გამოცდილების მიხედვით [illegible] ამტკიცებს, რომ კინო ხშირად ხელს უწყობს მოთხოვნილების ზრდას ამა თუ იმ წიგნზე და მოჰყავს რამდენიმე მაგალითი: მას შემდეგ, რაც პარიზის ერთ-ერთ კინოში უჩვენეს სურათი „განკიცხულნი“—ვიქტორ ჰიუგოს რომანის მიხედვით, ბიბლიოთეკებში მხოლოდ ამ რომანს მოითხოვდნენ. ასეთივე მოვლენა იყო შემჩნეული სენკევიჩის რომანის „ვიდრე ხვალ უფალო“-ს მიხედვით გადაღებულ სურათის ჩვენების შემდეგ. ლენინგრადში „დედი“-ს, „სადგურის მეთვალყურის“ და „სამი მუშკეტერი“-ს ჩვენების შემდეგ, ბიბლიოთეკებში მოთხოვნილება ამ ნაწარმოებებზე არაჩვეულებრივად გაიზარდა.

რადიო გალ-ბოსტანში

გერმანიის ბოსტნებში შემოიღეს რადიოაპარატები ხმის გამაძლიერებლებით, რომლებითაც ხდება ხმაურობის გადაცემა ჩიტების დასაფრთხობათ.

ცირკი კართაგენში

ჩრდილოეთ აფრიკაში, გათხრების დროს, რომელსაც ახდენდნენ იქ, სადაც ძველი ქალაქი კართაგენი იყო, აღმოაჩინეს უძველესი ცირკის ნანგრევები. ამ ცირკის სიგრძე უდრიდა 660 მეტრს, განი—315 მეტრს. ცირკი იტევდა 300.000 კაცს.

500 კილომეტრი საათში.

ინგლისელმა მფრინავმა გრეიგმა დაამყარა ფრენის სისწრაფის ახალი რეკორდი. მან შესძლო 300 მილის (ხუთას კილომეტრზე მეტი მანძილის) გავლა საათში.

ოფიც. განყოფილება

დადგენილება

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ღარიბ გლეხთა საკრედიტო ფონდების განაწილების ვადების შესახებ

რათა დაჩქარებულ იქნეს ღარიბი გლეხობის მეურნეობათათვის გახსნილი კრედიტების განაწილება—საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დადგენილ იქნეს ღარიბი გლეხობის მეურნეობათა შორის კრედიტების განაწილების საკითხების განმხილველ დაწესებულებათათვის შემდეგი მაქსიმალური ვადები:

ა) საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკისათვის—ათი დღე კრედიტების გახსნის შესახებ განკარგულების მიღების დღიდან;

ბ) საქართველოს ს. ს. რ. ეკონომიური საბჭოსათვის—შვიდი დღე, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკისაგან კრედიტების განაწილების პროექტის მიღების დღიდან;

გ) სამაზრო კომისიებისათვის—შვიდი დღე კრედიტების გახსნის შესახებ შეტყობინების მიღების დღიდან;

დ) საკრედიტო ამხანაგობებთან არსებულ კომისიებისათვის—თხუთმეტი დღე კრედიტების გახსნის შესახებ შეტყობინების მიღების დღიდან,

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
გ. მგალობლიშვილი.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი
ვ. მეგრელიშვილი.

1928 წლ. სექტემბრის 11
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებული კომუჯრედთა ბიურო იტყობინება, რომ ა. წ. 16 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე მოწვეულია აგრონომიულ ფაკულტეტის კომუჯრედის კრება ფაკულტეტის შენობაში. დასწრება სავალდებულოა.

საქ. კომპარტიის ლენინის რაიკომის აგიტ-პროპგანყოფილება იუწყება, რომ დღეს, 16 ოქტომბერს, ნაშუადღევის 3 საათზე, რაიკომის ბინაზე შესდგება **მთლიან პარტკოლების ხელმძღვანელთა თათბირი.** ყველა ხელმძღვანელების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

თბ. სახ. უნივერსიტ. აგრ. ფაკ. ა: ლ: კ: კ: უჯრედის ბიურო იუწყება, რომ დღეს, 16 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია უჯრედის გაერთიანებული მორიგი სხდომა. სხდომა შესდგება უნივერ. შენობაში. დასწრება სავალდებულოა.

საქ. კომპარტიის ცეკას საალრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. **ვანცელი-ხალუპნის**, ორი დღის განმავლობაში გამოცხადდეს ამხ. **კვირკველიასთან** (ოთახი № 22). იმ შემთხვევაში, თუ არ იმყოფება თბილისში, აცნობოს საცხოვრებელი ადგილის მისამართი.

დამწუხრებულნი შვილები: აქვსენტი, მარიამი და ასინეთი, რძლები: ნატაშა და ანიკო სიძე სიმონ აბაიშვილი—შვილებითურთ, მაზლი კონსტანტინე, რძლები ეფროსინე და პისიკო ნიკოლაიშვილები შვილებით, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს ძვირფასი

ელისაბედ იოსების ასული
ჩიჩუა-ნიკოლაიშვილის

გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდება 16 ოქტომბერს, სოფ. ქვანაგორაში (გურია) 4536

გულდათუთქულნი მშობლები ივლიტე და არჩილ წულუკიძეები გულითადი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ ხან მოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის მუდამ დაუვიწყარი ქალიშვილი

ელიკო არჩილის ასული წულუკიძე

რომლის გამოსვენება მოხდება დაბა ხარაგოულში ა/წ. 16 ოქტომბერს დღის 3 საათ. საკუთარ ბინიდან ნ. 1706

სამუდამოთ გულმოკლული ქმარი იოსებ გიორგისძე, შვილები: ბენიამინ, შალვა, გენადი, ქალიშვილები: ლიდა, ნინა და ელეონორა ცხაკაიები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ მეგობრებს, რომ 15 ოქტომბერს უდროოდ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და საყვარელი პირველის მეუღლე დანარჩენების დედა

კატო ცხაკაია (დუტუ გვალიას ასული)

დაკრძალვა 17 ოქტომბერს ქალ. ზუგდიდში ნ. 1710

სახკინმრეწვის კინოთეატრები

განთიადი	ალფრედ ბოკოლინი სურათში **სასიკვდილო ნახტომი**
არფასტო	განსაკუთრებული მხატვრული სურათი **ზღვის ტყვეები** რეჟისორი—მ. ფ. ვერნერი ოპერატორი—სლავინსკი
პალასი	
სოლეი	
მინიონი	უკანასკნელი დღე **ყაზახები** ლ. ნ. ტოლსტოის მოთხრობის მიხედვით
აპოლო	ნ. რიმსკი უცხოეთის სურათში **ბედნიერი სიკვდილი**
დარბაზი	უცხოეთ. მხატვრული სურათი **ღამის ექსპრესი**
პროლეტარი ავლაბარი	**უპრაზია** 1 და 2 სერია ერთად

ანონსი: მალე საუკეთესო სურათი „ყინულის სახლი“

მალე!! მალე!!

ვერა მალინოვსკაია
„მეჟრაბპომ-რუს“-ის
მორიგ საუკეთესო მხატვრულ სურათში
ყინულის სახლი
დადგმა რეჟისორ
კონსტანტინე ეგერტის.

ნ. 1710

შორაპნის მაზრაში გაზ. „კომუნისტზე“
ხელის მოწერას აწარმოებს
ვასილ ჯალაღანია

გაზეთების მისაწოდებელი პუნქ. აქვს შემდ. ადგილას:

1) ქალ. ჭიათურა: განყოფილებიდან ბინაზე მიტანით. მაღაროს მუშებისათვის ადგილკომებში.

2) შორაპანში: შეერთებულ ადგილკომში, მუშა-მოსამსახურეებისთვის და ქალაქის ხელისმომწერთათვის ლ. ქლიბაძესთან. შორაპანში: საყუდის ადგილკომთან. შორაპანში: შავი-ქვის მუშებისათვის მათიეე სამკითხველოში, სად. შორაპანში მუშა-მოსამსახურეებისათვის ადგილკომ ჩხიკვაძესთან.

3) დაბა ხარაგოულში: მთელი რაიონისთვის საგაზეთო ქვეგანყოფილებაში ვ. კელენჯერიძესთან.

4) ძირულაში: ქარხანა „შრომა“-ს ადგილკომთან და სადგურის ადგილკომთან.

5) სად. რკვია, დარკვეთი, ბოსლევი, ბელლევი, საღიეთი—რკ. გზ. ადგილკომებთან.

6) დაბა საჩხერეში: წიგნის მაღაზია—ვალიკო გოდაბრელიძესთან.

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. **შინაგანი ავადმყოფობა.** სპეციალურად **კუჭის და ნაწლავების** სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 ნ.

ექიმი
ს. ანდრეევისა
დაბრუნდა

ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზის მკურნალობა ღებულობს ავადმ. 5—7 ს. საღ. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი) 29, ვერის ხიდთან. ელსმენი—11—78. ნ. 25—2

ექიმი
ტერ-ოვაკიმოვი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. სპეციალურად: **სქესობრივი ფუნქციონალური აშლილობა და სიფილისი.** (ფსიხოთერაპია) ავადმყოფების მიღება: დილაობით: 11—1 საათ.; საღამოობით 5—8 საათ საბჭოთა (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ქ., № 48, ყორესის (ყოფ. კირკის) ქუჩის. კუთხე. 25—1

სია

იმ პირთა და ორგანიზაციათა, რომელნიც გატარებულნი არიან რეგისტრაციაში ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოში

(გაგრძელება № 44)

№№ რიგ.	რეგისტრაციის დრო	საწარმოოს დასახელება	ვის მიერ არის დამტკიცებული წესდება და როდის	მისამართი	წარმოების მიზანი	მოქმედების რაიონი	ძირითადი თანხა	საპაიო	სარ. მოწ. ხარ.
1124	10/9—28 წ.	კოოპერ. საწარ. ნადი „მხედარი“	კოოპერაც. საქ. კოლ. მიერ 5/7—28 წ.	კეცხოველის ქ. № 6	ხე-ტყის მას. დამზ.	ს.ს.ს.რ.	1130 მან.	75 მან.	3 ხარისხ.
1125	18 „	საქ. საბ. კოოპ. კავ. „საბკავშ.“	ს.ს.ს.რ. სახკომსაბჭოს მიერ 19/4—27 წ.	ჯორჯიაშვილის ქ. № 6	ალმშენებლ. ახ. სახლ.	„	14438—31 კ.	13794—08 კ.	—
1126	29 „	თბილ. ტრანსპ. მომ. კოოპ. ნადის ც. გ. „მეეტლე“	ს.მ.უ.ს. 13/9—28 წ.	პუშკინის № 2	ტრანსპორტისათვის მიწოდება საქ. მასალისა	ქ. თბილისი და მისი მიდამო	—	10 საპაიო	—
1127	14 „	ალელიშვილი ივანე და ამხანაგობა	—	პუშკინის № 33	სასადილო	—	450 მან.	—	4 ხარისხ.
1128	17 „	ბაჩაშვილი მიხეილი ნიკოლოზის-ძე	—	კოჯორის გზა	„	—	350 მან.	—	„
1129	17 „	დონჯაშვილი ივანე გიორგის-ძე	—	კლ. ცეტკინის ქ. № 176	„	—	460 მან.	—	„
1130	17 „	შერმაზანოვი ტიგრანი და ამ—ბა	—	პუშკინის № 6	„	—	27612 მან.	—	5 ხარისხ.

ამ.-კავკ. ვაჭსახკომის რწმუნებულის საქმეთა მმართველი—**კალანდაძე**
სავაჭრო რეგისტრაციის განყ. გამგე **ქ. ორჯონიკიძე.**

ნ. 1709

ხვალ, 17 ოქტომბერს, დღის 12 საათზე,
განათლების მუშაკთა სახლში
(კალოუბნის ქ. № 3) მოწვეულია განათლების მუშაკთა კავშირის
უმუშევარ წევრთა საერთო კრება
დღის წესრიგში:
1. ც. გ. საანგარიშო მოხსენება.
2. გან. მუშაკთა მე-7 ყრილობაზე დელეგატების არჩევნები.
ნ. 1707

ქუთაისის 1-ლი უბ. სასამართლოს აღმასრულებელი
ი. მილორავა

ამით აცხადებს, რომ ის 22 ოქტომბერს 1928 წ. დღის 1 საათზე სახლში № 78 ურიცკის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ალექსანდრე და გრიგოლ გვენეტაძეების მოძრავ ქონებას: ტანისამოსის და საჭურჭლე შკაფებს, საკერავ მანქანას და სხვ. შეფასებულს 57 მანეთად, ფარსადან აუშტროვის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. ქუთ. 1-ლი უბ. სახალხო სასამართლოსაგან 19 ოქტომბერს 1927 წ. თარიღით, № 4703 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 4538

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართ. აღმასრულებელი
თ. გოგია

ამით აცხადებს, რომ ის 20 ოქტომბერს 1928 წ. დღის 1 საათზე სახლში № 11 კაშენის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის აპოლონ სვანიძის მოძრავ ქონებას: როიალს, „მიულბახის“ ფირმისას, კრესლოებს, საწერი მაგიდას, ჭალს, საინებს და სხვა საოჯახო ნივთებს შეფასებულს 377 მანეთად, 50 კ. ქ. ბორჯომის აღმასკომის კომუნ. განყ. ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. გორის მაზრის სახალხო სასამართლოსაგან 21 სექტემბერს 1928 წ. თარიღით, № 936 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 4531

გორის უბნის სახალხო სასამართლ. აღმასრულებელი
გ. ი. ტლაშაძე

ამით აცხადებს, რომ ის 18 ოქტომბერს 1928 წ. დღის 12 საათზე ადგილობრივ ქ. გორში, ლენინის ქ. სასამ. ეზოში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის დიმიტრი და ევდოკია ლოლაძის—იოსებ და იოსიტა ბინიაშვილის მოძრავ ქონებას: ლიმონათის ქარხნის მოწყობილობას და სახლის ავეჯეულობას სულ შეფასებულს 1073 მან. ივანე გლავაცკის, ივანე როსტომოვის და თეკლე და სხვა ჯიოშვილების ვალის დასაკმაყოფილებლად. უკეთუ საჯარო ვაჭრობა არ შესდგა გადადებულ იქნება ა. წ. 25 ოქტომბრისათვის. 4539

ექიმი
ა. ს. ვადაჭკორია

დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა და შინაგან სნეულებათა ავადმყოფთ. დილის 9—12—ს.—მდე და საღამოს 4—6—ს—მდე (ყოფილი ოლღას) ლენინის ქ., № 35 13—2

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე. პლეხანოვის პროსპ. №10

ექიმი
ანასტასი ლევის ძე
ორლოვსკი

დაბრუნდა და განაახლა შინაგან და საბავშო სნეულებით ავადმყოფთა მიღება. (სპეციალურად მალიარია) ამოს ქუჩა (ყოფ. ქსენიევის ქუჩა) № 9 მიღება დილით 1—2 საათამდე და საღამოთი 6—7 საათამდე. 25—1

ნ. გ. კანტოროვიჩისა

მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჰამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ექიმი **ივ. გველესიანის**
პარაზიტოლოგიური
კაბინეტი

იღებს გამოსაკვლევად ყოველგვარ მასალას სპეციალურად სისხლის პარაზიტებზე (მალარია, სპიროხეტოზი და სხვა) და ნაწლავების პარაზიტებზე (amoeba, trichomonas, giardia intestinalis და სხვა protozoa: ჭიებზე) მასალა გამოსაკვლევად მიიღება: დილის 8—9, საღამოს 5—7 საათ. ლენინის (ყოფ. ოლღას) ქუჩა 38 ელსმ. 6—22 4364 25—1

კბილის ექიმი
ა. გ. სოლოღაშვილი

დაბრუნდა და განაახლაავადმყოფების მიღება

დილ. 9—3 საათ. და საღ. 6—7 ს. რუსთაველის გამზირი, № 12. 25—1

ექიმი
გიორგი ნიკოლოზის-ძე
ონანოვი

სიფილისი, ვენერიულ და კანის ავადმყოფობანი. სქესობრივი ნევრასტენიის მკურნალობა. ავადმყოფების მიღება დილის 8—10 ს—დე და საღამოს 4—5 ნახ. ს—დე. ქალების საღამოს—7-დან 8 საათამდე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 3. 25—1

ქუთაისში
ექიმი
დ. ა. ჩიჩელაშვილი

დაბრუნდა. იღებს შინაგან ავადმყოფებს **სპეციალ. ფილტვების ექიმობა.** ქავჭავაძის ქ., № 4, ცეცხლის მქრობელ რაზმის გვერდით, მიღება დილის 8—11 საათ. 4261. 13—1

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“

ასაცი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

ექიმი
გ. მ. ფხალაძე

გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოლსოვის) ჩასახვევი ოლღას ქუჩიდან. სპეციალ. **სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.**

იღებს: დილის 7—8 საათამდე
საღამოს 6—8 კაცებს
საღამოს 5—6 ქალებს.
25—1

ექიმი—ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი

იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს **(ქალებს და ბავშვებს)** დღის 2—3 საათ. და საღამოს 6—8 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ტელ. 14—23.

თვალის ექიმი
მალაევი

ღებულობს ავადმყოფებს დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს. მისამართი: თვალის საავადმყოფო, კლ. ცეტკინის ქ (ყოფ. ელისაბედის) № 47, ელსმენი № 5—90. 25—1

ექიმი
დარეჯან ე. თაყაიშვილი-კაკუბერი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება სემიონოვის (ვარდციხის ქ.) მე-9-რე უბანი, № 16, მიღება დილის 8—9 საათ. საღამ. 5—8 საათ. 25—1

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—

მე რაჭის მაზრის სოფ. ნიკორწმინდის მცხ. გიორგი ლავრენტის-ძე კანდელაკმა ამ 1928 წ. მაისში **დავკარგე** (მომპარეს) შაორის ხაძოვარზე გაშვებული ცხენი შემდეგი ნიშნებით: ტანად მთავარი, წაბლის ფერი მარცხენა ბეჭსა და ბარკალზე გულის მსგავსი დიდი (ო). ფაფარი მოკლე სქელი და მარჯვენა გვერდზე, კუდი თხელი და გრძელი, ულაყი, დახედნილი კარგია და თავიძნელი მოსაკავ ებლი აქვს, წასვლა კარგი ლაგამური. ღირს საშუალოდ ოთხასი მანეთი (400):

ვინც მასწავლის პირადად ან წერილობით საჩუქარს მიიღებს ას მანეთს

რაჭის მაზრის სოფ. ნიკორწმინდის მცხ.
ნ. 1708 **გიორგი ლავრენტის-ძე კანდელაკი.**

---

7 ოქტომბერს დილით ფოთის მატარებელზე სადგურ გორსა და კასპს შუა დაიკარგა 12 წლის დარიკო დავითულიანი მცხ. რაჭის მაზრის სოფ. ჩორჯოში აცვია საზიანი ჩითის კაბა, ფეხზე ყვითელი ჩუსტები, აქვს მოკლე წაბლის ფერი თმა და ყელზე კი პატარა ჩიყვი (ციყვი). ვსთხოვ ყველას ვინც რაიმე იცის დაკარგულ ბავშვის შესახებ მაცნობოს შემდეგი მისამართით: თბილისი თხინვალის შესახვევი № 10 ილია ბოჭორიშვილს. 4533

დავკარგე: სახლის წიგნაკი № 3038 და წყლის წიგნაკი ეფემია ფარქოსაძის სახელზე, ჩ. გ. 4530

ექიმი
ნ. ა. ჯანდიერი

ბავშვთა, შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი მიღება დილით 8—9 ს. საღამოზედ 5—7 ს. სომხის ბაზარი № 3. 25—1

ექიმი
გ. ო. ზანდუკელი

შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი. ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი. ავადმყოფების მიღება გარდა შაბათისა და კვირა უქმე დღეებისა საღამოს 7-დან 8 საათამდე. ლენინის ქ. (ყოფილი ოლღას ქ.) № 11. ტელ. 4—82. 25—1

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების **უმტკივნეულოდ** ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. ტელ. 10—14 25—2

ექიმმა
ს. ი. ვოლოხმა

განაახლა ავადმყოფთა მიღება (ქალთა სნეულებანი და მეანობა) ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 5 ს.-დან 7 ს.-მდე. ბელგიის ქ., № 5, მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის) მახლობლად. ტელ. 10—80. 25—1

დავკარგე: უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის დარგის მატრიკული № 1079 ელენე ანდრიას ასულ ხურცილავას სახელზე, ჩ. გ. 4540

დავკარგე: ზაკტპოს წიგნაკი № 38914 ნიკოლოზ ფარნაოზისძე კიკნაძის სახელზე, ჩ. გ. 4535

დავკარგე: განათლების მუშაკთა კავშირის წიგნაკი ლ. ცაგარელის სახელზე, ჩ. გ. 4541

დავკარგე საალმშენებლო კავშირის საწევრო წიგნაკი ვანო ნადირაშვილის სახელზე, ჩ. გ. 4542

პოლიგრაფტრესტის მე-[illegible] სტამბა, [illegible] ქუჩა № [illegible]

მთავლიტი № 904.